სტატიაში საუბარია სამოქალაქო სამართალურთიერთობის გაგებაზე გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, ამ ურთიერთობების ელემენტებზე და სახეებზე. ნაჩვენებია სამართლებრივი მოთხოვნების (Anspruch) კატეგორიების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალურთიერთობაში ქართულ სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში; გამოიყოფა სამოქალაქო სამართალურთიერთობების შინაარსი, რომელიც აღნიშნავს სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს; ყურადღებაა გამახვილებული კაუზალური შეთანხმების, კაუზალური გადაცემის და აბსტრაქტული გადაცემის სისტემებზე, აბსოლუტურ (საერთო მოქმედების) და რელატიურ (ფარდობით) ურთიერთობებზე და ა. შ.

**საკვანძო სიტყვები:** სამოქალაქო სამართალურთიერთობის გაგება; სამოქალაქო სამართალურთიერთობის ელემენტები გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით; სამართლებრივი მოთხოვნა (Anspruch).

**Ia Kharazi**

*Associate Professor of David Aghmashenebeli  
University of Georgia, School of Law  
and Sokhumi State University, Faculty of Law*

**About the substance of the Civil Relations According to the German Civil Code  
(comparative analyses)**

**Abstract**

The article deals with understanding of civil relations according to the German and Georgian law, about elements and types of this relation. The article concerns with the categories of legal demands in legal relations relative to civil code; content of civil relations, which demonstrates the rights and obligations of legal persons; Also systems of causal and abstract agreement, absolute and relative relations, etc.

**Key words:** Understanding of civil relations; the elements of the civil relations according to the German Civil Code; legal requirements (Anspruch).

ია ხარაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტისა და საქართველოს  
დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

## სამოქალაქო სამართალურთიერთობების არსის შესახებ გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (შეღარებითი ანალიზი)

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო სამართალურთიერთობის გაგება; სამოქალაქო სამართალურთიერთობის ელემენტები გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით; სამართლებრივი მოთხოვნა (Anspruch); კაუზალური შეთანხმების სისტემა; კაუზალური გადაცემის სისტემა; აბსტრაქტული გადაცემის სისტემა; აბსოლუტური (საერთო მოქმედების) და რელატიური (ფარდობითი) ურთიერთობები.

საქართველომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გერმანულ სამოქალაქო კოდექსზე ორიენტირებული „სამოქალაქო კოდექსის მიღებით უარყო „კარჩაკეტილობის იდეები და ღია საზოგადოების მსოფლმხედველობა გააბატონა“. სამოქალაქო კოდექსს ჭეშმარიტად ეწოდა ქვეყნის „მეორე კონსტიტუცია“. მან უდავოდ მოიცვა ყველა ის მიღწევა, რაც კანონმდებლობის თანამედროვე დონეზე იყო. ზუსტად კოდიფიკაციაზე „ვრცელდება ის თვალსაზრისი, რომ კანონი კანონმდებელზე უფრო ბრძენია“<sup>1</sup>. სამოქალაქო კოდექსს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო „სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში „სამართლის ბიბლიასაც“ კი უწოდებენ. ჭეშმარიტი და სწორი შეფასებაა. სწორედ სამოქალაქო კოდექსის საშუალებით წესრიგდება ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობები, განისაზღვრება სამართლებრივი მოქმედების ფარგლები, რომლის შიგნით პირს არჩევანის საშუალება ყოველთვის რჩება<sup>2</sup>. გერმანულ სამოქალაქო კოდექსზე, თანამედროვე სამართლებრივ ბაზაზე ორიენტირებულმა „პატივმოყვარე კანონმდებლობამ აშკარად წარმოაჩინა სასაქონლო ურთიერთობებში ინდივიდთა და კოლექტიური წარმონაქმნების თავისუფალი მონაწილეობის უფლება.

ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დასაწყისში, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან პირველად საქართველოში 70 წლიანი რუსული რეჟიმის ბატონობის შემდეგ, დაიწყო სახელმწიფოს ატრიბუტიკული ინსტიტუტების შექმნა. მიმდინარე საბაზრო-ეკონომიკურმა რეფორმებმა მოითხოვეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი, ეკონომიკური და ა. შ. რადიკალური რეფორმების განხორციელება და მისი მსოფლიო ინტეგრაციაში ჩართვა. ამ საქმიანობის ლიბერალიზაციამ განაპირობა მისი სამართლებრივი ბაზის დაუყოვნებლივი განახლების აუცილებლობა<sup>3</sup>.

პოსტსაბჭოთა სამართლებრივ სივრცეში ათწლეულების განმავლობაში იძულებითმა ყოფნამ, მონოპოლიამ სამართლის სფეროში, გარკვეულწილად შეაფერხა სამართლებრივი მეცნიერების

<sup>1</sup> ს. ჯორბენაძე, სამართლის რეფორმა საქართველოში, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, 142.

<sup>2</sup> ი. ხარაზი, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადაამუშავებული და დამატებული გამოცემა), 2015, 3.

<sup>3</sup> ი. ხარაზი, დასახ. ნაშრ; 9

განვითარება. მისი განვითარება მხოლოდ სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველო არ ყოფილა ჩაკეტილი ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში. ოდითგან საქართველო კერძო-მესაკუთრული ფსიქოლოგიის ქვეყნად ყალიბდებოდა. ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყაროები აშკარად მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ ძველ ქართულ სამართალს აშკარად ეტყობოდა ძველი რომაული და ძველბერძნული სამართლის გავლენა. ჩვენამდე მოღწეული წყაროები ნათლად მეტყველებს რეცეფციის უდავოდ ფართოდ გავრცელებაზე.... „ევროპული სამართლისადმი ჩვენი სიმპათიები საქართველოს ისტორიული ბედისწერა ყოფილა... ჩვენ გვჭირდებოდა ევროპულ სამართლებრივ სივრცეში აპრობირებული საერთო სამართალი და არა ისეთი, რომელიც უცხო სხეული იქნებოდა ქართული ცხოვრებისათვის. შეუთავსებელთა შეთავსების მცდელობას არსად სარგებლობა არ მოუტანია“<sup>4</sup>.

ქართული სამოქალაქო სამართალი (და არა მარტო სამოქალაქო), რომელსაც, სამწუხაროდ, არც თუ ისეთი მდიდარი წარსული გადმოჰყვა პოსტსაბჭოთა სამოქალაქო სამართალიდან, მუდმივი ძიების პროცესშია, იძულებულია გამოძებნოს საშუალებები და მიმართოს უცხოეთის სამართლის რეგულირების გამოცდილებას, პრაქტიკის მოთხოვნილებებთან შესაბამისობით.

სამწუხაროდ, ამგვარი სიტუაცია შეეხო სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ კატეგორიებს, მათ შორის სამართალურთიერთობების კატეგორიებსაც.

ნაპოლეონი ამბობდა, „ქვეყნის ეკონომიკას მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავს“-ო და ჩვენ დავამატებდით, რომ არა მარტო ეკონომიკას და გეოპოლიტიკას, „ქართულ სამართალზე ღრმა კვალი დატოვა ძველი სამართლებრივი კულტურის, განსაკუთრებით ძველი რომის სამართალმა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა სამართალგანვითარების (განსაკუთრებით სამოქალაქო-სამართლებრივი განვითარების) ისტორიაში. „იუს ცივილე“, რომელიც რომში გამოიყენებოდა ამ თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი სამართლის აღსანიშნავად, მკვიდრად შემოვიდა თანამედროვე სამართალში და კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის აღსანიშნავად გამოიყენებოდა...“<sup>5</sup>. რომაელთა სამართლებრივი ტრადიციები, უცხოეთის სამართლებრივი გამოცდილება (კონტინენტური სამართლებრივი ტრადიცია), თანამედროვე ტენდენციები საქართველოს სამოქალაქო სამართლის განვითარებაში (სამართლებრივ რეგულირებაში და სამართლის თეორიაში), განსაკუთრებულ როლს თამაშობდა თანამედროვე, ევროპულ სამართალზე მორგებული, ამავე დროს ეროვნული სამოქალაქო სამართალურთიერთობების ჩამოყალიბების საქმეში.

„სამართლის თეორია მართლწესრიგს<sup>6</sup> განიხილავს როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობას. სამართლებრივი ურთიერთობების სამეცნიერო კვლევას დიდი ტრადიციები აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერნსტ რუდოლფ ბირლინგის „მოდღვრება იურიდიული პრინციპების შესახებ“<sup>7</sup>. სამართლებრივი ურთიერთობების თეორიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ურთიერთობების სოციოლოგიამ, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობას განიხილავს როგორც სოციოლოგიის ძირითად საგანს. ურთიერთობის სოციოლოგიის თანახმად, ადამიანის არსება სწორედ სხვა ადამიანებთან კავშირსა და ურთიერთობაში გამოიხატება“<sup>7</sup>.

სამართლებრივი ურთიერთობა ორ ან მეტ სუბიექტს შორის ურთიერთობაა, სამართლის ნორმით განსაზღვრული, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე; ყალიბდება მხოლოდ სამართლის სუბიექტებს შორის; სამართლებრივ ურთიერთობაში არ შეიძლება ორზე ნაკლები პირი მონაწილეობდეს.

<sup>4</sup> ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2006, წინათქმა.

<sup>5</sup> ბ. ზოიძე, დასა. ნაშრ; წინათქმა.

<sup>6</sup> მართლწესრიგი არის „სამართლებრივი ურთიერთობების წესრიგი“. იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, 2015, 252; მითითებულია Achtenberg, N, Die Rechtsordnung als Rechtsverhältnisordnung. Grundlegung der Rechtsverhältnistheorie, 1982, S.17.

<sup>7</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, 2015, 252.

ძირითადად იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობა განხილულია როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, რომლის მონაწილეები სამართლის ნორმის საფუძველზე გამოდიან უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად<sup>8</sup>. სამართლებრივი ურთიერთობა არის ყოველი ცხოვრებისეული კავშირი, თუკი ის სამართლის ნორმით არის განსაზღვრული<sup>9</sup>, წერს პროფ ი. სურგულაძე, თუმცა იგი მას სამართლებრივი ურთიერთობის გარეგან აღწერილობად მიიჩნევს, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტიურ შინაარსს სამართლებრივ ფორმაში ხედავს<sup>10</sup> და ასკვნის, რომ სამართლებრივი ურთიერთობის „საგნის იურიდიული ღირებულება წმინდა იურიდიული კატეგორია არის, რომლის დასაბუთება საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების ძირითად პრინციპებს ეყრდნობა“<sup>11</sup>. ამით ი. სურგულაძემ სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა იურიდიული ელემენტების უფლებებისა და მოვალეობის გვერდით შემოიტანა და დაახასიათა კიდევ ორი ელემენტი – **სამართლის სუბიექტი** და **სამართლებრივი ურთიერთობის საგანი**<sup>12</sup>.

სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობას, ქონებრივ ურთიერთობებში კი მოიაზრება ქონებრივ ღირებულებათა ურთიერთობები, ე. ი. უმთავრესად ეს ქონებრივ – ფულადი ურთიერთობებია. პირადი არაქონებრივი ურთიერთობებით, რომელიც სამოქალაქო სამართლის რეგულირების ობიექტია, გამოდიან ისინი, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ქონებრივ ურთიერთობებთან, მაგალითად, საავტორო უფლებები<sup>13</sup>.

უნდა გამოიყოს „**სამოქალაქო სამართალურთიერთობების შინაარსი**, რომელიც აღნიშნავს სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს“<sup>14</sup>. სუბიექტური უფლებები – ეს დასაშვები მოქმედების ზომიერებაა, რაც უზრუნველყოფილია უფლებების ნორმებით. სუბიექტური მოვალეობა – ეს სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტის სათანადო ქცევაა<sup>15</sup>.

გერმანულ იურისპრუდენციაში სამართალურთიერთობის თეორია განვითარებული ჩანს XIX საუკუნეში. აქვე საჭიროა აღინიშნოს ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის და რუდოლფ ფონ იერინგის ნაშრომები. უკანასკნელ ათწლეულებში გერმანულ მეცნიერებაში გააქტიურდა მუშაობა სამართალურთიერთობების არსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ევროპულ და კონკრეტულად, გერმანულ სამართალთან ქართული სამართლის სერიოზული კავშირ-ურთიერთობანი XIX საუკუნიდან დასტურდება. ეს კავშირი განპირობებული იყო გერმანული და ქართული სამართლის მსგავსებით, რომელიც განპირობებული იყო გერმანული და ქართული სამართლის საერთო რომაულ-სამართლებრივი ტრადიციებით, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ერთიან კონტინენტურ ევროპულ (რომანულ-გერმანულ) სამართლებრივ ოჯახს. „გერმანელებთან საქართველოს კულტურული კავშირები ძველი დროიდან ჩანს... თუ წარსულში გადავი-

<sup>8</sup> გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2003, 448.

<sup>9</sup> ი. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, 2002, 29.

<sup>10</sup> ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ; 62.

<sup>11</sup> ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ; 196.

<sup>12</sup> იხ. ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ; 28.

<sup>13</sup> ი. ხარაზი, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა), 2015, 125.

<sup>14</sup> სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს უწოდებენ სუბიექტურ უფლებებსა და მოვალეობებს (სამოქალაქო სამართალსუბიექტურობა).

<sup>15</sup> РОССИЙСКОЕ ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО, УЧЕБНИК в 2 томах, Ответственный редактор заслуженный деятель науки РФ, доктор юридических наук, профессор Е. А. СУХАНОВ. Том I, Общая часть. Вещное право, Наследственное Право; Личные неимущественные ПРАВА, Интеллектуальные ПРАВА, 2-е издание, стереотипное, МОСКВА, 2011, 109-110.



ნაცვლებთ, ვნახავთ, რომ XVIII საუკუნის მინურულს.. ქართველ მეფეებს გაუმყლავნებიათ მათი სამართლისადმი სეროზული დაინტერესება. კერძოდ, მეფე ერეკლე სეროზულად დაინტერესებულია ევროპული სამართლით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც არ დამთავრებულა გერმანულისადმი ინტერესი. გერმანულ დოქტრინაზე დაყრდნობით იკვლევენ მფლობელობის ინსტიტუტს და არღვევენ საბჭოთა სამართლის ვინრო რკალს, რაშიც მფლობელობა ერთობ დაკნინებულად გამოიყურება. ისინი მფლობელობას განიხილავენ როგორც ფაქტს, რომლის უკანაც უფლება იცქირება“...<sup>16</sup>. დღევანდელი საქართველოს საკანონმდებლო ტრადიციების გათვალისწინებით, იგი კვლავ დაუბრუნდა ისტორიულ სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს სამართლის მეცნიერებაში აღიარებულია, რომ „სამართალურთიერთობა“ მიიჩნევა სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ გაგებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სამართალურთიერთობები საგულდაგულოდაა გამოკვლეული სამოქალაქო სამართლის თეორიაში. მაგრამ ბოლო საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე აქტიური მეცნიერული დისკუსიები მიგვანიშნებს, რომ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ჯერ კიდევ, 1949 წელს ო. ს. იოფემ თავისი ცნობილი ნაშრომი მიუძღვნა საბჭოთა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს და, ასევე აბსოლუტური და ფარდობითი ურთიერთობების გამიჯვნას. იგი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალში სამართალურთიერთობების პრობლემა ერთ-ერთი საკმაოდ რთული და ამავე დროს ნაკლებადაა დამუშავებული<sup>17</sup>. კარლ ლარენცი თვლის, რომ თუ კერძო სამართლის პირველ ფუძემდებლურ ტერმინს წარმოადგენს პირის გაგება, როგორც „სამართლის სუბიექტი“<sup>18</sup> (Rechtssubjekt), უფლებების მფლობელი (Rechte) და მოვალეობების ადრესატი (Pflichten), მეორე ძირითად ტერმინად უნდა ჩაითვალოს სამართალურთიერთობების გაგება (Rechtsverhältnis). იან შაპი სამართალურთიერთობას განსაზღვრავს, როგორც ყოველდღიურ ურთიერთობას (ორ ან რამდენიმე პირს შორის (Lebensverhältnis), აღიარებულს, როგორც სამართლებრივ წესრიგს, მნიშვნელოვანი სამართლებრივი აზრით და აღჭურვილს გარკვეული ზემოქმედებით მის მონაწილეებზე<sup>19</sup>. ამავე დროს იან შაპი ათანაბრებს სამართალურთიერთობის გაგებას სამართალმოთხოვნის გაგებასთან... სამართალურთიერთობები წარმოშობენ სამართალმოთხოვნებს“. იენს თომას ფიულერის პოზიციის თანახმად, სამართალურთიერთობა არის „ნორმაშემქმნელი (Rechtsnormgestaltende) ურთიერთობა, ორ ან მეტ სამართლის სუბიექტს შორის“<sup>20</sup>. გერმანიის სამართლის მეცნიერება ერთმანეთისაგან მიჯნავს სამართალურთიერთობას, რომელიც არსებობს მრავალ განსაზღვრულ პირს შორის („ვალდებულებითი ურთიერთობების ტიპის სამართალურთიერთობები“) და ასევე ისეთები, რომლებიც აკავშირებენ განსაზღვრულ პირებს და სხვა დანარჩენთ („საკუთრების სამართლის ტიპის სამართალურთიერთობები“)<sup>21</sup>. გერმანიის მეცნიერების სამართალში, ისევე როგორც ქართულ იურისპრუდენციაში, გამოყოფენ **აბსოლუტურ (საერთო მოქმედების) და რელატიურ (ფარდობით) ურთიერთობებს**. „კერძო სამართალში უფლებების დაყოფა აბსოლუტურ და რელატიურ უფლებებად ერთ-ერთი

<sup>16</sup> ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2006, იხ. 81-91.

<sup>17</sup> ИОФФЕ, О. С. Правоотношуние ро советскому гражданскому праву// Избранные труды по гражданскому праву: Из истории цивилистической мысли. Гражданское правоотношение. Критика теории „хозяйственного права“. – М; 2000, С. 508ю

<sup>18</sup> Larenz, K. Allgemeiner Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. 7; neubearbeitete Auflage. – München, 1989. – S. 194; Füller, Jens Thomas. Eigenständiges Sachenrecht? S. 34.

<sup>19</sup> Schapp, Jan. Methodenlehre und System des Rechts. Aufsätze 1992-2007. Tübingen, 2009. S. 21.

<sup>20</sup> Füller, Jens Thomas. Eigenständiges Sachenrecht? S. 34.

<sup>21</sup> Larenz, K. Allgemeiner Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. S. 207.

უმთავრესი პრინციპია<sup>22</sup>.... ბ. ვინდშაიდი აბსოლუტურ და რელატიურ უფლებებს განმარტავდა შემდეგნაირად: „აბსოლუტურ უფლებებს წარმოადგენს ის უფლებები, რომლებიც მოქმედებს ყოველი პირის მიმართ, ხოლო რელატიურია უფლებები, რომლებიც მხოლოდ ერთი ან შეზღუდული რაოდენობის პირთა მიმართ მოქმედებს<sup>23</sup>. ანალოგიურ განმარტებას ვხვდებით აბსოლუტური და რელატიური უფლებების ურთიერთმიმართების შესახებ გირკესთანაც<sup>24</sup>.

„სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა, ვალდებულებითი კი – შეფარდებითი) რელატიური). ეს იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტური უფლების მატარებლის წინაშეა ყველა პირი, როგორც ვალდებული პირი, მაშინ როცა შეფარდებითი უფლების მატარებელს უპირისპირდება განსაზღვრული პირი, როგორც კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი (მაგალითად, ქირავნობის შემთხვევაში). სხვანაირად ადგილი აქვს სანივთო უფლებათა სასარჩელო დაცვის აბსოლუტურობას, ე. ი. სანივთო უფლება, რომელიც ყველას მიერ უნდა იქნეს ცნობილი, ხელყოფის შემთხვევაში დაცულია სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელებით<sup>25</sup>.... აბსოლუტური ურთიერთობა მყარდება სამართლის ნორმატიული ნების საფუძველზე, შეფარდებითი კი-ძირითადად ურთიერთობის მონაწილეთა ნების საფუძველზე<sup>26</sup>.

როგორც ვხედავთ, „ევროპული ქვეყნების კერძო სამართალში მოქმედ აბსოლუტურობის პრინციპს არც ქართულ სანივთო სამართალში განუცდია შინაარსობრივი ცვლილება. იგი გულისხმობს მესამე პირების მხრიდან საკუთრების უფლების მიმართ პატივისცემისა და ხელშეშლის დაუშვებლობას. პირს, რომელიც მოიპოვებს ქონებაზე საკუთრების უფლებას, შეუძლია ნებისმიერ მესამე პირს მოსთხოვოს მისი ქონების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება და კანონით დაშვებული ფორმით აუკრძალოს ქონებაზე უარყოფითი ზემოქმედება“<sup>27</sup>.

გერმანიაში, ისევე როგორც საქართველოში, აბსოლუტურ სამართალურთიერთობებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მიაკუთვნებენ უპირველეს ყოვლისა სანივთო-სამართლებრივ ურთიერთობებს. ასევე: პიროვნების საყოველთაო უფლებების სფეროს (Persönlichkeitsrechte), პირადი საოჯახო უფლებების სფეროს (persönlichfamilienrechte), არამატერიალური სიკეთეების სფეროს (Immaterialienrechte), უპატრონო ნივთის დაუფლების უფლების სფეროს (Aneignungsrecht), ქონებრივ სიკეთეებზე უფლებას (Rechte an dinglichen Rechte) და სხვ. ფარდობით უფლებებს მიაკუთვნებენ: მოთხოვნის უფლებას (Forderungsrechte), კონსტიტუციური უფლებები (Gestaltungsrechte) და შეკამათება სამართალმოთხოვნების წინააღმდეგ (einredengegenansprüche).

აბსოლუტური სანივთო უფლების მაგალითია საკუთრების უფლება, კერძოდ, მაშინ, როცა: „მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერ ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა

<sup>22</sup> ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 15.

<sup>23</sup> Lehrbuch des Pandektenrechts von Dr. Bernhard Windscheid, Erster Band, Frankfurt a. M. Literarische Anstalt, 1891, 88. მითით. ჭეჭელაშვილი ზ; სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 16.

<sup>24</sup> Gierke, otto von: Deutsches Privatrecht, Leipzig {u.a.} Band 1: Allgemeiner Teil u. Personenrecht – 1895, 258. მითით. ჭეჭელაშვილი ზ; სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 16.

<sup>25</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ.172, ნ. 1-2; ბგბ-ს § 985 ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება (rei vindication), ნეგატორული სარჩელი ზიანის მიმყენებლის მიმართ (§ 1004-ის პირველი ნაწილი). ასევე, დამატ. იხ. კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმ. დარჯანია თ; ჭეჭელაშვილი ზ; თბ., 2014, 731-732.

<sup>26</sup> ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 4.

<sup>27</sup> თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 31.



მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 170, ნ.1). BGB-ს 903-ე პარაგრაფის მიხედვით, კი: „ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, თუ ამას არ ეწინააღმდეგება კანონი ან მესამე პირის უფლებები, საკუთარი შეხედულებით ისარგებლოს ნივთით და გამორიცხოს სხვა პირები ნებისმიერი ზემოქმედებისაგან.“ მართალია BGB-ის მიხედვით მესაკუთრეს, როგორც წესი § 903 ანიჭებს როგორც განკარგვისა და სარგებლობის ყოვლისმომცველ უფლებას, ისე სხვა პირების მისგან გამორიცხვის უფლებას, მაგრამ ნათელია, რომ განსაკუთრებით მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეთა შორის უნდა არსებობდეს მეორე მხარის ინტერესების პატივისცემის ვალდებულება<sup>28</sup>. აბსტრაქტული სისტემის მიხედვით საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება სამართლებრივი აქტის (გარიგების) მეშვეობით, რომელიც სრულად ემიჯნება ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას<sup>29</sup>. მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის აბსტრაქტულ სისტემაში, პირიქით, უფლების გადაცემა ნამდვილია, მიუხედავად იმისა, თუკი ის არ ეფუძნება ნამდვილ კანონიერ სამართლებრივ საფუძველს. სავინისა და მისი მოწაფეების გავლენით გერმანულ კერძო სამართალში არჩევანი გაკეთდა აბსტრაქციის სისტემაზე, რაც XIX საუკუნის ბოლოს აისახა კიდევ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში<sup>30</sup>.

მსოფლიოში გავრცელებულია მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის სამი სისტემა: **კაუზალური შეთანხმების სისტემა**<sup>31</sup>; **კაუზალური გადაცემის სისტემა**; **აბსტრაქტული გადაცემის სისტემა**<sup>32</sup>. კაუზალურ და აბსტრაქტულ სისტემას შორის მკაცრი ფორმებით გამიჯვნა დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისში. იუსტინიანეს დიგესტების აღორძინებისა და XIX საუკუნის დასაწყის პერიოდს შორის არ ყოფილა შემუშავებული გადაცემის შესაბამისი თეორიები, არსებობდა მხოლოდ ტერმინები – „აბსტრაქცია“ და „კაუზალური გადაცემა“<sup>33</sup>. გერმანული აბსტრაქტული სისტემა ეფუძნება, ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს უფლების გადაცემის ვალდებულებითი შინაარსისა (Verpflichtungsgeschäft) და თავად გადაცემის აქტს შორის (Übereignung, Veräußerung) განსხვავებას<sup>34</sup>.

არსლანოვის აზრით, გერმანულ სამართალში არსებობს აგრეთვე წარმოდგენა, რომლის მიხედვით საკუთრების სამართალი განაპირობებს სამართალურთიერთობების არსებობას პირებსა და ნივთებს შორის. ასეთი მიდგომა არ მიგვაჩნია მართებულად<sup>35</sup>.

<sup>28</sup> დანვრ. იხ. კროპპოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმ. დარჯანია თ.; ჭეჭელაშვილი ზ.; თბ., 2014, 688.

<sup>29</sup> Van vilest L. P. W; Iusta Gausa Tradition, History in European Private Law, European Review of Private Law, 3-2003; 342-378, მითითებულია: Л. Р. У ван Влиет, Сравнительное-правовые аспекты перехода прав на движимые вещи, классификация систем перехода прав, Ежегодник сравнительного права, 229. იხ. შოთაძე თ.; სანივთო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 36.

<sup>30</sup> თ. შოთაძე, დასახ. ნაშრ.; 36.

<sup>31</sup> რომელიც ითვალისწინებს, რომ მოძრავ ნივთზე უფლების გადაცემა ეფუძნება კანონიერ საფუძველს (iusta causa traditionis). მაგალითად, ნივთზე უფლების გადაცემისას ნასყიდობის ხელშეკრულება გამოდის როგორც უფლების კანონისმიერი საფუძველი. აბსტრაქტულ სისტემაში კი პირიქით, უფლების უფლების გადაცემა ნამდვილია იმ შემთხვევაშიც, თუ კი ის არ ეფუძნება ნამდვილ, კანონიერ საფუძველს. იხ. შოთაძე, თ.; შედარებითი სანივთო სამართალი, I გამოცემა, „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 33.

<sup>32</sup> თ. შოთაძე, დასახ. ნაშრ.; 32.

<sup>33</sup> დანვრ. იხ. თ. შოთაძე, შედარებითი სანივთო სამართალი, I გამოცემა, „იურისტების სამყარო“, თბ., 2015, 33-34.

<sup>34</sup> იხ. შოთაძე თ.; დასახ. ნაშრ.; 39.

<sup>35</sup> იხ. Tuhr, Andreas von. Der Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. 1. Band: Allgemeine Lehren und Personenrecht. – Leipzig, 1910. – S. 511. Арсланов К. М. К паниатию о гражданском правоотношении по

ლარენცის თანახმად, „სამართალურთიერთობებს აქვთ დასაწყისი და დასასრული დროებრივ ურთიერთობებში“<sup>36</sup>. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკუთრების სამართალს და მისგან წარმოშობილ სამართალურთიერთობებს. ასე, მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში უნდა განვასხვავოთ შეთანხმება, როგორც სამართლებრივი კავშირი გამყიდველსა და მყიდველს შორის და მოთხოვნა ვალდებული პირის ვალდებულება აღებული ვალდებულების შესრულებაზე არსებული შეთანხმების საფუძველზე, ეს მოთხოვნა შესრულება დათქმულ დროს თუ უფრო გვიან, მაშინ ქონებრივი სამართალურთიერთობა (როგორც სამართალურთიერთობა პიროვნების საყოველთაო უფლებებთან, ქორწინებასთან და ა. შ. დაკავშირებული), განიხილება როგორც განგრძობადი. სავსებით დასაშვებია, რომ უფლებების რეალიზაცია და მოვალეობები ასეთ განგრძობად ურთიერთობებში არც კი იქნება განხორციელებული. აქ უმთავრესს წარმოადგენს სამართლებრივი კავშირის თვით ფაქტი.

გერმანულ იურისპრუდენციაში ნასყიდობის ხელშეკრულებასა და საკუთრების სამართალს შორის გამოყოფენ ე. წ. „განგრძობად ვალდებულებით ურთიერთობებს“ (Dauerschuldverhältnisse), მაგალითად, ქირავნობის, ნარდობის, შრომითი სამართალურთიერთობები. აქ სამართალურთიერთობაში მონაწილე პირები ვალდებულნი არიან არა ერთი მოქმედების შესრულებაზე, არამედ სხვადასხვა მოქმედებების შესრულებაზე, რომლებიც ხელშეკრულებით დროის განმავლობაში გრძელდებიან ან კიდევ, მეორდებიან<sup>37</sup>. მანამ, სანამ ურთიერთობები არსებობენ, მხარეებს შორის უფლება-ვალდებულებებიც არსებობენ, ისინი სრულდებიან და ამავე დროს მუდმივად ჩნდებიან თავიდან. მაგალითად, სანამ არსებობს ქირავნობის ხელშეკრულება და მისგან წარმოშობილი სამართალურთიერთობები, ძალას ინარჩუნებს გამქირავებლის უფლება დამქირავებელს მოსთხოვოს ქონების პირვანდელ მდგომარეობაში „შენახვა“ (ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ გამქირავებელს დაუბრუნოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი“, ხოლო დამქირავებლის უფლებას წარმოადგენს სათანადო ქონების მისთვის გადაცემა მოსახმარად ვარგის მდგომარეობაში და აქვე ჩნდება მისი ვალდებულება „ხელშეკრულების შესაბამისი გამოყენებისათვის ქირავნობის ნივთის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება/ნივთის მოვლა“ (ბგბ, § 535, პირველი ნაწილის მეორე წინადადება), ქირის საფასურის გადახდა და ა. შ.<sup>38</sup>.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს შეადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების უფლებები და მისი მონაწილეების მოვალეობები. სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლებები მათი იურიდიული შესაძლებლობიდან გამომდინარეობს<sup>39</sup>.

სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტებად აღიარებულია ფიზიკური და იურიდიული პირები. ეს უკანასკნელები სხვა პირებთან სამართალურთიერთობაში გამოდიან მათ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები მხოლოდ მაშინ გამოდიან სამოქალაქო სამართალურთიერთობების მონაწილედ, როცა ისინი სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებებში შედიან სამოქალაქო სამართლის სუბიექტებთან, ამ შემთხვევაში, ისინი როგორც კერძო სამართლის სუბიექტები ისე გვევლინებიან კერძო ურთიერთობებში<sup>40</sup>. საგულისხმოა, რომ

<sup>36</sup> Larenz, K. Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. – S. 197. მით: Арсланов К. М. К паниатию о гражданском правоотношении по германскому праву, 57.

<sup>37</sup> Larenz, K. Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. – S. 198, მითით: Арсланов К. М. К паниатию о гражданском правоотношении по германскому праву, С. 58.

<sup>38</sup> იხ. კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, § 535.

<sup>39</sup> ი. ხარაზი, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადაამუშავებული და დამატებული გამოცემა), 2015, 127.

<sup>40</sup> ი. ხარაზი, დასახ. ნაშრ; 127

შეზღუდულია იმ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა წრე, როცა სახელმწიფო უფლებამოსილი იყოს მისი მხარე. მაგალითად, სახელმწიფო ვერ იქნება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. მემკვიდრეობითი სამართლის ფარგლებში სახელმწიფოს ჩართულობა მხოლოდ უმკვიდრო ქონების მიღებას უკავშირდება. ფაქტობრივად, სამოქალაქო კოდექსით მონესრიგებული ურთიერთობიდან სახელმწიფო ძირითადად გვევლინება სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად...<sup>41</sup>. სამოქალაქო სამართალსუბიექტურობა ნიშნავს სამოქალაქო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ უნარს (შესაძლებლობას) იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ისარგებლოს გარკვეული სამოქალაქო უფლებებით, ან კიდევ შეასრულოს ნაკისრი მოვალეობები.

კერძო პირის სამართალურთიერთობა ელემენტის სახით შეიცავს (როგორც მინიმუმი) ერთ „სუბიექტურ სამართალს“. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში სამოქალაქო სამართალურთიერთობაში განსაკუთრებული როლი საბოლოო ჯამში სუბიექტურ შემადგენლობას მიეკუთვნება და უპ. ყოვლისა სამართლის სუბიექტს, მოთხოვნის სუბიექტს. BGB-ში საუბარია მხოლოდ უფლებებსა და მოვალეობებზე, თუმცა მასში ნახსენებია სავალდებულო სამართალურთიერთობებზე, მაგ. BGB-ს მეორე წიგნის (ვალდებულებითი სამართალი) დასახელებაში და მისი სხვადასხვა განყოფილებების დასახელებაში, §§241, 305, 362, 364, 366, 397 და ა. შ. მაგრამ ყველა შემთხვევაში სახეზეა შესრულების ცალკეული ურთიერთობა, რომელიც კრედიტორის მხრიდან აღიქმება, როგორც მოთხოვნა (Forderung), მოვალის მხრიდან კი შესრულების ვალდებულება (Leistungspflicht). მაგრამ ყველა შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს არა ცალკეული მოთხოვნები, როდესაც საუბარი მიდის ქირავნობის ურთიერთობის გაუქმებაზე, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტაზე და ა. შ. BGB-ის მესამე წიგნში (სანივთო სამართალი) კანონმდებელი საერთოდ არ იყენებს სამართალურთიერთობის კატეგორიას, მაგრამ § 903-ის თვით ფორმულირება გვთავაზობს განსაზღვრული იურიდიული კავშირის ქონას სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს შორის: „ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, თუ ამას არ ეწინააღმდეგება კანონი ან მესამე პირის უფლებები, საკუთარი შეხედულებით ისარგებლოს ნივთით და გამორიცხოს სხვა პირები ნებისმიერი ზემოქმედებისაგან...“<sup>42</sup>. 930-ე პარაგრაფი მესაკუთრეს ანიჭებს როგორც განკარგვისა და სარგებლობის ყოვლისმომცველ უფლებას, ისე სხვა პირების მისგან გამორიცხვის უფლებას...<sup>43</sup>

გერმანულ მეცნიერებაში სამართალურთიერთობების ელემენტებს მიაკუთვნებენ: **სუბიექტური სამართალი (და შესაბამისად მისი მოვალეობები), წინადადება შექნაზე (Erwerbsaussichten) და „სამართლებრივი კავშირი“ (rechtspflichtenindsonstigegebundenheiten), მოვალეობა (Obliegenheit), უფლებამოსილების წრე (Zuständigkeiten)**<sup>44</sup>. გ. ფ. შერშევიჩი გამოყოფს ისეთ ელემენტებს სამოქალაქო სამართალურთიერთობისა, როგორცაა, სუბიექტი, ობიექტი, უფლება, მოვალეობა<sup>45</sup>.

**სუბიექტურ უფლებებს შეესაბამება მოვალეობები (Pflichten), შეზღუდვები (Beschränkungen) ან სამართლებრივი კავშირები (Gebundenheiten).** აღსანიშნავია, რომ **სუბიექტური უფლებების** ქვეშ მოიაზრება არა ყოველივე არსებული სამართალურთიერთობის ჩარჩოებში მოქცეული უფლებამოსილება განსაზღვრული მოქმედების შესრულებით, არამედ ისეთი, რომელიც შედარებით დამოუკიდებელი მნიშვნელობით ხასიათდება. სუბიექტური უფლებები, როგორც წესი გადაცემა-

<sup>41</sup> თ. ჩაჩანიძე, სახელმწიფო და კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები, საიუბილეო კრებულიდან „სამართლის პრობლემები“, 2012, 250.

<sup>42</sup> იხ. კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმ. თ. დარჯანია, ზ. ჭეჭელაშვილი, თბ., 2014, 688.

<sup>43</sup> კროპჰოლერი იან, დასახ. ნაშრ; 689.

<sup>44</sup> Larenz, K. Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. – S. 200.

<sup>45</sup> Шершеневич, Г. Ф. Учебник русского гражданского права. Т. I. С. 98.

დია და მათ დარღვევას მოჰყვება მეორე მხარის მიერ დაცვის უფლება და/ან მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე<sup>46</sup>.

ცალკეულ სუბიექტურ სამართალს შეუძლია მიიერთოს სხვადასხვა სამართალუფლებები, რომლებიც ცალკე არ გამოიყოფიან სუბიექტური სამართალიდან. მაგალითად, სანივთო სამართლიდან, 903 პარაგრაფი<sup>47</sup>, მესაკუთრეს შეუძლია ფლობდეს ნივთს, სარგებლობდეს მისით, განკარგოს იგი, შეუცვალოს იერ-სახე, ან კიდევ გაანადგუროს იგი. მესაკუთრე ასევე უფლებამოსილია საკუთრების უფლება დატვირთოს სხვისი უფლებებით, მაგ; უზუფრუქტით (ბგბ, §1030 და მომდევნო პარაგრაფები)<sup>48</sup>.

ხშირ შემთხვევაში რთულია იმის თქმა, „სუბიექტურ სამართალს“ აქვს ადგილი თუ მხოლოდ „უფლებამოსილებას“. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დასაშვებია თუ არა დამოუკიდებელი განკარგულების გაცემა, ასევე სამართლის მნიშვნელობისაგან (უფლებამოსილებისაგან)<sup>49</sup>.

**სუბიექტური სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისას შეიძლება შევხედოთ სამი უფლებამოსილების კომბინაციის შედეგს: 1. უფლებამოსილება საკუთარ მოქმედებებზე**, რაც ნიშნავს სუბიექტის მიერ თვითნებური ფაქტობრივად და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედებების შესრულებას; **2. მოთხოვნის უფლებამოსილება**, რაც წარმოადგენს სუბიექტის შესაძლებლობას, მოითხოვოს მოვალე სუბიექტისაგან მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება (გადაიხადოს ვალი, დააბრუნოს იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ხელშეკრულების ვადის გასვლისას და სხვ.); **3. დაცვის უფლებამოსილება**, რომელიც გამოდის შესაძლო სუბიექტის სახით, გამოიყენოს სხვასხვა დაცვის ზომები ან მოითხოვოს სახელმწიფოს იძულების ზომების გამოყენება იმ შემთხვევისათვის, თუ დარღვეულია სუბიექტების სამოქალაქო უფლებები<sup>50</sup>.

სუბიექტური სამოქალაქო სამართლის კლასიკური მოდელი სამოქალაქო სამართალსუბიექტურობისა, რომელიც შეიცავს თავისი შინაარსით უფლებამოსილების მთელ ტრიადას, არის **სუბიექტური უფლების არსებობა**. მესაკუთრეს გააჩნია იურიდიული შესაძლებლობა მოითხოვოს ყველა პირისაგან უფლების დაცვა, რათა არ დააღვიონ მისთვის მინიჭებული საკუთრების უფლება, მას ასევე შეუძლია მოითხოვოს უფლებადამრღვევის მიმართ გამოყენებული იქნეს სახელმწიფო-იძულებითი ღონისძიებების ზომები. მაგრამ, მთავარი და განმსაზღვრელი ბირთვი სუბიექტური უფლების საკუთრებასთან მიმართებაში ისაა, რომ განახორციელოს თავისი საკუთრების ობიექტზე ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება<sup>51</sup>.

**წინადადება შეძენაზე (Erwerbsaussichten).** სამართალურთიერთობას ხშირად უკავშირებენ მომავალში რომელიმე უფლების შეძენაზე. მაგ; ნივთის მესაკუთრე BGB-ის § 953-ის თანახმად, იძენს „საკუთრების უფლებას გამოცალკევებულ ნაყოფსა და ნივთის სხვა შემადგენელ ნაწილებზე“, თუ ისინი ნივთისაგან განცალკევდებიან და თუ არ იკვეთება მასზე სხვა პირის უფლება მისი შეძენისა. მესაკუთრის უფლება წინადადების შეთავაზებაზე საკუთრების შეძენისა, წარმოადგენს მესაკუთრის უფლების შინაარსს. 954-ე პარაგრაფის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირის ნივთზე არსებული უფლების საფუძველზე უფლებამოსილია, მისაკუთროს ნაყოფი ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილები, §§ 955-957-ის ნორმების დარღვევის გარეშე, ამ უკანასკნელებზე საკუთ-

<sup>46</sup> Larenz, K. Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. – S. 200.

<sup>47</sup> შეად; სკ-ის მ. 170, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი....

<sup>48</sup> შეად; სკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი, მ. 242 და მომდევნო მუხლები.

<sup>49</sup> Арсланов, К. М. К понятию о гражданском правоотношении по германскому праву 59.

<sup>50</sup> იხ. ი. ხარაზი, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადაამუშავებული და დამატებული გამოცემა), 2015, 129-130.

<sup>51</sup> იხ. ბგბ-ის §903; სსკ-ის მ. 170.1.



რების უფლებას იძენს გამოცალკევების მომენტიდან“. მესაკუთრის კუთვნილი შეძენის ვარაუდი მიეკუთვნება მესაკუთრის უფლების შინაარსს. მესაკუთრეს შეუძლია ასეთი წინადადება წარუდგინოს სხვა პირს, რამეთუ ის უკანასკნელს გადასცემს უფლებამოსილებას ნაყოფის შეძენაზე ან ნივთის სხვა შემადგენელ ნაწილებზე, სარგებლობის სანივთო უფლებით (BGB, § 954). ამგავრი „მოლოდინი“ გამომდინარეობს შემდგომში სავალდებულო ურთიერთობებიდან მესაკუთრესა და ნივთის მპოვნელს შორის. 973-ე პარაგრაფის დისპოზიციიდან გამომდინარე, „მპოვნელის მიერ კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე მპოვნელი იძენს ნივთზე საკუთრების უფლებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მანამდე ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირი მისთვის ცნობილი გახდება ან ამ უკანასკნელმა თავისი უფლების შესახებ შეატყობინა კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს“<sup>52</sup>.

**„სამართლებრივი მოვალეობები და „სამართლებრივი კავშირის სხვა შემთხვევები“ (rechtspflichtenundsonstige Gebundenheiten).** სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილის მოვალეობას შეადგენს გარიგებით განსაზღვრული და სახელმწიფო იძულების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი აუცილებელი ქცევის წესის (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) განხორციელება. გამოდის, რომ პირის, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის მოვალეობაა სამოქალაქო სამართლის ნორმით განსაზღვრული აუცილებელი ქცევა, ზომა, ქცევის მასშტაბი ანუ მისი ვალდებულება, რომელიც პირის ვალდებულებაა და რომელიც გულისხმობს მისი მოქმედების სამართლებრივ აუცილებლობას<sup>53</sup>. ლარენცის აზრით, სამართლებრივი მოვალეობები შეიძლება შედგებოდეს არა მარტო სუბიექტური უფლებების შესაბამისად, არამედ, ასევე გამომდინარეობდეს სამართლებრივი ნორმებიდან, რომლებიც განაპირობებენ განსაზღვრული მოქმედების სრულყოფას, როდესაც ვინმეს არ უჩნდება ასეთ მოქმედებაზე სუბიექტური უფლება<sup>54</sup>. არსებობს უამრავი სამართლებრივი მდგომარეობები, რომლებიც მიაწერენ ან კრძალავენ განსაზღვრულ მოქმედებებს, რათა აღმოიფხვრას მესამე პირთა უფლებებისა და ასევე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევა. ამდაგვარი მიწერილობების შესრულება ხშირად უზრუნველყოფილი ხდება ჯარიმების დაკისრების მუქარით ან სხვა სამართლებრივი შედეგებით (მაგ; ზიანის ზღვევინების აღიარების ფაქტის შესაძლებლობა იმ პირის მიმართ, ვისი უფლებებიც იყო დარღვეული შესაბამისი მიწერილობის გაუთვალისწინებლობით. ამდაგვარი მიწერილობის მაგალითია BGB-ის § 823 (1) („პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზიანი“<sup>55</sup>); მე-2 ნაწილის თანახმად, კი: ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, რომელიც არღვევს სხვა პირის ინტერესების დაცვისაკენ მიმართულ კანონს; თუ, კანონის შინაარსის თანახმად, მისი დარღვევა შესაძლებელია ასევე ბრალის გარეშე, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ ბრალის არსებობისას“.

სამართლებრივი კავშირის ქვეშ უპ. ყოვლისა მოიაზრება კონსტიტუციური სამართალი (Gestaltungsrecht). მან, ვის წინააღმდეგაც მიმართულია ასეთი სამართალი, მაგალითად, სამართლის განხორციელებისას ხელშეკრულების გაუქმებაზე, უნდა მიიღოს ასეთი სამართლით განპირობებული სამართლებრივი ცვლილებები. „კავშირურთიერთობა“ აქ გულისხმობს, რომ სამართალურთიერთობის მეორე მხარეს შეუძლია აიძულოს პირი ცვლილებებისაკენ და სამართალურ-

<sup>52</sup> შეად; საქართველოს სკ-ის მ.191. განსხვავებით ბგ-ის შესაბამისი ნორმისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნაპოვარზე საკუთრების შეძენის ერთწლიანი ვადაა განსაზღვრული განცხადების გაკეთებიდან.

<sup>53</sup> ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993, 90.

<sup>54</sup> Larenz, K. Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. – S. 203.

<sup>55</sup> შეად; საქართველოს სამოქალაქოკოდექსის მ. 992.

თიერთობის შეწყვეტისაკენ, რაც პირს შეიძლება არც კი სურდეს<sup>56</sup>. სხვა, მაგალითად, შეიძლება მოვიტანოთ, მესაკუთრის „კავშირობა“, რომელიც მეორე პირს გადასცემს შეზღუდულ სანივთო უფლებას თავის ნივთზე და იგი ვალდებულია ითმინოს მეორე პირის მოქმედებები ამ ნივთზე, რომელსაც იგი, როგორც მესაკუთრე არ გააკეთებდა (მაგ; BGB § 1030 და მომდევნო პარაგრაფები უზუფრუქზე)<sup>57</sup>. ასეთ შემთხვევაზე ამბობენ, რომ მესაკუთრის მხრიდან ადგილი აქვს თავის შეკავების ვალდებულებას გარკვეული მოქმედების განხორციელებისაგან (თმენის ვალდებულება) {Plichtzudulden}, რომელიც უფრო მეტია ვიდრე თავშეკავების ვალდებულება (UnterlassungsPlicht). ასე მაგალითად, იგივე მესაკუთრე არა მარტო ვალდებულია თავის შეკავებაზე გარკვეული მოქმედებისაგან მის საკუთრებაში არსებულ ნივთზე, მაგრამ რომელიც სხვისი შეზღუდული უფლებებითაა დატვირთული, არამედ იგი არ უნდა შეეწინააღმდეგოს უფლებამოსილ პირს გარკვეული მოქმედებები განახორციელოს შეზღუდული სანივთო უფლებებით დატვირთულ ნივთზე.

**ვალდებულება (Obliegenheit)** უნდა განვასხვავოთ ვალდებულებისაგან „Plicht“, რამეთუ აქ საუბარია მოქმედების მოთხოვნისებზე (**Verhaltensanforderungen**), რომლის შესრულება იმ პირის ინტერესებში შედის, ვისზეცაა იგი დაკისრებული. ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგი „Obliegenheiten“ არის ის, რომ პირი კარგავს კეთილსინდისიერი პირის სამართლებრივ მდგომარეობას ან იწვევს სხვა სამართლებრივ შედეგს. აქ შეიძლება მოვიხმოთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი: „თუ ზიანის დადგომას ხელი შეუწყო დაზარალებულის ბრალეულმა ქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ისევე როგორც ანაზღაურების მოცულობა, დამოკიდებულია იმაზე, ზიანი უფრო მეტი ოდენობით თუ რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული“<sup>58</sup>.

ჯერარსისა და არსობის (Sollens und Seinsaussagen) ურთიერთგამიჯვნის შესახებ კანტის შეხედულების საფუძველზე, განსაკუთრებით ნეოკანტიანური სამართლის ფილოსოფია სამართალს განიხილავს როგორც ნებართვებისა (Gebote) და აკრძალვების (Verbote) წყობას, მაშასადამე სამართალს წარმოგვიდგენს როგორც ჯერარსულ მოვლენას. სამართალი აღწერს არა ფაქტებს, არამედ განსაზღვრავს მოქმედებებს, მაშასადამე სამართალი შედგება პრესკრიფციული (ნორმატიული) დებულებებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალი შედგება ვალდებულებებისაგან, რომლებიც მოქმედებას ან უმოქმედობას განსაზღვრავს და იმ წესებისაგან, რომელთა საფუძველზეც ხდება ზოგადი ნორმების ან ვალდებულებების წარმოშობა, მოდიფიცირება ან შეწყვეტა<sup>59</sup>. უფლებამოსილების აღმქურველი ნორმები შეიძლება მიმართული იყოს ზოგადი და ინდივიდუალური ვალდებულებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 311<sup>60</sup> შეიცავს უფლებამოსილებას, რომ ხელშეკრულების დადებით წარმოიშვას ამ ხელშეკრულების მონაწილეთა ინდივიდუალური სამართლებრივი ვალდებულებები<sup>61</sup>.

**უფლებამოსილების ფარგლები (Zuständigkeiten)**<sup>62</sup>. სამართალურთიერთობაში შეიძლება იყოს დასაბუთებული უფლებამოსილებათა წრე პირთა ნება-სურვილის გამოვლინების მისაღებად, ან შესრულდეს ამ ურთიერთობაში მონაწილე სხვა პირების მიერ. განსაკუთრებული უფლებამო-

<sup>56</sup> Larenz, K. Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. – S. 204. მით; Арсланов, К. М. К понятию о гражданском правоотношении по германскому праву, 60.

<sup>57</sup> შესაბამისად, იხ. საქართველოს კოდექსის მ. 242-246.

<sup>58</sup> Арсланов, К. М. К понятию о гражданском правоотношении по германскому праву, 60.

<sup>59</sup> ციპელიუსი რაინჰოლდ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 10. Auflage, მეათე გადაამუშავებული გამოცემა, თბ., GIZ, 2-3.

<sup>60</sup> ბგბ-ის § 311–ს შეესაბამება საქართველოს სკ-ის 317-ე მუხლი

<sup>61</sup> ციპელიუსი რაინჰოლდ, დასახ. ნაშრ; 3.

<sup>62</sup> Larenz, K. Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts. – S. 204. მით; Арсланов, К. М. К понятию о гражданском правоотношении по германскому праву, 60.



სიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში შესრულების მიღებაში გააჩნია კრედიტორს, მაგრამ შეიძლება იმავე უფლებით ისარგებლოს სხვა პირმაც<sup>63</sup>.

სამოქალაქო სამართალი გაიგება, როგორც სუბიექტებს შორის სამართლებრივი კავშირი და ამ ურთიერთობის რეგულირება არის კანონმდებლის მთავარი ამოცანა. ძირითადი ელემენტის სახით სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლებების და საკორესპონდენტო მოვალეობების არსებობა ვარაუდობს სამართლის დარღვევის შემთხვევაში (უფლებების დარღვევის), ვალდებულმა პირმა, ვინც ეს დარღვევა გამოიწვია თავისი მოქმედებისათვის პასუხი უნდა აგოს თავისი ნეგატიური შედეგების დადგომის გამო უფლებამოსილი პირის წინაშე. გერმანულ მეცნიერებაში და ასევე პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართალმთხოვნას, რომელიც არის უფლებამოსილი პირის უფლება მოსთხოვოს სხვა პირს შეასრულოს იურიდიული მოქმედებები და ვალდებულებანი. მაგალითად, **ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება** მფლობელის მიმართ (§§ 985, 986); **სარგებლის დაბრუნების მოთხოვნის უფლებები** არამართლზომიერი მფლობელის მიმართ (§987 და მომდევნო პარაგრაფები); **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები** არამართლზომიერი მფლობელის მიმართ (§ 989 და შემდეგი პარაგრაფები); **ხარჯების კომპენსაციის მოთხოვნის უფლებები** მესაკუთრის მიმართ (§ 994 და შემდეგი პარაგრაფები); **ნეგატორული სარჩელი** ზიანის მიმცენებლის მიმართ (§ 1004-ის პირველი ნაწილი)<sup>64</sup> და სხვ; კანონის ის ნორმები, რომლებიც არ შეიცავენ სამართალმთხოვნებს, ითვლება დამხმარე ნორმებად<sup>65</sup>.

გერმანული მეცნიერების სამართალში სამართალურთიერთობის თეორია განვითარდა უფლებებისა და ვალდებულებების განვითარებაში მისი მექანიზმების დეტალური კონკრეტიზაციით. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა სამართალმთხოვნის თეორიის დამუშავებაში. სამართალმთხოვნის სისტემა ემსახურება სამართალურთიერთობის რელიზაციის უზრუნველყოფას, განივთებული სამართალურთიერთობის უფლებებში და ვალდებულებებში.

<sup>63</sup> მით; Арсланов, К. М. К понятию о гражданском правоотношении по германскому праву, 60.

<sup>64</sup> კროპკოლერი, იან, დასახ. ნაშრ; 731.

<sup>65</sup> Арсланов, К. М. К понятию о гражданском правоотношении по германскому праву, 60.

დავით გეგერიძე  
სამართლის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

## ეროვნული და საერთაშორისო ცერემონიალის და პროტოკოლის თანაფარდობისა და დიპლომატიური კორპუსის სამართლებრივი რეგულირების შესახებ

### რეზიუმე

დიპლომატიური კორპუსის მრავალრიცხოვანი ფუნქციების შესასრულებლად, ყველა ქვეყანაში იქმნება შესაბამისი სამსახურები. დღესდღეობით მსოფლიოში ჩამოყალიბებულია ორი ასეთი სისტემა: 1. *დეცენტრალიზებული* ანუ გადანაწილებული. ამ სისტემის თანახმად, პროტოკოლური ქვედანაყოფები არსებობს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებში, სახელისუფლებო და სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებზე. ეს არის ყველაზე გავრცელებული სისტემა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია). 2. *ცენტრალიზებული* სისტემა, რომლის თანახმად ქვეყანაში იქმნება ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, სხვადასხვა დონის თანამდებობის პირების საერთაშორისო კონტაქტების პროტოკოლურ უზრუნველყოფას.

პროტოკოლის და ცერემონიალის ორგანიზებისა და ჩატარების ეროვნული სპეციფიკა, დიპლომატიური პროტოკოლი და დიპლომატიური ცერემონიალი – ეს არის დიპლომატიურ პრაქტიკაში არსებული წესების, ტრადიციების და პირობითობების სისტემა.

სტატიაში განხილულია მნიშვნელოვანი დებულებები ეროვნული და საერთაშორისო ცერემონიალის და პროტოკოლის თანაფარდობისა და დიპლომატიური კორპუსის სამართლებრივი რეგულირების შესახებ.

**Davit Geperidze**  
*Doctor of Law, Associate Professor*

## About National and International Ceremonies and Protocols Relativity and Diplomatic Corps Legal Regulations

### Abstract

In order to fulfill the numerous functions of diplomatic corps, relevant services are created in countries all over the world. Nowadays, there are two such systems in the world: 1. Decentralized or divided. According to this system, protocol subdivisions exist in different state institutions, at different levels of state and government ruling. This is the most common system (US, UK, Germany, Japan). 2. Centralized system – according to which a major coordinating body is established in the country, which carries out a single state policy, to provide different level public officials with international contacts.

National features of organizing and conducting protocols and ceremonies, diplomatic protocols and diplomatic ceremonies – is the system of rules, traditions and conventions in diplomatic practice.

Important provisions on national and international ceremonies and protocols relativity and legal regulation of diplomatic corps are discusses.



## ეროვნული და საერთაშორისო ცერემონიალის და პროტოკოლის თანაზარდობისა და დიპლო- მატიური კორპუსის სამართლებრივი რეგული- რების შესახებ

დიპლომატიური კორპუსის მრავალრიცხოვანი ფუნქციის შესასრულებლად ყველა ქვეყანაში იქმნება შესაბამისი სამსახურები. ამ სამსახურების სტრუქტურა შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. დღესდღეობით, მსოფლიოში ჩამოყალიბებულია ორი ასეთი სისტემა: 1. *დეცენტრალიზებული* ანუ გადანაწილებული; ამ სისტემის თანახმად, პროტოკოლური ქვედანაყოფები არსებობს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებში, სახელისუფლებო და სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებზე. ეს არის ყველაზე გავრცელებული სისტემა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია). 2. *ცენტრალიზებული* სისტემა, რომლის თანახმად, ქვეყანაში იქმნება ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, სხვადასხვა დონის თანამდებობის პირების საერთაშორისო კონტაქტების პროტოკოლურ უზრუნველყოფას. ამ სისტემის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საფრანგეთისა და იტალიის პროტოკოლის სამსახურები. თუმცა, ამგვარი დაყოფა საკმაოდ პირობითია. ხშირად კონკრეტულ ქვეყანაში შესაძლოა როგორც ერთი, ასევე მეორე სისტემის ელემენტების არსებობა.

*საქართველო:* აღმასრულებელ სფეროში ფუნქციონირებს სამთავრობო დაწესებულებების პროტოკოლის სხვადასხვა სახის სამსახური (დეპარტამენტი, სამმართველო, სამსახური, განყოფილება) რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობებით. საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ამოცანაა: “უზრუნველყოს უმაღლესი და მაღალი დონის სახელმწიფოთაშორისი ღონისძიებების განხორციელებისას დიპლომატიური პროტოკოლის წესების დაცვა; კონტროლი გაუწიოს დიპლომატიური და საკონსულო პრივილეგიებისა და იმუნიტეტის დაცვის მდგომარეობას”<sup>1</sup>. ამავე სამინისტროს შემადგენლობაში შედის „დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანაა სამინისტროს საქმიანობის პროტოკოლური უზრუნველყოფა, უმაღლესი დონის სახელმწიფო და სამთავრობო დელეგაციათა ვიზიტების მომზადება-გამართვა, საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების, მათი მოადგილეების, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების, საერთაშორისო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და მათი წარმომადგენლების, აგრეთვე საქართველოს მაღალი დონის დელეგაციების, საგარეო საქმეთა მინისტრის, მისი მოადგილეების საზღვარგარეთის ქვეყნებში ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების (შეხვედრების) ორგანიზება; საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენ-

<sup>1</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N 206 დადგენილება „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი) [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

ლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიების თანამშრომელთა იმუნიტეტისა და პრივილეგიების დაცვის კონტროლი, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის პროტოკოლური უზრუნველყოფა<sup>2</sup>.

**პროტოკოლის და ცერემონიალის ცნება და სახეობები.** „საზოგადოებრივ ურთიერთობებში სავალდებულოა მხარეების მიერ გარკვეული წესების პატივისცემა, რის გარეშეც საერთაშორისო არენაზე ქაოსი და ანარქია გამეფდება. უხსოვარი დროიდან სახელმწიფოები ცდილობდნენ ერთმანეთთან ურთიერთობისათვის შეექმნათ წესების და კანონების კრებული, ქცევის წესები“<sup>3</sup>. პროტოკოლის და ცერემონიალის ორგანიზებისა და ჩატარების ეროვნული სპეციფიკა, დიპლომატიური პროტოკოლი და დიპლომატიური ცერემონიალი – ეს არის დიპლომატიურ პრაქტიკაში არსებული წესების, ტრადიციების და პირობითობების სისტემა. ამჟამად, დიპლომატიური პროტოკოლი და დიპლომატიური ცერემონიალი სრულდება სხვადასხვა შემთხვევაში, მათ შორის: სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლებრივი ცნობის დროს; დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების დროს; დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელების დანიშვნის დროს; მათ მიერ რწმუნებათა სიგელების გადაცემისას; საუბრებისა და მოლაპარაკებების გამართვის დროს; შეთანხმებების ხელმოწერების დროს; ოფიციალური დელეგაციების დახვედრისა და გაცილების ორგანიზებისას; საზეიმო ან სამგლოვიარო ცერემონიებში მონაწილეობის დროს. დიპლომატიური პროტოკოლის ნორმების და დიპლომატიური ცერემონიალის საფუძველზე იმართება დიპლომატიური მიღებები, ინარმოება დიპლომატიური მიმონერა, ხორციელდება მისიის მუშაობა. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო მოღვაწეების და დელეგაციების ვიზიტებს. ვიზიტის პროგრამიდან გამომდინარე, ისინი იყოფა ოფიციალურ და არაოფიციალურ ვიზიტებად, საქმიან შეხვედრებად ან გავლით ვიზიტებად. თუ სახელმწიფოს მეთაური ოფიციალური ვიზიტით სტუმრობს სხვა სახელმწიფოს, მას აეროპორტში ან მატარებლის სადგურზე ხვდება მიმღები მხარის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი, აღიმართება მაღალი სტუმრის ქვეყნის და მასპინძელი ქვეყნის დროშები. მწკრივდება სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული, ორკესტრი ასრულებს ორივე ქვეყნის ჰიმნს. სტუმარი ქვეყნის მეთაურს წარუდგენენ დიპლომატიური ურთიერთობების ხელმძღვანელებს, რომლებიც აკრედიტებულნი არიან მიმღებ ქვეყანაში და მონაწილეობენ დახვედრის ცერემონიაში, მისთვის განკუთვნილ რეზიდენციამდე, სახელმწიფოს მეთაურის ავტომობილს თან ახლავს მოტოციკლისტების საპატიო ესკორტი. იგივე სრულდება მაღალი სტუმრის გაცილების დროს. ქვეყანაში მოგზაურობისას, უცხო ქვეყნის მეთაურს თან ახლავს მიმღები ქვეყნის ოფიციალური პირი. კონკრეტულ ადგილებზე შეხვედრების დროს, სტუმართმოყვარეობის ნიშნად, სტუმარს მიართმევენ პურს და მარილს. არაოფიციალურ ვიზიტებს განეკუთვნება მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების დასასვენებლად, სამკურნალო, პირადი მიზნებით, სტუმრის და ტურისტის სტატუსით ჩამოსვლა. ასეთ შემთხვევებში, პროტოკოლის და ცერემონიალური ღონისძიებები არ იმართება. საქმიანი შეხვედრები იმართება უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეების ჩამოსვლისას, მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებზე, საერთაშორისო კონფერენციებში, თათბირებში მონაწილეობის მისაღებად, ოფიციალური გამოფენების გახსნის დროს, მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებების ხელმოწერისას და ა.შ. ცერემონიალური ღონისძიებების ნაწილი, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური ვიზიტების დროს, ამ დროს არ იმართება. გავლით ვიზიტის დროს, უცხო

<sup>2</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N 206 დადგენილება „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მე-7 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი) [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

<sup>3</sup> იხ. ალექსანდრე ჩიკვაიძე ჰამლეტ ჭიპაშვილი, „დიპლომატიის სამხარეულო“, თბ., 2008, გვ. 183

ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწე, ხშირად მხოლოდ აეროპორტში ყოფნით შემოიფარგლება. მასთან შესახვედრად ადგილზე მიდის მიმღები ქვეყნის მისი თანაფარდი სტატუსის მქონე სახელმწიფო მოღვაწე. ასეთ დროს, ცერემონიალური ღონისძიებები მინიმალურია. დიპლომატიურ პრაქტიკაში დაუშვებლად ითვლება დიპლომატიური პროტოკოლის და ცერემონიალის ნორმების დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორმხრივი ურთიერთობების სერიოზულ გართულებას. იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოებს შორის იწყებოდა შეიარაღებული კონფლიქტი მხოლოდ იმის გამო, რომ ოფიციალური სადილის დროს დიპლომატები მაგიდასთან განათავსეს რიგითობის დარღვევით და მათი რანგისთვის შეუსაბამოდ<sup>4</sup>. და მაინც, დიპლომატიური პროტოკოლი გამოირჩევა დიდი მოქნილობით. სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ, პროტოკოლით გათვალისწინებულ ღონისძიებას, შესაძლოა მიენიჭოს შესაბამისი ელფერი. მაგალითად, რომელიმე მომენტის საზეიმო ხასიათის განსაკუთრებით ხაზგასმა ან ცალკეული შეხვედრის მნიშვნელოვნების დონის გაზრდა.

**ცერემონიალური და პროტოკოლური ღონისძიებების თავისებურებები.** თანამედროვე პირობებში, ორმხრივი დიპლომატია ხორციელდება ძირითადად დიპლომატიური წარმომადგენლობის ან სპეციალური მისიების მეშვეობით. დიპლომატიური წარმომადგენლობების გაცვლა, შესაძლოა სხვადასხვა დონეზე მოხდეს. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენციის თანახმად, „წარმომადგენლობების ხელმძღვანელები დაყოფილნი არიან სამ საკლასო ჩინად: ა) ელჩების და ნუნციების (ამგვარად იწოდებიან ვატიკანის წარმომადგენლები) საკლასო ჩინი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან; ბ) დესპანების და ინტერნუნციების საჩინო კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან; გ) საქმეთა რწმუნებულების (მუდმივი) კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საგარეო საქმეთა სამინისტროში. კლასი, რომელსაც უნდა მიეკუთვნებოდნენ დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელები, განისაზღვრება სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე“<sup>5</sup>. არავითარი განსხვავება წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან შესაბამის კლასს, გარდა უფროსობისა, არ არსებობს. წარმომადგენლობის ხელმძღვანელის რწმუნების სიგელებში ცვლილება, რომელიც არ იწვევს კლასის ცვლილებას, არ აისახება მათ უფროსობაზე<sup>6</sup>. ამგვარად, დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს, რომლებიც იმყოფებიან მიმღებ ქვეყანაში, გააჩნიათ სხვადასხვა საკლასო ჩინი. დიპლომატიური პრაქტიკა ჯერ კიდევ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კლასთან, ცერემონიალთან და ეტიკეტთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, ელჩების, დესპანების და საქმეთა მუდმივი რწმუნებულების სამართლებრივი მდგომარეობა არსებითად, დიდად არ განსხვავდება. დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის კლასი უნდა გავარჩიოთ დიპლომატიური წარმომადგენლის რანგისგან. როგორც წესი, დიპლომატიური წარმომადგენლის კლასი ემთხვევა რანგს, მაგრამ თუ წარმომადგენლის კლასთან დაკავშირებული საკითხი განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლით, რანგების საკითხი რეგულირდება თითოეული ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით<sup>7</sup>. შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში, როგორც მათ უცხოურ

<sup>4</sup> Бекяшев К.А., Л. П. Ануфриева, Международное публичное право, М.,2005, стр. 784

<sup>5</sup> იხ. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენცია, (მუხლი 15) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf>

<sup>6</sup> იქვე, (მუხლი 16, პ. 2).

<sup>7</sup> დაწვრ. იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 მაისის N 99 ბრძანება „დიპლომატიური რანგის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“



წარმომადგენლობებში, ასევე, ცენტრალურ უწყებაში არსებობს ატაშეს, მესამე მდივნის, მეორე მდივნის, პირველი მდივნის, მრჩეველის, დესპანის და ელჩის რანგები. გარდა ამისა, არსებობს ამ რანგების რიგი გრადაციები. ატაშე – დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პირის თანამდებობა ან რანგი. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ატაშეს შემდეგი კატეგორიები: 1) სამხედრო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ატაშეები არიან თავიანთი სამხედრო უწყების წარმომადგენლები, მიმღები ქვეყნის სამხედრო უწყებაში. იმავდროულად, ისინი არიან დიპლომატიური წარმომადგენლის მრჩეველები სამხედრო საკითხებში. სამხედრო ატაშეების მთელი საქმიანობა თანხვედრაშია საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, მასპინძელი ქვეყნის კანონებსა და წეს-ჩვეულებებთან; 2) სპეციალური ატაშეები არიან თავიანთი ქვეყნის სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსურ, სავაჭრო, კულტურის, მეცნიერების და ა.შ. სფეროებში. ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, ინიშნებიან შესაბამისი დარგების კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომლებსაც ევალებათ მიმღებ ქვეყანაში, მათი კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხების შესწავლა, ასევე ოპერატიული სამუშაოს წარმოება, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ წარმომადგენელ უწყებებსა და მიმღები ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის კავშირების განვითარებას. ზოგჯერ სპეციალური ატაშეს მინიჭებული აქვს მრჩეველის რანგი; 3) პრეს-ატაშე – დიპლომატიური წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომელი (ეს შეიძლება იყოს მრჩეველი), რომელიც განაგებს ამ წარმომადგენლობის პრესისა და ინფორმაციის საკითხებს; 4) დიპლომატიური ატაშე – დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის უმცროსი დიპლომატიური თანამშრომელი; დიპლომატიური ატაშეს თანამდებობაზე ინიშნებიან ის პირები, რომლებიც იწყებენ დიპლომატიურ სამსახურს; 5) საპატიო ატაშე – პირი, რომელმაც აირჩია დიპლომატიური კარიერა, მაგრამ ჯერ არ ირიცხება მუდმივ სამსახურში და არ იღებს ხელფასს. საპატიო ატაშეს აქვს უფლება გაიაროს სტაჟირება რომელიმე დიპლომატიურ წარმომადგენლობაში. სტაჟირების დასრულების შემდეგ, ის ჩაირიცხება დიპლომატიურ სამსახურში, სრულ განაკვეთზე. ყველა კატეგორიის ატაშე არის დიპლომატიური თანამშრომელი, ირიცხება დიპლომატიურ კორპუსში და სარგებლობს ყველა დიპლომატიური პრივილეგიით და იმუნიტეტით. საქმეთა რწმუნებული. არსებობს საქმეთა რწმუნებულების ორი სახეობა: საქმეთა მუდმივი რწმუნებული და საქმეთა დროებითი რწმუნებული. საქმეთა მუდმივი რწმუნებული (Charge d’Affaires en pied), „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენციის თანახმად<sup>8</sup>, წარმოადგენს მესამე კლასის აგენტს. ის აკრედიტებულია არა სახელმწიფოს მეთაურთან, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროში. საქმეთა მუდმივი რწმუნებული მიმღები ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს რწმუნებულების სიგელის ნაცვლად გადასცემს საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილს. საქმეთა დროებითი რწმუნებული (Charge d’Affaires ad interim) – პირი, რომელიც ხელმძღვანელობს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლის არყოფნის შემთხვევაში. ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, ინიშნება დიპლომატიური წარმომადგენლობის უფროსი დიპლომატიური მოსამსახურე. საქმეთა დროებითი რწმუნებული არის თავისი სახელმწიფოს წარმომადგენელი მიმღებ ქვეყანაში და ის სარგებლობს დიპლომატიური წარმომადგენლის ყველა უფლებით და პრივილეგიით, პროტოკოლით გათვალისწინებული ზოგიერთი პატივის გარდა, რომელიც ნაკლებად ვრცელდება საქმეთა დროებით რწმუნებულზე, დიპლომატიურ წარმომადგენელთან (ელჩი ან

<sup>8</sup> იხ. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენცია, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf>



დესპანი) შედარებით. საქმეთა დროებით რწმუნებულზე, აგრემანი<sup>9</sup> არ მოითხოვება. საქმეთა დროებითი რწმუნებულის დანიშნვის შესახებ ეცნობება მიმღები ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, დიპლომატიური წარმომადგენლის პირადი წერილით, მისი ქვეყნიდან გამგზავრების წინა დღეს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნიდან დიპლომატიური წარმომადგენლის გამგზავრების შემდეგ, საელჩოში რაიმე მიზეზით არ რჩება დიპლომატიური რანგის მქონე თანამშრომელი, დიპლომატიური წარმომადგენლობის საქმეთა მართვა ეკისრება უფროს თანამშრომელს პერსონალიდან. ასეთ შემთხვევაში, ეს თანამშრომელი ხდება უბრალოდ საქმეთა რწმუნებული (Charge d'Affaires). მას არ შეუძლია შეასრულოს თავისი სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციები, აწარმოოს ურთიერთობა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიმღები ქვეყნის სხვა სამთავრობო უწყებებთან. მისი მოვალეობები შემოიფარგლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის საქმეთა (შიდა) მართვით. დიპლომატიური უფროს-უმცროსობა – არის დიპლომატიური ცერემონიალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წესი, რომელიც დაცული უნდა იქნას საჯარო წვეულებაზე მონევეული დიპლომატიური კორპუსის კოლექტიურ უფროს-უმცროსობასთან მიმართებაში; უფროს-უმცროსობა დიპლომატიურ წარმომადგენლობების მეთაურებს შორის, უფროს-უმცროსობა დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებას შორის; უფროს-უმცროსობა დიპლომატებს შორის დიპლომატიური წარმომადგენლობის შიგნით. ოფიციალურ საჯარო ღონისძიებაზე, ცერემონიაზე და ა.შ. მიწვეული დიპლომატიური კორპუსისთვის გამოიყოფა საპატიო პირველი ადგილი, ამ წვეულებაზე ან ღონისძიებაზე დამსწრე, სახელმწიფოს მეთაურის ან მთავრობის უშუალო სიახლოვეს. პატივი უნდა მიეგოს დიპლომატიური კორპუსის ერთიანობას, რის გამოც არ უნდა მოხდეს ელჩების, დესპანების და საქმეთა რწმუნებულების განცალკევება (მათთვის სხვადასხვა ადგილის მიჩენა). დიპლომატიური წარმომადგენლობების დიპლომატიური უნცროს-უფროსობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილია, „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ 1961 წელს მიღებული ვენის კონვენციის თანახმად<sup>10</sup>, რომელიც შემდეგია: ელჩები, დესპანები, საქმეთა მუდმივი რწმუნებულები. დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურების თითოეული საკლასო ჩინის შიგნით, უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ადგილობრივი პრაქტიკიდან გამომდინარე: ან მიმღებ ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლის ჩამოსვლის თარიღის მიხედვით ან მის მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის თარიღის მიხედვით. დროებითი რწმუნებულების უფროს-უმცროსობა განისაზღვრება დიპლომატიური წარმომადგენლის საკლასო ჩინით, რომელსაც ისინი ცვლიან და მათ მიერ თანამდებობის დაკავების თარიღის შესახებ შეტყობინებიდან. 1815 წლის ვენის კონგრესის დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლების დებულებები იმის შესახებ, რომ „ყოველ სახელმწიფოში უნდა დადგინდეს თითოეული კლასის დიპლომატიური აგენტების მიღების ერთგვაროვანი წესი“ და, რომ „ნათესაური კავშირი ან ოჯახური კავშირები სხვადასხვა სამეფო კარს შორის, არ ქმნის არავითარ უპირატესობას რანგებში, მათი წარმომადგენლებისთვის“<sup>11</sup>. აღნიშნული შეეხება პოლიტიკურ გაერთიანებებსაც. ისინი საყოველთაოდ იყო აღიარებული და 1961 წლის ვენის კონვენციის დადებამდე, წარმომადგენლებს ყველა ქვეყნის დიპლომატიური ცერემონიალის

<sup>9</sup> აგრემანი – თანხმობა დიპლომატიური წარმომადგენლობის მიღების შესახებ. იხ. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, [3 ტომად], შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. – I-ლი გამოც., თბ., 2006.

<sup>10</sup> იხ. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენცია, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf>

<sup>11</sup> იხ. Заключениеный акт Венского конгресса (1815 г.), <http://www.history.ru/content/view/1226/87/>

ნესების საფუძველს. ეს პრინციპები დადასტურებულია ასევე, ვენის კონვენციის 14-ე მუხლის მე-2 პუნქტში: „წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს შორის არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება, მათი საკლასო ჩინის მიუხედავად, გარდა უფროს-უმცროსობისა და ეტიკეტის პრინციპებისა, აგრეთვე, მე-18 მუხლი: „თითოეულ ქვეყანაში დაცული წესი, წარმომადგენლობების ხელმძღვანელების მიღების დროს, ერთნაირი უნდა იყოს თითოეული საკლასო ჩინის მიმართ“<sup>12</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დებულებების პრაქტიკაში განხორციელებისას, დაცული უნდა იქნას უფროს-უმცროსობა დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის და არ მიენიჭოს უფროსობა რაიმე მოსაზრებით ამა თუ იმ დიპლომატიურ წარმომადგენელს, სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების უფროს-უმცროსობის შელახვით. ამ მნიშვნელოვანი წესის დარღვევა, რომელიც აკნინებს დიპლომატიური წარმომადგენლების ღირსებას, შესაძლოა გახდეს დისკრიმინაციაში ბრალდების საფუძველი და გამოიწვიოს სერიოზული გართულებები ქვეყნის ხელისუფლებასა და დიპლომატიურ კორპუსს შორის. საწმენდაროდ საქართველოში ბოლო ოფიციალური ვიზიტების დროს შეინიშნება ცერემონიალური და პროტოკოლური ღონისძიებების დარღვევის ტენდენცია.

**დიპლომატიური კორპუსი.** სიტყვა „დიპლომატიური კორპუსი“ ორი მნიშვნელობა აქვს და ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს – ერთად აღებულს და მეორე შემთხვევაში აღნიშნულ წარმომადგენლობებში მომუშავე ყველა დიპლომატიურ მუშაკს, მათი ოჯახის წევრებს (მეუღლეებს, არასრულწლოვან შვილებს და სხვ.)<sup>13</sup>. დიპლომატიური კორპუსი – უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელების ერთობლიობა, რომელიც აკრედიტებულია მოცემულ ქვეყანაში. ესენი არიან ელჩები, დესპანები, საქმეთა მუდმივი რწმუნებულები, საქმეთა დროებითი რწმუნებულები, ასევე ნუნციები და ინტერნუნციები – ვატიკანის დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელები. ამ სიტყვის ფართო გაგებით, „დიპლომატიური კორპუსი“, გარდა დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებისა, გულისხმობს დიპლომატიური წარმომადგენლობების ყველა დიპლომატიურ მოსამსახურეს, რომლებიც აღიარებულნი არიან ასეთად მასპინძელი ქვეყნის მთავრობის მიერ. კერძოდ: საელჩოებისა და მისიების მრჩეველები, პირველი, მეორე და მესამე მდივანი და ატაშე; სამხედრო, საზღვაო და საჰაერო ატაშეები, მათი თანამემწეები; სპეციალური მრჩეველები და სპეციალური ატაშეები (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ფინანსური, პრესის, კულტურის, მეცნიერების, შრომის და ა.შ. დარგებში). პირადობის მოწმობის სახით, ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყება ასეთ პირზე გასცემს დიპლომატიურ ბარათს. რა თქმა უნდა, დიპლომატიური მოსამსახურის დიპლომატიური ხარისხი აღიარებული უნდა იქნას, პირველ რიგში, თავისი მთავრობის მიერ, მასზე დიპლომატიური პასპორტის გაცემის შემდეგ. მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყებას შეუძლია უარი განაცხადოს ამა თუ იმ დიპლომატიური მოსამსახურის დიპლომატიური ხარისხის აღიარებაზე, თუ მის მიერ დაკავებული თანამდებობა არ შეესაბამება დიპლომატიური მოსამსახურეების საყოვეთაოდ მიღებულ ნომენკლატურას ან ამ თანამშრომლების ნომენკლატურას, რომელიც მოქმედებს მოცემულ დიპლომატიურ კორპუსში. დიპლომატიურ კორპუსს მიეკუთვნებიან ასევე, მათი ოჯახის წევრები – მეუღლეები, გასათხოვარი ქალიშვილები, არასრულწლოვანი ვაჟები. საგარეო საქმეთა უწყება რეგულარულად გამოსცემს დიპლომატიური კორპუსის ცნობარს, რომელშიც მითითებულია დიპლომა-

<sup>12</sup> იხ. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენცია, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf>

<sup>13</sup> იხ. ჰამლეტ ტიპაშვილი, „დიპლომატია“, თბ., 2007, გვ. 112

ტიური მოსამსახურეების გვარები, რომლებიც დაჯგუფებულნი არიან შესაბამისი საელჩოების და მისიების მიხედვით, მათი მისამართები და სამსახურის და სახლის ტელ. ნომრებით. დიპლომატიური კორპუსი – კოლექტიური ორგანიზაცია, მაგრამ ის არ წარმოადგენს ინსტიტუტს, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართალის რაიმე ნორმაზე, ის აგრეთვე, არ არის პოლიტიკური გაერთიანება ან ორგანიზაცია, რომელიც აღჭურვილია იურიდიული პირის უფლებებით. დიპლომატიური კორპუსი – ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ცალკეული დიპლომატიური წარმომადგენლობების ერთობლიობა, რომელთა ერთიანობა გამოიხატება მხოლოდ ადგილსამყოფელით და საქმიანობით. დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური გამოსვლა მასპინძელი მთავრობის წინაშე არ ითვლება მართლზომიერად, ვინაიდან ყოველი ქვეყანა ურთიერთობას აგებს სხვა ქვეყნებთან არა მხოლოდ საკუთარი შიდა და საგარეო პოლიტიკის, არამედ მასთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის გათვალისწინებით, ორმხრივობის პრინციპზე დაყრდნობით. საერთაშორისო პრაქტიკით დასაშვებია დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური გამოსვლა მხოლოდ ცერემონიალურ (პროტოკოლურ) საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად: მილოცვა, სამძიმარი, და ა.შ. მიმღები ქვეყნის მიმართ. როგორც წესი, დიპლომატიური კორპუსის სახელით გამოდის დუაიენი. თავის გამოსვლას ის ათანხმებს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებთან. ზოგ შემთხვევაში, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, იქამდე ვიდრე გასცემს დიპლომატიური კორპუსის კოლექტიურ გამოსვლაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობას, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მან უნდა გამოითხოვოს საკუთარი მთავრობის მითითება. ამგვარად, დიპლომატიური კორპუსის მეთაურია დუაიენი (უფროსი ან დეკანი). ის არის საკლასო ჩინით უფროსი და მსახურობის ხანგრძლივობით პირველ ადგილზე მყოფი დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი მოცემულ ქვეყანაში. ის კონსულტაციას უწევს თავის კოლეგებს ადგილობრივ დიპლომატიურ წესჩვეულებებთან დაკავშირებით და უძღვება დიპ.კორპუსს პროტოკოლურ ღონისძიებებზე. ზოგერთ კათოლიკურ ქვეყანაში, ვატიკანის ელჩს (ნუნციას) გააჩნია დიპლომატიური უფროსობა სხვა ელჩებთან მიმართებაში განურჩევლად მისი მიმღებ ქვეყანაში ჩამოსვლის ან რწმუნების სიგელების ჩაბარების თარიღისა. სწორედ აღნიშნული ტრადიციის თანახმად, ამ ქვეყნებში, ნუნცია ყოველთვის არის დიპ.კორპუსის დუაიენი<sup>14</sup>. იმ ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, რომელთაც არ აქვთ ურთიერთობა დიპ.კორპუსის დუაიენის მიერ წარმოდგენილ ქვეყანასთან, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით კავშირს ამყარებენ, დიპლომატიურ წარმომადგენელთან, რომელსაც უკავია მეორე ადგილი დუაიენის შემდეგ. დუაიენი არის აღიარებული შუამავალი, დიპ.კორპუსსა და იმ მთავრობას შორის, რომელთანაც ის არის აკრედიტებული. მას შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან თავისი კოლეგების თხოვნით, მიიღოს ყველა ზომა მთელი დიპ.კორპუსის ან მისი ცალკეული წევრების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად და მოითხოვოს მათ პრეროგატივების, პრივილეგიების და იმუნიტეტების პატივისცემა. მთლიან დიპ.კორპუსთან დაკავშირებული შეტყობინებები, რომელთა გაგზავნა დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებთან სურს საგარეო საქმეთა სამინისტროს, გადაიცემა დიპ კორპუსის დუაიენის მეშვეობით, რომელიც იღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს თავისი კოლეგების ინფორმირება. დუაიენი უნდა შეეცადოს შეკრას დიპ.კორპუსი და ხელი შეუწყოს მათ წევრებს შორის საქმიან და მეგობრულ ურთიერთობებს. ეს ერთიანობა შესაძლოა შეირ-

<sup>14</sup> იხ. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენცია, (მუხლი 16 , პ.3) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf>

ყეს რაიმე საეთაშორისო მოვლენით, რომელთანაც არ აქვს შეხება დიპლომატიების ადგილსამყოფელ ქვეყნებს (დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, საომარი მდგომარეობები განაპირობებს იმას, რომ ორი მტრული ქვეყნის წარმომადგენლები და, შესაბამისად, მათი დიპლომატიური წარმომადგენლები წყვეტენ ოფიციალურ და პირად ურთიერთობებს). ასეთ ვითარებაში დიპ.კორპუსის დუაინი ვალდებულია შეათანხმოს თავისი ქმედებები მიმღები ქვეყნის პროტოკოლის სამსახურთან, რათა თავიდან აიცილოს გაუგებრობები. როგორც, წესი პროფესიონალი დიპლომატიები გაურბიან გართულებულ მდგომარეობას, ვინაიდან, მათთვის კარგად გასაგებია, რომ შექმნილ მდგომარეობას აქვს ცვალებადი ხასიათი და არ არის საჭირო სიძნელების შექმნა ნორმალური ურთიერთობების აღდგენის გზაზე. დიპ.კორპუსის დუაინის ფუნქციებში შედის მიმღები ქვეყნის პროტოკოლური პრაქტიკის საკითხები. ზოგჯერ დუაინი გამოდის დიპ.კორპუსის პროტოკოლური ხასიათის პრივილეგიების დასაცავად. მაგალითად, დიპლომატიური კორპუსის წევრების უფროს-უმცროსობა ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან მიმართებაში, დიპლომატიური კორპუსის მონაწილეობა რაიმე სახის ცერემონიაში, დიპ.კორპუსის ადგილები ამ ცერემონიაზე. მიმღები ქვეყნის ხელისუფლებასა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის უფროსობის საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო პრაქტიკაში ძირითადად დაცულია წესი, რომლის თანახმად უცხოელი ელჩები, როგორც თავიანთი სახელმწიფოს წარმომადგენლები, უშუალოდ მიჰყვებიან სახელმწიფოს მეთაურს. თუმცა პატივისცემის გამოხატვის მიზნით, უცხოელი ელჩები თავად უთმობენ ადგილს პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს. დიპ.წარმომადგენლობა ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი საფუძვლით. ის არის, იურიდიული პირი-საეთაშორისო სამართლის სუბიექტის საგარეო ურთიერთობების ორგანო. სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის სტრუქტურა სხვადასხვაგვარია და განისაზღვრება საკუთარი ტრადიციებისა და მიმღები ქვეყნის მიმართ ურთიერთობის სპეციფიკით. თუმცა, როგორც წესი, საელჩოებში მოქმედებს შემდეგი განყოფილებები: პოლიტიკური, ეკონომიკური, პრესის, კულტურული კავშირების, საკონსულო, სამხედრო ატაშატი, ადმინისტრაციულ – სამეურნეო და კანცელარია. დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლები იყოფიან სამ კატეგორიად: დიპლომატიური, ადმინისტრაციულ – ტექნიკური და მომსახურე პერსონალი. დიპლომატიური პერსონალი შედგება წარმომადგენლობის თანამშრომლებისგან, რომლებსაც გააჩნიათ დიპლომატიური რანგი. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი შედგება თანამშრომლებისგან, რომლებიც დაკავებულნი არიან წარმომადგენლობაში ადმინისტრაციულ-ტექნიკური ხასიათის სამუშაოთი. მომსახურე პერსონალი, უზრუნველყოფს წარმომადგენლობის ოფისის დასუფთავება-დალაგებას და თანამშრომლების ყოფითი საჭიროებების დაკმაყოფილებას. დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის თანახმად<sup>15</sup>, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებოს კონკრეტული შეთანხმება წარმომადგენლობაში მომუშავე პერსონალის რიცხოვნობასთან დაკავშირებით, მიმღებ ქვეყანას შეუძლია შესთავაზოს, რომ აკრედიტაციის გამცემი სახელმწიფოს წარმომადგენლობის პერსონალის რიცხოვნობა შენარჩუნებული იქნას იმ ფარგლებში, რომლებსაც ის მიიჩნევს გონივრულად და ნორმალურად. მიმღებ სახელმწიფოში არსებული ვითარებისა და პირობების და აგრეთვე, მოცემული წარმომადგენლობის საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია იგივე საფუძვლებით, დისკრიმინაციის გარეშე, უარი თქვას გარკვეული კატეგორიის თა-

<sup>15</sup> იხ. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენცია, (მუხ.11. პ.1 და 2.) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf>



ნამდებობის პირების მიღებაზე, რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, უარი თქვას გარკვეული კატეგორიის თანამდებობის პირების მიღებაზე, ისევე როგორც მას გააჩნია უფლება, უარი თქვას მიიღოს ნებისმიერი თანამდებობის პირი, თუმცა, მიმღები სახელმწიფო ვალდებულია ეს უფლება გამოიყენოს გონივრულ ფარგლებში.

**მანანა ალადაშვილი**

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ტურიზმის საბაკალავრო  
პროგრამის ხელმძღვანელი

## ტურიზმის მართვის სამართლებრივი საფუძვლები და სახელმწიფო რეგულირება

### რეზიუმე

ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ როლს თამაშობენ ტურიზმის განვითარებაში და საერთაშორისო-სამართლებრივი გარემოს შექმნაში.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, გააძლეს სპეციალიზებული ორგანო, რომელიც არის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ტურიზმის სფეროში, კონცენტრირებულია საერთაშორისო ტურიზმის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე და შედარებაზე. ამ ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მონოდედებული მონაცემები საშუალებას იძლევა გაკეთდეს მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის ზრდისა და შემცირების შედარებითი ანალიზი.

საქართველო ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის თანადგომით ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, მათ შორის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ტურიზმის მდგრადი განვითარების გეგმას.

ქვეყანაში აუცილებელია ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის არსებითი განახლება და მისი მიღება ქვეყნის პარლამენტის მიერ. აგრეთვე ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამებისა და კონცეფციის შემუშავება საერთაშორისო კონვენციების, შეთანხმებისა და ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეროვნულ კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაციის მიზნით, რაშიც დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო რეგულირება, საერთაშორისო ტურიზმი, მდგრადი განვითარება





**Manana aladashvili**

*Associate Professor*

*At New Higher Education Institute*

## **Legal Basis for Tourism Management and State Regulation**

### **Abstract**

A process of active integration in world community has begun, since Georgia has gained a political independence. Since then Georgia has established relationships with tourist organizations and particularly dense is the relationship with World Tourist Organization.

WTO is the important organization that operates in every corner of the world and it is oriented on gathering and comparing statistical data about an international tourism.

Georgian and World Tourism organization are beginning to implement joint projects. These projects are development of tourism in the region of South Caucasus and initiative for development of tourism at Black Sea.

Education council of UNWTO has established the network (community) of education and learning in 1990. It is a consortium of schools that operates with World Tourist Organization for development of a strategic plan, as well as for development of education facilities in the tourism field at the level of universities. Its goal is to improve professionalism and quality in the fields of tourism education and learning.

In spite of this, more cooperation and integration in international structures are necessary to develop Georgian tourism opportunities and satisfy demands of tourists. It is also necessary to improve environment in financial and legislative sectors, as well as support sustainable development of tourism.

მანანა ალადაშვილი

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის  
ხელმძღვანელი

## ტურიზმის მართვის სამართლებრივი საფუძვლები და სახელმწიფო რეგულირება

ტურიზმმა და საერთაშორისო მოგზაურობამ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთმა ფორმამ, თანამედროვე პირობებში უდიდესი მასშტაბები შეიძინა და არსებით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებზე. ერთი მხრივ, იზრდება საქმიანი და კულტურული მიზნით მოგზაურობათა მოცულობა, მეორე მხრივ, ხდება სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფა, რასაც მივყავართ მოგზაურობათა დაჩქარებისა და გაიაფებისაკენ. განსაზღვრულ როლს თამაშობს აგრეთვე ვალუტის გატანაზე შეზღუდვების შესუსტება და ვიზა ლიბერალიზაცია. [3]

სტამბოლსა (1992წ.) და ვარშავაში (1993წ.) მტო-ს მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე სახელმწიფოებმა მიიღეს ვალდებულება ტურისტული მომსახურების ხარისხის სრულყოფისა და ახალი ტურპროდუქტის სახეების შემოღების შესახებ. პირველ რიგში სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ ტურიზმის რეგულირების სრულყოფის ნებსებს, რადგანაც ტურისტული კავშირები და საერთაშორისო მოგზაურობები თანამედროვე ურთიერთობებში საჭიროებენ სამართლებრივ რეგულირებას, რომელსაც ანესრიგებს საერთაშორისო ტურისტული სამართალი, წარმოადგენს პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას და არეგულირებს სახელმწიფოთა საქმიანობას ტურიზმისა და მოგზაურობის სფეროში. [3]

საერთაშორისო ტურისტული სამართლის წყაროებია: კონვენცია ტურისტებისათვის საბაჟო შეღავათებზე (მიღებული იქნა გაეროს დიპლომატიურ კონფერენციაზე, 1954 წ.), გაერო და სხვა სპეციალიზებული გაეროს სისტემები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო ტურისტული სამართლის ნორმებისა, რეგულირებისა და უნიფიცირების საფუძველს. მათ ასევე მიეკუთვნება:

- გაეროს რომის კონფერენციის რეზოლუცია საერთაშორისო ტურიზმისა და მოგზაურობის შესახებ (1963წ.);
- ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი (1975წ.);
- საერთაშორისო სასტუმროთა კონვენცია სასტუმროს მფლობელებსა და ტურაგენტებს შორის კონტრაქტის გაფორმების შესახებ (1979წ.);
- საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის მსოფლიო ტურიზმის შესახებ მანილის დეკლარაცია (1980წ.);
- ტურიზმის შესახებ საერთაშორისო თათბირის აკაპულკოს დეკლარაცია (1982წ.);
- ტურისტის კოდექსი და ტურიზმის ქარტია, მონონებული მტო-ს გენერალური ასამბლეის VI

სესიაზე (1985წ.);

- ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლობის ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი (1989წ.);

- ტურიზმის შესახებ ჰააგის დეკლარაცია, მიღებული პარლამენტთაშორის კავშირისა და მტო-ს მიერ (1989წ.);

- მსოფლიო ტურისტული ფორუმის დეკლარაცია ტურიზმის შესახებ მინისტრთა საერთაშორისო კონფერენციისა (1994წ. ოსაკა-იაპონია);

- დირექტივის საფუძველზე ტურსააგენტოსა და კლიენტს შორის ხელმოწერის ტიპიური კონტრაქტი (1995წ.);

- გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ (1997წ.);

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე 1999 წლის 1 ოქტომბერს მიღებულ იქნა “ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი”, რომელშიც ასახულია ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხები.

ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ როლს თამაშობენ ტურიზმის განვითარებაში და საერთაშორისო-სამართლებრივი გარემოს შექმნაში.

**მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO)** – გაერთს სპეციალიზებული ორგანო, რომელიც არის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ტურიზმის სფეროში. ორგანიზაცია დაფუძნდა 1974 წელს მადრიდში. მტო არის მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც კონცენტრირებულია საერთაშორისო ტურიზმის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე და შედარებაზე. ამ ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწოდებული მონაცემები საშუალებას იძლევა გაკეთდეს მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის ზრდისა და შემცირების შედარებითი ანალიზი. [1]

**UNWTO-ს განათლების საბჭო** – 1990 წელს ჩამოაყალიბა განათლებისა და სწავლების ქსელი (კავშირი), სკოლების კონსორციუმი, იმისთვის, რომ ემუშავათ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად, განვითარებინათ სტრატეგიული გეგმა და შეექმნათ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ტურიზმის განათლებისთვის საუნივერსიტეტო დონეზე, გაეუმჯობესებინათ ტურიზმის განათლებასა და სწავლებაში პროფესიონალიზმი და ხარისხი ყველა დონეზე. პროფესიული განათლების განვითარების ევროპულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა ევროპის მოსახლეობის მასშტაბით, რათა განესაზღვრათ, რა სპეციალური ცოდნა და უნარებია საჭირო ტურიზმის ინდუსტრიაში. სასტუმროს, რესტორნისა და ინსტიტუციური განათლების საბჭოს (CHRIE) გრძელვადიანი პროექტი მოწოდებულია და მისი მიზანია შექმნას ცოდნის ეროვნული სტანდარტები ტურიზმის სექტორში. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველა სახის ტურიზმის განათლების პროვაიდერები არიან დიდი რაოდენობით და ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხარისხით. კატალოგების, ინდექსებისა და მონაცემთა ბაზების დიდი რაოდენობა, ტურიზმისა და მასპინძლობის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა, არის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის და სასტუმროს, რესტორნისა და ინსტიტუციური განათლების საბჭოსთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო, Skat International-ი, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია, ტურიზმის

მეშვეობით მშვიდობის დამყარების საერთაშორისო ინსტიტუტები და ა.შ.

**Skal International**-ის არის მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის ლიდერების პროფესიო-ნალური ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება მსოფლიო ტურიზმს და მსოფლიოს ქვეყნებს შორის მეგობრობას. იგი დაარსდა 1934 წელს საერთაშორისო ასოციაციის სტატუსით, ის არის გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ფილიალური წევრი და მხარს უჭერს პასუხისმგებლიანი, მდგრადი და უნივერსალურად ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარებას. Skal International-მა მიიღო ტურიზმის ეთიკის გლობალური კოდექსი. Skal International არის ტურიზმის ინდუსტრიის მძლავრი ძალა, რომელიც გამოიწვევს ცვლილებებს და ხელს შეუწყობს გარემოს კონსერვაციას ტურიზმის განვითარებისათვის.

**საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (International Air Transport Association-IATA)** აერთიანებს უკლებლივ ყველა საერთაშორისო საჰაერო გადამზიდველს – დაახლოებით 230 ავიაკომპანიას, რომელიც შეადგენს რეგულარული საერთაშორისო საჰაერო მოძრაობის 93%-ს. IATA-ს უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს მსოფლიოს რომელიმე წერტილიდან სხვა ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი მარშრუტით მგზავრებისა და ტვირთის უსაფრთხო გადაყვანა/გადატანა.

**საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია (International Civil Aviation Organization-ICAO)** – გაეროს სპეციალიზებული სააგენტო – არის სამოქალაქო ავიაციის გლობალური ფორუმი. ორგანიზაცია დაარსდა 1944 წელს. ICAO მუშაობს უსაფრთხოების, საიმედო და მდგრადად განვითარებადი ხედვის მისაღწევად თავის წევრებთან თანამშრომლობით.

## ტურიზმის მეშვეობით მშვიდობის დამყარების საერთაშორისო ინსტიტუტი

(International Institute for Peace Through Tourism – IIPT) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის იმ ინიციატივებს, რომლებსაც წვლილი შეაქვს საერთაშორისო ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაში, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაში, მემკვიდრეობის დაცვასა და შენახვაში და ამ ინიციატივების მეშვეობით ხელს უწყობს მშვიდობიანი და მდგრადი მსოფლიოს ჩამოყალიბებას.

## ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში

ტურიზმის სამართლებრივი უზრუნველყოფის ძირითადი მიზანი შეიძლება ჩამოვყალიბოთ, როგორც დარგის გამართული ფუნქციონირების ნორმატიული უზრუნველყოფა. ტურიზმის სამართლებრივი უზრუნველყოფის ამოცანაა სახელმეკრულებო ურთიერთობები მომხმარებლებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის, ტურისტული პროდუქტის ხარისხობრივი სტანდარტების დადგენა.

ქვეყნის ტერიტორიაზე ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“.

კანონი განსაზღვრავს ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებს, საქართველოს საკურორტო რესურსებსა და მათით სარგებლობის ძირითად პრინციპებს, ტურიზმისა და კურორტების დარგში სახელმწიფო პოლიტიკასა და სახელმწიფო რეგულირებას. კანონში განსაზღვრულია ტურიზმისა და კურორტების დარგის სახელმწიფო რეგულირების პრინციპები; ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო; დარგის მართვის რეგიონული ორგანიზაციები; ტურისტული და საკურორტო სანარმო-

ების მიერ ლიცენზიის აღების საჭიროება; დარგში მომსახურების სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების საკითხები; ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის ორგანიზების პრინციპები.

საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში სანარმოთა განთავსების, სამენარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს. ადგენს სანიტარიული დაცვის ზონების ზოგად წესებს; განსაზღვრავს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების სახეობებს, სანიტარიული დაცვის ზონების ტიპებს, რეჟიმებს, საზღვრებს; სანიტარიული დაცვის ზონების დაპროექტების ძირითად პრინციპებს.

საქართველოს კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ ადგენს საქართველოში პროდუქციის, მომსახურების, სხვა ობიექტების სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე სერტიფიკაციის მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

კანონი განსაზღვრავს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის (სერტიფიკატის) გაცემის პროცედურებს; ტექნიკური რეგლამენტის მიღების პრინციპებს; პროდუქციის უსაფრთხოებისა და ბაზარზე გატანის საფუძვლებს; აკრედიტაციის პროცესს; შესაბამისობის შეფასების წესს; აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს კომპეტენციებს; ბაზრის ზედამხედველობისა და კონტროლის მიმართულებებს. მოცემული კანონის მოქმედების ქვეშ ხვდება ტურიზმის ინდუსტრიის ყველა წარმომადგენელი, რომელიც ტურისტული პროდუქტის შექმნაში მონაწილეობს.

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ აწესებს მთელ რიგ მოსაკრებლებს, რომელთა გადახდაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით შეიძლება მოუწიოთ ტუროპერატორებს, სასტუმროებს, რესტორნებს, კურორტებს, გართობის ინდუსტრიისა და ტურისტული პროდუქტის ბაზარზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტებს.

სამი ნორმატიული აქტი უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიას არ ეხება, მაგრამ წარმოადგენს იმ ნორმატივებს, რომლებიც ნებისმიერი, მათ შორის ტურიზმის დარგის მდგრად განვითარებას და მაქსიმალურ ეფექტიანობას უზრუნველყოფს. ესენია საქართველოს კანონები „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“.

დაზღვევის როლი ტურისტული ბიზნესის განვითარებაში ერთ-ერთი სასიცოცხლოა, რადგანაც დაზღვევაზე მოთხოვნილება განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ და განვითარებული ქვეყნის მოქალაქე-ტურისტი კი უფრო მომგებიანია ეკონომიკური და რაოდენობრივი თვალსაზრისით სახელმწიფოსთვის. სწორედ უცხოელი ტურისტებისაგან მიღებული შემოსავლები, ინდუსტრიაში მყოფი ფირმების გადასახადები და შანსი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება, ქმნის ამ ქვეყნისათვის განვითარების შესაძლებლობას. იმისათვის, რომ განვითარდეს



ტურისტული ბიზნესი, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებმა შესთავაზოს ტურისტულ სააგენტოებს დაცული სადაზღვევო პაკეტი, კერძოდ, სამოგზაურო დაზღვევა სრული სამედიცინო მომსახურებით.

სამოგზაურო დაზღვევის ბაზრის წილი საგრძნობლად ჩამოუვარდება დაზღვევის სხვა სახეობების წილს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. ეს განპირობებულია მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობით მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში.

ისევ პრობლემად რჩება საზოგადოების დაბალი სადაზღვევო კულტურა და უნდობლობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ. რაშიც აქტიური როლი კვლავ სახელმწიფოს უნდა დაეკისროს. არა და იმ სიტუაციაში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი პოტენციური ტურიზმში იმალება, აუცილებელია სადაზღვევო სისტემის განვითარება, რადგან ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის სანდოობის ამაღლებასა და პარალელურად ტურისტული ნაკადების ზრდას. როდესაც ტურისტს გააჩნია უსაფრთხოების გარანტიები და მისთვის მინიმალურია იმის მოლოდინი, რომ რაიმე არასასიამოვნო მოვლენასთან პირისპირ მოუწევს დაჯახება, ასეთ სიტუაციაში ის აუცილებლად დაუბრუნდება ერთხელ მონახულებულ ადგილს და აუცილებლად ურჩევს ამას სხვასაც.

ტურიზმის დაზღვევის პროდუქტი ქართული სადაზღვევო კომპანიების მიერ 2005 წლიდან მიწოდება მომხმარებელს, ძირითადად სამედიცინო დაზღვევის სახით და მისი წილი ბაზარზე მხოლოდ 2 %-მდეა საერთო მოზიდულ პრემიაში. დაზღვევის ამ სახის გაფართოებისათვის საჭიროა მას მიეცეს სავალდებულო დაზღვევის სტატუსი უცხოეთში გამსვლელი ნებისმიერი მოქალაქისათვის, რომელიც განმტკიცებული უნდა იქნას კანონმდებლობით. მოსახლეობის სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის ასამაღლებლად პროდუქტის შეთავაზების უფლება მიეცეს მაღალი ფინანსური მდგრადობის სადაზღვევო კომპანიებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს სადაზღვევო ანაზღაურების გადაუხდელობას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონით „დაზღვევის შესახებ“. ეს კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს დაზღვევის სფეროში სადაზღვევო ორგანიზაციებსა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის, აგრეთვე თვით სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის, ადგენს სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითად პრინციპებს.

საქართველოს კანონი „ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“. ამ კანონის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მენარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს ქობულეთის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიის ტერიტორიებზე სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

კანონის თანახმად, ინვესტორი ამ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე კანონით გათვალისწინებული პირობებით საინვესტიციო საქმიანობის შემთხვევაში ღებულობს შემდეგ საშეღავათო პირობებს:

1. ინვესტორი თავისუფლდება: ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით; ბ) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე აქტიურად მოქმედებს სავიზო პოლიტიკაც. ქვეყნებთან ვიზა ლიბერალიზაციის პროცესებმა გამოიწვია ტურისტული ნაკადების მომატება.

ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის პირველ რიგში აუცილებელია ქვეყანაში დარგის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდებოდეს ტურიზმისა და კურორტების ძირითადი კანონმდებლობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ



ლიბერალურობასა და დემოკრატიულობას, აგრეთვე კერძო მენარმეებისთვის თავისუფალი საქმიანობის პირობების შექმნას. ჩვენს ქვეყანაში ამ მიზნით მიღებულია კანონები, სხვადასხვა ადმინისტრაციული დებულებანი და ნორმატიული აქტები, რომელთა შესრულება სავალდებულოა ტურისტულ და საკურორტო საქმიანობასთან დაკავშირებული უწყებების, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, სამსუხაროდ, მოძვეებულია. მოძველებული საკანონმდებლო ბაზა კი ხელს უშლის დარგის განვითარებას.

ამასთან ერთად, ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის ისიც, რომ დღემდე არ არსებობს ამ დარგის განვითარების განახლებული, მეცნიერულად გააზრებული და არგუმენტირებული კომპლექსური სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული არსებული პრობლემები, პრიორიტეტები, ამოცანები და ძირითადი ორიენტირები თუ როგორი ტრაექტორია და სიჩქარით უნდა განვითარდეს ტურისტული ბიზნესი უახლოეს თუ შორეულ პერსპექტივაში.

ქვეყანაში აუცილებელია ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის არსებითი განახლება და მისი მიღება ქვეყნის პარლამენტის მიერ. აგრეთვე ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამებისა და კონცეფციის შემუშავება საერთაშორისო კონვენციების, შეთანხმებისა და ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეროვნულ კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაციის მიზნით.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ქვეყანაში მოქმედებდეს ტურიზმის განმსაზღვრელი პოლიტიკა აღმოიფხვრას დარგში არსებული ხარვეზები; ტურიზმის განმსაზღვრელ ძირითად კანონში „კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ შევიდეს ცვლილებები, რათა მიუახლოვდეს იგი საერთაშორისო მოთხოვნებს, რაც გამოიწვევს დარგში ინვესტიციების სტიმულირებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [www.unwto.org](http://www.unwto.org) – გადამოწმებულია 15.05.2017.
2. PEM consult – committed of cooperation – გადამოწმებულია 15.05.2015.
3. ლ. კოჭლამაზაშვილი, ტურიზმის ბიზნესის ორგანიზაცია, თბ., 2014.
4. ვ. არლუთაშვილი, ტურიზმის პოლიტიკა – სალექციო კურსი, თბ., 2015.
5. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) – გადამოწმებულია 21.03.2017.
6. [www.gfmag.Com](http://www.gfmag.Com) – გადამოწმებულია 21.03.2017.
7. <https://www.wttc.org/> -გადამოწმებულია 15.05.2017.
8. David L. Edgell Srand Jason T. Swanson, Tourism Policy and Planning. Yesterday, today and tomorrow 2008.

ქეთევან ზაქარეიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

## შრომის ინსპექცია საქართველოში

### რეზიუმე

საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია შრომითი ურთიერთობების დროს წარმოქმნილი პრობლემები. გარდა იმისა, რომ არ არსებობს სრულყოფილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობა, ასევე გაუმართავია შრომის ინსპექციის სამსახური. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლებრივი დისბალანსის კუთხით.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, უმუშევრობის, „ღარიბი დასაქმებულებისა“ და მძიმე შრომის პირობების ფონზე, დასაქმებულთა უფლებების დაცვა და დაბალანსებული შრომითი ურთიერთობების ხელშეწყობა, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. წლებია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ სხვადასხვა უწყებები და დარგის ექსპერტები აქვეყნებენ დასკვნებსა და ანგარიშებს არსებული რეალობის შესახებ და იძლევიან რეკომენდაციებს კანონმდებლობის დახვეწისა და ქმედითი ინსპექციის ინსტიტუტის შექმნის თაობაზე.

მართალია, სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, თავად მოაწესრიგოს ეროვნული კანონმდებლობა, თუმცა, იმის ფონზე, რომ საქართველოსთვის თანაბარი გამოწვევაა როგორც ევროპული სტანდარტების, შრომის უფლების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლობის მიღება, ისე თანამედროვე, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნა, სახელმწიფოს ცალსახა ვალდებულებაა, იტვირთოს მოდერატორის როლი, შეიმუშავოს თანმიმდევრული და გეგმაზომიერი პოლიტიკა და უზრუნველყოს სამართლიანი გარანტიები ორივე მხარისთვის.

**Ketevan Zakareishvili**

*Phd Student, East European University*

## **Labour Inspection in Georgia**

### **Abstract**

Problems arising during labour relations are especially relevant for Georgia. Besides that, there is not perfect Legislation relevant to international standards, the labour inspection service is also inaccurate. The issue is particularly acute in terms of disbalance of rights between employer and employed.

Against the backdrop of the hard social-economic conditions in the country, unemployment, «poor employees» and the hard labour conditions of the workers, protection of employees' rights and promoting balanced labour relations should be one of the top priorities of the country. For years, both within and outside the country, different departments and experts publish conclusions and reports on the existing reality and provide recommendations for the improvement of legislation and creation of an effective inspection institution.

It is true, that State's sovereign right is to regulate national legislation itself, but in light of the fact that Georgia's equal challenge is to adopt legislation focused on European standards, protection of labour rights, also creation of a modern and relevant labour inspection service, the state is obliged to load the moderator role, develop a consistent and measurable policy and provide fair guarantees for both parties.

## შრომის ინსპექცია საქართველოში

შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და გარანტირებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ისე ეროვნულ კანონმდებლობაში. მასთან დაკავშირებული უფლებები კი, ეკონომიკურ-სოციალური უფლებების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური სფეროა, კერძოდ, შრომის პირობების დაცვა, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მონიტორინგი.

დღეს უაღრესად აქტუალურია შრომითი ურთიერთობების დროს წარმოქმნილი პრობლემები, რაც უმეტესად გამოიხატება დასაქმებულების ისედაც მწირი უფლებებისა და ინტერესების უგულვებელყოფაში, განსაკუთრებით შრომის კაბალურ პირობებსა და ჯანმრთელობისათვის მავნე და საფრთხის შემცველ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებით. მოქმედი რეგულაციები, მიუხედავად ძირეული რეფორმების რამდენიმე ტალღისა, ამკარად იხრება დამსაქმებელთა მხარეს და სოციალურ-ეკონომიკური მძიმე ფონისა თუ უმუშევრობის პარალელურად, დასაქმებულთათვის არ იძლევა სამართლიანი, ღირსეული შრომის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას.

შრომის დაცვა, რომელიც ფაქტობრივად ღირსეული შრომის ძირითადი ნაწილია, რეალურად რეგულირების მიღმა დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებების დონეზე არსებობს რეგულაციები და ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, შრომის პირობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს კუთხით, სავალალო მდგომარეობაა, რაც, სამწუხაროდ, პირდაპირ აისახება საწარმოო ტრავმატიზმისა და სამუშაოზე გარდაცვლილთა საგანგაშო სტატისტიკაზე.<sup>1</sup> ქვეყანაში, ერთი მხრივ, არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოებსა და ორგანიზაციებში საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების შემცირებასა და დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას და, მეორეს მხრივ, არ არსებობს უფლებამოსილი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შრომითი ურთიერთობების მხარეების შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესებისა და უფლებების დაცვას.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების – ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავების, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და უვიზო რეჟიმის შემოღების პერსპექტივის ფონზე, საქართველომ იკისრა მთელი რიგი ვალდებულებები<sup>2</sup>, რომელთა შესრულება ქვეყნის განვითარების

<sup>1</sup> იხ. შსს სტატისტიკა სსკ 240-ე მუხლთან მიმართებით.

<sup>2</sup> იხილეთ: გაეროს ეკონომიკური, სოციალურ და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-7 მუხლი: „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს: ..... უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობებს;“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577>

ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), მე-3 მუხლი: „უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დამსაქმებელთა და მუშაკთა

სხვადასხვა მიმართულებების გარდა პირდაპირ კავშირშია შრომის დაცვასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების 30-ე დანართი<sup>3</sup>, რომლის მიხედვით, საქართველომ ივალდებულა დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოვება. შესაბამისად, სახელმწიფომ ეტაპობრივად დაიწყო ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებში<sup>4</sup> საკითხის ასახვა. თუმცა, შრომის ინსპექციის, როგორც ინსტიტუტის ერთადერთი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N627 „შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“,<sup>5</sup> რომლის მთავარი მიზანია ისევე, როგორც 2015 – 2016 წლების პროგრამებისა, დაეხმაროს დამსაქმებელს, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა და არაფერია ნათქვამი დასაქმებულთა უფლებების, უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების დაცვის შესახებ.

ორგანიზაციებთან კონსულტაციებთან მხარეები ვალდებულებას იღებენ: მიიღონ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული წესები და უზრუნველყონ ასეთი წესების შესრულება ზედამხედველობის ზომების მეშვეობით;“

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N 1876 – რს დადგენილებით. ხელმისაწვდომია: [https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwiq7sDt66DQAhWDvRQKHRe5AigQFggYMAA&url=http%3A%2F%2Fwww.parliament.ge%2Ffiles%2Finternational-acts%2Fconventions%2F2005%2F1876-rs-01-07-2005.doc&usq=AFQjCNG-fB3MiVKvhsle-9iWplwkP6FgvA&sig2=2CA\\_Ilfu3YaChn4MXMWpg](https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwiq7sDt66DQAhWDvRQKHRe5AigQFggYMAA&url=http%3A%2F%2Fwww.parliament.ge%2Ffiles%2Finternational-acts%2Fconventions%2F2005%2F1876-rs-01-07-2005.doc&usq=AFQjCNG-fB3MiVKvhsle-9iWplwkP6FgvA&sig2=2CA_Ilfu3YaChn4MXMWpg)

<sup>3</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. ხელმისაწვდომია: <http://www.mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/Association-Agreement.aspx>

<sup>4</sup> იხილეთ: საქართველოს მთავრობის N445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: საქართველოში შრომის კანონმდებლობის აღსრულების გაუმჯობესება – სიტუაციის შეფასება, შრომის ინსპექციის შექმნის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო შრომითი სტანდარტების შესაბამისად. ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/382\\_43290\\_797918\\_4452c92c072c14.pdf](http://gov.ge/files/382_43290_797918_4452c92c072c14.pdf);

საქართველოს მთავრობის 2014 წლის N400 დადგენილება „საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველოს 2020“ დამტკიცების შესახებ“, ავალდებულებს საქართველოს მთავრობას იზრუნოს შრომისა და დასაქმების სფეროში არსებული კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაზე. გარდა ამისა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა ევროპული გამოცდილების შესაბამისად უზრუნველყოფს შრომითი უფლებების დაცვის მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას, რომლებიც დაიცავს დასაქმებულთა უფლებებს, ჰქონდეთ უსაფრთხო და შესაფერისი სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები. ამასთანავე, ზედამხედველობას გაუწევს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების დაცვას.“ ხელმისაწვდომია: [http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/strategia\\_2020/saqartvelo\\_2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/strategia_2020/saqartvelo_2020.pdf)

საქართველოს სამოქმედო გეგმა „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017“, რომელიც ითვალისწინებს შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პილოტური პროგრამის შემუშავება/განხორციელებასა და პროექტის „შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება საქართველოში“ განხორციელებას. ხელმისაწვდომია: [http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/StrategyActionPlan/DCFTA\\_action\\_plan\\_GEO.pdf.aspx](http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/StrategyActionPlan/DCFTA_action_plan_GEO.pdf.aspx)

<sup>5</sup> ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3525727>

პროგრამაში სამიზნე ჯგუფი წარმოდგენილია იმ დამსაქმებლების სახით, რომელთაც წინასწარ თანხმობა განაცხადეს აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობაზე და იმ დასაქმებულებით, რომლებიც მუშაობენ ამ დამსაქმებლებთან. შესაბამისად, ინსპექციის მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდულია, შემოიფარგლება მხოლოდ დამსაქმებელთა ვიწრო წრით და გვთავაზობს დამსაქმებლისათვის წინასწარ შეტყობინების გაგზავნის ნებსა და ერთ სანარმოში მხოლოდ ერთხელ შესვლის უფლებას, რაც არ შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს. მართალია, პროგრამა ადგენს რემონიტორინგის საშუალებასაც,<sup>6</sup> თუმცა განმეორებით შემოწმების ეფექტურობა მხოლოდ ინფორმაციის მიღებით შემოიფარგლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ დამსაქმებლის ნების არ არსებობის შემთხვევაში, გარდა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის გამოსავლენად ინსპექტირების განხორციელების შემთხვევებისა, არ არსებობს დარღვევების გამოვლენისა და რეაგირების ეფექტური მექანიზმები.

რაც შეეხება ინსპექტირების უფლებამოსილებებს, პროგრამის ამოცანებსა და ღონისძიებებს – მხოლოდ ინფორმირება/კონსულტირებით შემოიფარგლება და რეალურად არ პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს.

გარდა ამისა, რეგულირების მიღმა დარჩა დარღვევებზე რეაგირების საკითხი. შრომის ინსპექციას არ აქვს უფლება დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოახდინოს და მხოლოდ არასავალდებულო ძალის მქონე რეკომენდაციის გაცემის უფლებით სარგებლობს. შესაბამისად, იბადება სრულად ლეგიტიმური და ლოგიკური კითხვა – რეალურად რა ფუნქციის მატარებელია დღევანდელი კვაზი შრომის ინსპექცია და რაში იხარჯება სახელმწიფო რესურსი, თუ მას არ მიეცა დარღვევებზე ადექვატური რეაგირების, მსოფლიოში აპრობირებული (გაფრთხილების ან სანქციონების) მეტოდების გამოყენების უფლება?!

2006 წელს შრომის ინსპექციის გაუქმებიდან მოყოლებული, მოქმედი შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის პირობებშიც, ინსტიტუტის გაუმართაობასა და არაეფექტურობაზე პირდაპირ უთითებს სხვადასხვა უწყებების დასკვნები, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები<sup>7</sup> და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშები,<sup>8</sup> რომელთა მწვავე შეფასებებისა და რეკომენდაციების ასახვა მიზანმიმართულად არ ხდება მოქმედ რეგულაციებში.

შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შრომის ინსპექციის ამგვარი მოდელი საერთაშორისო ვალდებულებების ფორმალური შესრულების მცდელობა უფროა, ვიდრე დასაქმებულთა უფლებებისა და შრომის პირობების დაცვის გარანტია. მით უფრო იმის ფონზე, რომ არ არის გათვალისწინებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი არც ერთი მოთხოვნა და სტანდარტი. კერძოდ, შსო 1947 წლის კონვენცია N81 „შრომის ინსპექციის შესახებ მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებში“<sup>9</sup>, შესაბამისი რეკომენდაციები (N81, N82 და N85), და N129 კონვენცია „შრომის ინსპექციის შესახებ სოფლის მეურნეობის სფეროში“<sup>10</sup>, რაც ცალსახად და ამომწურავად

<sup>6</sup> პროგრამის, მე-2 მუხლის, მე-3 პუნქტი.

<sup>7</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2013 წ. 2014 წ. 2015 წ.

<sup>8</sup> ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/notes/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1->

<sup>9</sup> ხელმისაწვდომია: [http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100\\_INSTRUMENT\\_ID:312226](http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312226)

<sup>10</sup> ხელმისაწვდომია: [http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO:12100:P12100\\_INSTRUMENT](http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT)



ადგენს საკითხის რეგულირების მექანიზმებს და გვთვავზობს გამართული შრომის ინსპექციის მოდელის შექმნის საუკეთესო გზას.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ N81 კონვენციის მეორე მუხლი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, შრომის ინსპექციის უფლებამოსილების გავრცელებას ყველა საწარმოსა თუ ორგანიზაციაზე, სადაც არიან დასაქმებულები, მათი სამუშაო პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად და ამასთანავე ადგენს, რომ თუ შრომის ინსპექციას ეროვნული კანონმდებლობით დამატებით განესაზღვრა სხვა მიზნები და ამოცანები, ამ უკანასკნელმა არ უნდა შექმნას დაბრკოლება კონვენციით ჩამოთვლილი ძირითადი მიზნების განხორციელებისთვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის მიხედვით, შრომის ინსპექციის თანამშრომელი სახელმწიფო მოხელეა, თუმცა დამოუკიდებელია საქმიანობაში და მის მდგომარეობაზე მთავრობათა ცვლილება არ უნდა ახდენდეს გავლენას.<sup>11</sup> საქართველოში კი ბუნდოვანია, საერთოდ რა კრიტერიუმებით ხდება შრომის ინსპექტორების შერჩევა და შემდგომ მათი გადამზადება, კონკრეტული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედ კანონმდებლობაში ერთ-ერთი ყველაზე მოუწესრიგებელი საკითხია, შრომის ინსპექტორების უფლებამოსილება. კონვენცია განსაზღვრავს, რომ შრომის ინსპექტორებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად, წინასწარი გაფრთხილებისა და შეტყობინების გარეშე შევიდნენ ნებისმიერ საწარმოსა თუ ორგანიზაციაში, ინსპექტირების მიზნით; დღის განმავლობაში შევიდნენ ნებისმიერ შენობაში, რომელიც შესაძლოა ექცეოდეს მათი იურისდიქციის ქვეშ; ჩაატარონ ყველა ტიპის კონტროლი თუ მოკვლევა, რომელიც მათი აზრით, აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის გადასამოწმებლად და სხვ. ხოლო დამსაქმებელისთვის შეტყობინება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება „თუ ინსპექტორი თვლის, რომ შეტყობინება ხელს არ შეუშლის პროცესის გამართულად და ეფექტურად, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას“, რაც საერთოდ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილებაში.

კონვენცია შრომის ინსპექციის უფლებამოსილებათა შორის, ეროვნულ დონეზე სანქციონების უფლებასაც ითვალისწინებს, რაც აღმოჩენილ დარღვევაზე დროული და ეფექტური რეაგირების ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული ფორმაა. მაშინ როცა, საქართველოში ინსპექტორები მხოლოდ არასავალდებულო ძალის მქონე რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილებით შემოიფარგლებიან.

შესაბამისად, ნათლად ჩანს თუ რამდენად აცდენილია ეროვნული შრომის ინსპექციის ინსტიტუტი საერთაშორისო სტანდარტებს. ფაქტია, რომ საქართველოსთვის თანაბარი გამონეგავა როგორც ევროპული სტანდარტების, შრომის უფლების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლობის მიღება, ისე თანამედროვე, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნა, რაც პირველ რიგში თანმიმდევრული და გეგმაზომიერი პოლიტიკის შემუშავებასთანაა დაკავშირებული და მოითხოვს მთელი რიგი აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვას. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს უფლებამოსილებით აღჭურვილი შრომის ინსპექციის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის კურსი და რეალურად უზრუნველყოს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების, დასაქმებულთა უფლებების დაცვა და დაბალანსებული შრომითი ურთიერთობების ხელშეწყობა.

ორწლიანმა პრაქტიკამ ცალსახად აჩვენა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებებით

[ID:312274](#)

<sup>11</sup> შსო N81 კონვენცია „შრომის ინსპექციის შესახებ“, მე-6 მუხლი.

განსაზღვრული მხოლოდ წინასწარ თანხმობა გაცხადებული კომპანიების შემოწმება და ისიც, უსაფრთხოებისა და ჯანსაღი პირობების „დათვალიერება“ არაფრის მომტანია.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავიდანვე, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს რეაგირების ეფექტური მექანიზმი და ინსპექტორატს მიენიჭოს როგორც რეკომენდაციების გაცემის, ისე უფრო მკაცრი, თუნდაც სანქციონების, ღონისძიებების გატარების უფლება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრეა ბორონი, საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თარგმანი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2016 წ.
2. პიოტრ კაზმიარკევიჩი, მუშაობის ნებართვა და შრომის ინსპექცია, ნიდერლანდები, გერმანია და პოლონეთი, ვარშავის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბ., 2014.
3. Вольфганг фон Рихтхофен, ИНСПЕКЦИЯ ТРУДА, Введение в профессию, Международное бюро труда, Женева, 2002 г
4. შსო, „თამაშის წესები“, მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში, შესწორებული რედაქცია, 2009, გვ. 40, ჟენევა, შსო, 2002.
5. A mapping report on Labour Inspection Sercises in 15 European countires , A syndex report for the European federation of Public Service Unions (EPSU) 2012,
6. Renato Bignami, Giuseppe Casae, Mario Fasani, Labour Inspection and employment relationship, Working document N28, ILO, 2013
7. Labour Inspection and Undeclared Work in the EU, EC Project GLO/12/24/EEC, Labour Inspection Strategies for combatting undeclared work in Europe, Working document N29, ILO, 2013
8. Labour Inspection, International Labour Conference 95<sup>th</sup> Session, 2006. ILO, Report III (part 1B)
9. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, თბ., 2013.
10. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, თბ., 2014.
11. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, თბ., 2015.

**ნორმატიული მასალა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“
3. კანონი „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“
5. Co81-Labour Inspection Convention (concerning Labour Inspection in Industry and Commerce), 1947, (No.81)
6. C129- Labour Inspection (Agriculture) Convention (Convention concerning Labour Inspection in Agriculture), 1969 (No 129)
7. C121 –Employment Injury Benefits Convention (Convention concerning Benefits in the Case of Employment Injury), 1964, (No 121)
8. Council Directive on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work N89/391/EEC (of 12 June 1898)
9. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ ნევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.
10. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.
11. ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N 1876 – რს დადგენილებით.
12. საქართველოს სამოქმედო გეგმა „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017“
13. საქართველოს მთავრობის 2013 წლის N199 დადგენილება „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“
14. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N732 დადგენილება „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.
15. საქართველოს მთავრობის N445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“
16. საქართველოს მთავრობის 2014 წლის N400 დადგენილება „საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველოს 2020“ დამტკიცების შესახებ“
17. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 მარტის N81 დადგენილება „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
18. საქართველოს მთავრობის 2016 წლის N112 დადგენილება „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.
19. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის დადგენილება N38 „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
20. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება N19 „შრომის ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
21. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N258 დადგენილება „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

**ინტერნეტ რესურსები:**

[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

[www.ilo.org](http://www.ilo.org)

[www.ombudsmen.ge](http://www.ombudsmen.ge)

[www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:01989L0391-20081211>

<http://www.mfa.gov.ge>

<http://ssa.gov.ge>

<http://gov.ge>

<http://www.economy.ge>

<http://procurement.gov.ge>

<http://eugeorgia.info>

<http://www.rostrud.ru/openrostrud/>

<http://www.gtuc.ge/>

<https://emc.org.ge/>

**ზვიად გოგრიჭიანი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

## პირობითი მსჯავრის სამართლებრივი ასპექტები

### რეზიუმე

წინამდებარე კვლევაში ყურადღება გამახვილებულია პირობითი მსჯავრის პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც სასჯელის მიზანს ასრულებს თვით სასჯელის გამოყენების გარეშე. პირობითი მსჯავრი არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი საერთოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომელსაც, ვფიქრობ, ერთ-ერთი პრობლემატური ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის ინსტიტუტებს შორის.

უპირველეს ყოვლისა, კვლევის ღირსია პირობითი მსჯავრის დანიშვნის გამართლება. ისმის კითხვა, მაინც რა უდევს საფუძვლად პირობითი მსჯავრის დანიშვნას, როგორ შეიძლება მისი მიზანშეწონილობის ახსნა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა რამდენიმე კითხვას გაეცეს პასუხი. კეძოდ, რომელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისას უნდა დაინიშნოს პირობითი მსჯავრი და საერთოდ რატომ არსებობს როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რა განასხვავებს სასჯელისა და სასჯელის გადავადებისაგან. სასამართლომ როგორი პროგნოზირებით უნდა აიცილოს დანაშაულის რეციდივი თავიდან. ასეთი რისკები შეიძლება დაყვანილ იქნას მინიმუმამდე. საერთოდ უნდა ითქვას, პირობითი მსჯავრი ჯერ ხომ კიდევ ახალი ეპოქის სისხლის სამართლებრივი აზროვნების ნაყოფია. ის გაცდენილია სისხლის სამართლებრივი კვლევის სფეროს. ამით დაინტერესებას რატომ გამოხატავენ საერთოდ მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენლები? მათ შორის ილია ქავჭავაძე, რომელიც წინააღმდეგი იყო პირობითი მსჯავრი შეფარდებოდა ადამიანობაზე უსირცხვილო ხელალებულ კაცებს. მაშასადამე, როგორი უნდა იყოს აღნიშნული ინსტიტუტი, რომ მან სასჯელის გარეშე კარგად შეიცნოს პიროვნება. ჩვენი კანონმდებლობა რამდენად სწორად აყალიბებს ყოველივეს, რამდენად სწორად არის განსხვავებული პროფესიონალი და შემთხვევითი დამნაშავე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პირობითი მსჯავრის ინსტიტუტისათვის.



**Zviad Gogrichiani**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Phd Student of Law Faculty*

## **Suspended Sentence**

### **Abstract**

The presented research pays attention to the problematic issues of suspended sentence, which fulfills the goal of punishment without punishment. Suspended sentence is an independent institute of legislation, which takes one of the problematic places within institutes of criminal law.

First of all, we need to analyse why the suspended sentence is a good infection of penalty. There are some questions about it: what can be assumed as a basis of setting suspended sentence? How can its appropriateness be explained? The answer to these questions demands answers from other questions. In particular, for instance, what legal act should be subjected to suspended sentence and why it is an independent institution? What is difference between suspended and penalty or reprieve of penalty? How can court avoid recidivism? Such risks can be reduced to a minimum.

Generally, we can say that suspended sentence is a fruit of the new era criminal law thinning, which is out of criminal law's analysis. Why did the representatives of fiction literature express interest in it at all? One of them was Ilia Chavchavadze, who opposed giving suspended sentence to shameful men. Therefore, what kind of institution it should be to be well aware of the person without penalty. How well our legislation correctly formulates all these? How well are differentiated professionals from accidental offenders, which is very important for the suspended sentence institution.

ზვიად გოგრიჭიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდი-  
ული ფაკულტეტის დოქტორანტი

## პირობითი მსჯავრის სამართლებრივი ასპექტები

### ისტორიული მიმოხილვა

სამართლის დოქტორი ზ. გოთუა როცა პირობით მსჯავრზე იწყებს მსჯელობას, ამბობს, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი უძველესი ქვეყნების სამართლის ძეგლებშიც გვხვდება. თუმცა ამას არ აკონკრეტებს. პირობითი მსჯავრის ისტორიულ ნაწილს აშუქებს პროფ. ო. გამყრელიძე, რომელიც წერს, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი ახალი ეპოქის სისხლის სამართლებრივი აზროვნების ნაყოფია<sup>1</sup>. ეს ინსტიტუტი პირველად აშშს ერთ-ერთ შტატში (მასაჩუსეტში) აღმოცენებულა. აქედან ის ჯერ ავსტრალიაში, შემდგომ კი სხვა ქვეყნებში გავრცელებულა. თავდაპირველად ამ ინსტიტუტის პრაქტიკაში შემოღების საკითხს რიგი შეხლა-შემოხლა გამოუწვევია სპეციალისტთა შორის. იგი თურმე საერთაშორისო კონგრესის განხილვის საგანიც იყო და 1902 წელს პეტერბურგში ხმათა უმრავლესობით პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის შემოღება გამართლებულად მიუჩნევიათ. პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი ჩაისახა ინგლისში იქაური მოსამართლეების უფლების ნიადაგზე გადაედოთ განაჩენის გამოტანა სხვადასხვა მიზეზების გამო. მაგალითად: მოსამართლე რომ მოთათბირებოდა თავის ამხანაგს საქმეში წამოჭრილი იურიდიული საკითხის დასაზუსტებლად, ან ბრალდებულისათვის მიეცათ საშუალება მომზადებულიყო ბრალდების უარსაყოფად, ან გადაეტანა საქმე ზემდგომ ინსტანციაში და სხვ. მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ქ. ბირმინგემის ერთ-ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ მეტიუ ჰილილიმ დაიწყო ამ ღონისძიების გამოყენება იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც არ ამჟღავნებდნენ ზნედაცემულობას. იგი გარკვეული ვადით გადადებდა ხოლმე გამოტანილი განაჩენის აღსრულებას, ამასთან მოითხოვდა თავდების წარმოდგენას კარგი ქცევისათვის, თუ ბრალდებული თავდებობების პირობებს პირნათლად ასრულებდა, მის მიმართ სასჯელი აღსრულებას აღარ ექვემდებარებოდა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ეს პრაქტიკა ნასესხებ იქნა ამერიკის მასაჩუსეტის შტატის მიერ. აქ ინგლისიდან იწვევენ ახალგაზრდა იურისტებს მოსამართლეებად და ამ უკანასკნელებმა შეიტანეს იქ ეს პრაქტიკაც, აშშ-ში პირობითმა მსჯავრმა საკანონმდებლო გაფორმება მიიღო 1898 წელს.

ამერიკის კანონმდებლობაში პირობითი მსჯავრის შეტანა განაპირობა ახალმა შეხედულებამ დანაშაულის მიზეზებზე სოციალური ფაქტორების გავლენის შესახებ. ამერიკელი მეცნიერები ასე მსჯელობდნენ: თუ დანაშაულის ჩადენა სოციალური ფაქტორების შედეგია (ცხოვრების ცუდი პირობები, გარემო პირობები, ცუდი წრე), მაშინ დანაშაული უნდა აღიკვეთოს სოციალური გარემოს გაუმჯობესებით და თვით დამნაშავე კი უნდა გამოსწორდეს; ამ თეორიით ამართლებდნენ პირობითი მსჯავრის და დამნაშავეთა მიმართ ზედამხედველის თანამდებობის შემოღებას.

საფრანგეთში 1884 წელს სენატორმა ბერნარჟემ წარადგინა პირობითი მსჯავრის პროექტი.

<sup>1</sup> ზ. გოთუა, სისხლის სამართლის სასჯელები, თბ., 2001, გვ.69.



აღნიშნული პროექტი 1894 წელს დამტკიცდა კანონად. რაც შეეხება ბელგიას, იგი საფრანგეთზე უფრო გვიან დაადგა პირობითი მსჯავრის შემოღების გზას. 1888 წელს, მარტში, იუსტიციის მინისტრმა ლოჟენმა წარადგინა პირობითი მსჯავრის პროექტი, კანონად, იგი ამავე დროს დამტკიცდა. ბელგიამ, ამ პატარა, მაგრამ კარგად განათლებულმა ქვეყანამ, პირველმა დაადო სანქცია პირობით მსჯავრს და საფრანგეთზე 3 წლით ადრე მიიღო აღნიშნული კანონი. ბელგიის 1888 წლის პირობითი მსჯავრის კანონი უნდა შეეფარდებინათ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა პირველად და რომლის მიმართ შეიძლებოდა დანიშნულიყო თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 6 თვისა. ბელგიურმა სამართალმა უარყო პირობითი მსჯავრის ის სახე, რომელსაც განაჩენი არ გამოაქვს და დააკანონა, რომ პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე სასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს, მაგრამ სასჯელი გარკვეულ პირობებში სისრულეში არ მოიყვანებოდა.

გერმანიაში პირობითი მსჯავრის შემოღება დაიწყო მე-19 საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც გერმანელი იურისტების ყურადღება მიიპყრო 1888 წელს ბელგიის კანონმა პირობითი მსჯავრის შესახებ. მას შემდეგ გერმანელმა იურისტებმა: ბერნერმა, სიტმა, იაგემანმა, შროტმა და სხვებმა მხარი დაუჭირეს პირობით მსჯავრს (რაც ჟურნალებში მსჯელობის საგნად იქცა).

გერმანიის იმპერიის სხვადასხვა სახელმწიფოებში პირობითი მსჯავრის სხვადასხვა სახე მკვიდრდებოდა. მათ მიიღეს პირობითი შეწყალების სახელწოდება. გერმანიის იმპერატორმა ბრძანება გასცა იუსტიციის მინისტრის მიმართ იმის შესახებ, რომ იმ დანაშაულისათვის, რომელთა გამოც სამართალმა დაადგინა ციხეში ჯდომა არა ექვს თვეზე მეტი, სასჯელის აღსრულება დააყოვნოს, დამნაშავე თავისუფლად დატოვოს რამოდენიმე ხნით (არაუმეტეს ერთი წლით) თითქოს გამოსაცდელად და მით უმეტეს, თუ დასასჯელი არასრულწლოვანია (18 წელზე ნაკლები).

რუსეთში პირობითი მსჯავრის ინსტიტუტმა თავიდანვე მიიპყრო მრავალი კრიმინალისტიკის ყურადღება. რუსი კრიმინალისტების ცდა, გაეტარებინათ ეს კანონი, უშედეგოდ დასრულდა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა მის სკეპტიკურ დამოკიდებულებას ახლის, პროგრესულის მიმართ. სამართლის კლასიკური სკოლის მიმდევარი, ავტორიტეტული რუსი კრიმინალისტი, პროფ. ნ. ს. ტაგანცევი, აყენებდა საკითხს, შემოეღოთ აღნიშნული ინსტიტუტი „გერმანული პირობითი შეწყალების სახით“.

### პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება

ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ყველაზე გავრცელებული ფორმა მსჯავრდებულის მიმართ, სასჯელის რეალური აღსრულებაა, მაგრამ დანაშაულის განხორციელებისათვის სასჯელის გვერდით იყენებს სხვა სამართლებრივ ლონისძიებებსაც, რომლებიც სისხლის სამართლის მიზნების მისაღწევად დადგენის საშუალებებს კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. სწორედ აღნიშნული პრინციპის რეალიზაციას ემსახურება პირობითი მსჯავრი<sup>2</sup>. პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების ცნების სწორად გარკვევა საჭიროა უწინარეს ყოვლისა იმ მიზნით, რომ მისი გამოყენება კანონიერად მოხდეს. და შედეგიც ნაყოფიერი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების არასწორ წარმოდგენას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ცოტა როდია ისეთი დამნაშავეები, რომლებიც ძალზე განიცდიან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემას, როგორი დანაშაულიც უნდა იყოს მათ მიერ ჩადენილი, ასეთი დამნაშავეებისათვის მარტო ბრალდებულის სკამზე ჯდომა და მითუმეტეს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ფრიად სერიოზულ სასჯელს წარმოადგენს. თვით სას-

<sup>2</sup> ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013, გვ.130.

ჯელის მოხდა მთელ რიგ შემთხვევაში ველარაფერს დაუმატებდა მსჯავრდებულის გამოსწორების მხრივ. მაგრამ როდის უნდა იქნას გამოყენებული პირობითი მსჯავრი? აი ეს არის მთავარი საკითხი, რადგან ყველა დანაშაულისათვის ყველა დამნაშავეს მიმართ როდი უნდა იქნას პირობითი მსჯავრი გამოყენებული (როგორც ეს იქნა გამოყენებული ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკაში).

აღრინდელ იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა იყო პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების შესახებ, როგორც ქართულ ისე უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში. ამ საკითხზე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება იყო გამოთქმული. ერთი ნაწილი პირობით მსჯავრს სასჯელის განსაკუთრებულ სახედ მიიჩნევდა, მეორე ჯგუფი სასჯელის სისრულეში მოყვანის განვადებად, მესამე ჯგუფი განაჩენის სისრულეში მოყვანის განსაკუთრებულ წესად აღიარებს. მეოთხე ჯგუფი პირობით მსჯავრს სასჯელის დანიშვნის განსაკუთრებულ სახედ მიიჩნევს. ნ. სავინი პირობით მსჯავრს განსაზღვრავს როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებულ ზომას. თუ დაუშვებთ, რომ პირობითი მსჯავრი არის სასჯელის ერთ-ერთი სახე, მაშინ პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება გაშუქებული უნდა იყოს სასჯელის ცნების პოზიციებიდან. ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სასჯელის ნორმებით და პირობითი მსჯავრი უნდა დაგუკავშიროთ სასჯელის სხვა სახეებს, მაგრამ სულ სხვა შედეგს მივიღებთ, თუ პირობით მსჯავრს არ ჩავთვლით სასჯელის სახედ, მაშინ, ბუნებრივია, მისი რეგულირება სხვანაირად მოხდება. მეოცე საუკუნის დასაწყისში პირობითი მსჯავრი ცნობილი იყო როგორც სასჯელი.

1924 წელს პირობითი მსჯავრი ამოირიცხა სასჯელთა სიიდან, პირობითი მსჯავრი აღარაა შეტანილი სასჯელთა სახეებში. ე. ი. სასჯელთა სახედ არ ითვლება.

პირობითი მსჯავრი დამნაშავეს ეუბნება, შენ ჩაიძინე დანაშაული, მაგრამ არ გიყენებთ იმ სასჯელს, რომელიც განაჩენშია მოცემული და დარწმუნებული ვართ შენს გამოსწორებაში განაჩენის სისრულეში მოუყვანლად. აქ მთავარ სპეციფიკურ ფაქტორად ითვლება ბრალდებულისადმი ნდობის გამოცხადება და მეორე ჩვენ თუ დავეთანხმებით შეხედულებას, რომლის მიხედვითაც პირობითი მსჯავრი სასჯელის სახეს წარმოადგენს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, პირობითი მსჯავრდებული ერთი და იმავე დანაშაულისათვის ისჯება ორჯერ. ერთხელ, როცა სასამართლო უსჯის მას დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის ერთ-ერთ სახეს თავისუფლების აღკვეთას და, მეორედ, როდესაც სასჯელის ეს სახე შეიძლება შეიცვალოს პირობით. თუ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული თვალსაზრისით თვითონ წარმოადგენს სასჯელის გარკვეულ სახეობას.

ეს კი მაშინ დაიშვება კანონით, თუ პირობით მსჯავრდებული საგამოცდო ვადაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, სასამართლოს შეუძლია ახალი დანაშაულის ჩადენის დროს შეუერთოს სასჯელი, რაც ადრე პირობით ჰქონდა დანიშნული.

რაც შეეხება სასჯელის აღსრულების გადავადებას, თუ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, გამოდის, რომ ვადის გასვლის შემდეგ, რასაც სასამართლო დაანესებს, სასჯელი სისრულეში უნდა მოვიდეს.

პროფ. ი. დვალის აზრით, პირობითი მსჯავრი არ უნდა გავიგოთ სასჯელის გადავადებად, ვინაიდან სასჯელის გადავადება ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებობს სასჯელის აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციასა და სისხლის სამართლის მიზნებთან სასჯელის რეალურად აღსრულებლობა პროცესუალური პრობლემა<sup>3</sup>.

<sup>3</sup> იხ. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელისა და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.128.

შეიძლება ჯარიმის განვადება ან გადადება, თუ ჯარიმის დაუყოვნებლივ გადახდა საძნელოა მჯავრდებულისათვის. ე. ი. სასჯელის აღსრულება გადავადებულია, მაგრამ ყველა შემთხვევაში განაჩენი მოიყვანება სისრულეში.

პირობითი მსჯავრის დანიშვნისას თუ მსჯავრდებულმა არ დაარღვია მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, სასჯელი არასოდეს არ იქნება სისრულეში მოყვანილი. ამიტომ არის დანესებული საგამოცდო ვადა, რომლის განმავლობაში უნდა გამოისყიდოს თავისი დანაშაული<sup>4</sup>.

თუ ჩვენ გავიზიარებთ, რომ პირობითი მსჯავრი არის განაჩენის აღსრულების განსაკუთრებული წესი, აღნიშნულ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმებით იქიდან გამომდინარე, რომ პირობითი მსჯავრის დროს დანიშნული სასჯელი დამნაშავეს არ ეფარდება, იგი მას არ იხდის, თუ მან შეასრულა გამოცდის პირობები, ის ითვლება ნასამართლეობის არმქონედ. ასეთი გამოცდა არ შეიძლება გავიგოთ სასჯელის განსაკუთრებულ წესად, რადგან იგი არ ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის სპეციალური შეზღუდვის ნიშნებს (ურომლისოდაც სასჯელი არ არსებობს).

უცილებელია აქვე აღინიშნოს ის გარემოება, თითქოს პირობითი მსჯავრის სახელწოდება არასწორად ასახავს მის იურიდიულ ბუნებას, თვით მსჯავრდება თავისი შინაარსით რეალურია და არა პირობითი მსჯავრდებულის მიმართ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, უნიშნავს მას სასჯელის კონკრეტულ სახეს და განსაზღვრული სასჯელის ზომას.

ლიტერატურაში საერთოდ დავაა თვით ტერმინთან დაკავშირებითაც. უცხო ქვეყნის იურიდიულ ლიტერატურაში თარგმნის შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინი „პირობითი სასჯელი“ სისხლის სამართლის როგორც ძველი, ისე მოქმედი კოდექსი იყენებს პირობით მსჯავრს. რიგი ავტორების აზრით, უმჯობესია ტერმინი „სასჯელის პირობით გამოუყენებლობა“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ მთავარია განვითარდეს სამართალი, ტერმინები ხშირად რჩება უცვლელი. პირობითი მსჯავრის ტერმინი ვერავითარ ზიანს ვერ მოუტანდა მის ბუნებას, რაც მთავარია, პირობითი მსჯავრი სასჯელისგან გათავისუფლების ინსტიტუტია, ის წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურ ფორმას. ამის გამო იგი შეიძლება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ერთ-ერთ რიგში მოექცეს, ამასთან ერთად პირობითი მსჯავრი უპირობოდ მოიცავს თავის თავში ბრალდებულის განთავისუფლების იმ ნიშნებს, რომლებიც ათავისუფლებს მას რეალური მსჯავრისაგან. ამით უახლოვდება იგი მსჯავრისაგან განთავისუფლების ინსტიტუტს, რომლის გამოყენება როგორც ეს რსფსრ-ს ზოგადი ნაწილის კომენტარებშია აღნიშნული, ეფუძნება მსჯავრდებულისათვის ნდობას, რომალსაც, ასევე როგორც პროფ. ი. დვალაძე აღნიშნავს, გააჩნია იგივე მიზნები, რაც სასჯელს. პირობითი მსჯავრის გამოყენებისას პირი არ თავისუფლდება სს პასუხისმგებლობისაგან და სათანადო ქცევაზე ზედამხედველობით სახელმწიფო მსჯავრდებულზე განაგრძობს ზემოქმედებას ისეთი მიზნების განსახორციელებლად, როგორცაა: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოცილაზიცია, თავისუფლების აღკვეთის და სხვა სასჯელების გამოყენების გარეშე<sup>5</sup>.

### **პირობითი მსჯავრის სახეები და გამოყენების წესი**

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით პირობითი მსჯავრის გამოყენება შეიძლება სასჯელის სახით, როგორცაა გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების შეზღუდვა, სამხედრო პი-

<sup>4</sup> იხ. ო. კოლუაშვილი, პირობითი მსჯავრის შეფარდების ზოგაერთი საკითხები, თბ., 1967, გვ.60-67.

<sup>5</sup> იხ. ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელისა და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 128.

რის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების აღკვეთა და სხვ. სასჯელების დროს, სადაც თავდაპირველად განისაზღვრება ამ სასჯელების კონკრეტული ზომა, ხოლო შემდეგ ინიშნება გამოსაცდელი ვადა. სასამართლო პირობითი მსჯავრის გამოყენებისას გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნავს ორ ვადას, რეალური სასჯელის ვადას და გამოსაცდელ ვადას. პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს პირობითად ითვლება მხოლოდ ძირითადი სასჯელი, მაგრამ იგი არ ახდენს გავლენას დამატებითი სასჯელის გამოყენებაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია განსასჯელ თურქეთის მოქალაქე მ.ჯ-ს საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან დაარღვია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი – შევიდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჯგუფურად. მასვე ედებოდა ბრალი საბაჟო საზღვარზე კონტროლის გვერდის ავლით განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანაში, რაც გადატვირთა სოხუმის ნავსადგურში და აღკვეთილი იქნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ. განსასჯელი მ.ჯ. ცნობილი იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და საბოლოოდ მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, სამი (3) წლის გამოსაცდელი ვადით, ამასთან, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 30-000 სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. დამატებითი სასჯელის გამოყენებას პირობითი მსჯავრის დროს განსაზღვრავს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რაც შეეხება ძირითად სასჯელს, თავდაპირველი რედაქცია განსაზღვრავდა, თუ რომელი სასჯელი ჩათვლილიყო პირობითად, მაგრამ დღევანდელი რედაქციის 63-ე მუხლში ასეთი ჩამონათვალი აღარ გვხვდება, მაგრამ თუ გადავხედავთ 64-ე მუხლის შინაარსს ამოვიკითხავთ, თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშნვისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი წლისა. აქედან გამომდინარე, ნათელია, პირობითად თავისუფლების აღკვეთასთან ერთად შეიძლება დაინიშნოს ძირითადი სასჯელი. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მსჯავრდებულმა დამატებითი სასჯელი გარდა ჯარიმისა რეალურად უნდა მოიხადოს, მაშინ პირობითი მსჯავრის გამოყენება, ჩვენი აზრით, მიუღებელია. თუ სასამართლომ საქმიდან გამომდინარე თავისუფლების აღკვეთა ჩაუთვალა პირობითად, პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ეს პიროვნების ნდობაზეა აგებული. ამიტომ ასეთ დროს რეალური აღსრულებისაგან, ვფიქრობთ, თავი უნდა შევიკავოთ მისი გამოყენებით შევავიწროვოთ არა მარტო თავისუფლების აღკვეთა, არამედ სხვა სასჯელების რეალური გამოყენება. პირობითი მსჯავრი, როგორც ეს პროფ. თინათინ წერეთელს აქვს აღნიშნული, შეიძლება გამოვიყენოთ სასჯელის მთელი ვადის და არა რომელიმე ნაწილის მიმართ. 1997 წელს ახალციხის სასამართლოს განაჩენით ზ-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიცვალა. მის მიერ მოუხდელი თავისუფლების აღკვეთის 2 წელი და 5თვე ჩაითვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად განისაზღვრა ერთი წელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატამ ასეთი განჩინება არასწორად ცნო. პირობითი მსჯავრი ფაქტიურად ცნო მხოლოდ მოუხდელი სასჯელის მიმართ. პირობითი მსჯავრი მას უნდა დანიშვნოდა მთლიანად განაჩენით ზ-სათვის შეფარდებული სასჯელის მიმართ (ვფიქრობთ, რომ სსკ კოდექსის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილი არასწორად არის ჩამოყალიბებული, რაც ალბათ შესწორებას მოითხოვს)<sup>6</sup>.

ამგვარად პირობითი მსჯავრის გამოყენების საფუძველი და ამასთანავე მიზანი უნდა იყოს სასამართლოს მიერ იმის დადგენა, რომ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე. ამიტომ პირობითი მსჯავრის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ხარისხი, დამნაშავის პიროვნება, მაგრამ ამ კუთხით არ იყო კარგი გამონათება ქართული იურიდიული აზროვნების ცაზე 2006 წლის

<sup>6</sup> ბ. ჟორჯოლაძე, თ. ბუზალაძე, სოციალური ეკონომიკა N3/19/2010, გვ.120.



28-აპრილის რედაქცია, სადაც წერია, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაიდინოს პირობითად. ამ ცვლილებით კი გამოდის, რომ სასამართლოს აღარ ევალება იმსჯელოს დამნაშავეს პიროვნებაზე. ასე რომ, 63-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, შეიძლება გარეთ დარჩეს საშიში გამოუსწორებელი დამნაშავეც, თუ კი მას საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებენ. სამაგიეროდ ციხეში უნდა გავუშვათ მსჯავრდებული, რომლის გამოსწორება, მართალია შესაძლებელია, მაგრამ სავსებით გასაგები მიზეზების გამო ის უარს ამბობს საპროცესო შეთანხმებაზე ან თვითონ არ არის ამაზე თანახმა<sup>7</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დაკვირვებით პროფ. ი. დვალიძემ პირობითი მსჯავრი დაყო სამ სახეთ: პირობითი მსჯავრი, რომელიც ინიშნება საპროცესო შეთანხმების დადებისას (სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი) და პირობითი მსჯავრი, რომელიც საპროცესო შეთანხმების დადების გარეშე ინიშნება „სსკ 63-ე მუხლის მესამე“ და პირობითი მსჯავრი, რომელიც საპროცესო შეთანხმების გარეშე ინიშნება და სასჯელის ნაწილის აღსრულებას ცვლის (სსკ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი) მოქმედი სისხლის სამართლის 63-ე მუხლის მიხედვით, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, პირობითი მსჯავრი შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ დანაშაულზე. ამასთან, მისი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირი გამოსაცდელ ვადაშიც ჩაიდენს ახალ განზრახ დანაშაულს. ეს გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან. აქედან გამომდინარე, მართებულია პროფ. ი. დვალიძის მოსაზრება, როცა თავის სახელმძღვანელოში ამბობს: „სსკ 63-ე მუხლი განსაკუთრებულ მსჯელობას მოითხოვს. 63-ე მუხლის მეორე ნაწილში თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახმძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია“<sup>8</sup> ეს შეზღუდვა ეხება პირობითი მსჯავრის მხოლოდ მეორე სახეს<sup>8</sup>.

მეორე სახის პირობითი მსჯავრის დანიშვნისათვის აუცილებელი მოთხოვნა გახდა, თუ მსჯავრდებული აღიარებს დანაშაულს, ანდა თანამშრომლობს გამოძიებასთან, ასევე მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევია არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახმძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და ასევე, 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის დაწესებული შეზღუდვა მეორე სახის პირობით მსჯავრზე ვრცელდება, რომელიც ორჯერ ნასამართლობის შეზღუდვას აწესებს. რაც შეეხება 63-ე მუხლის მე-5 ნაწილს, თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არ აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია დაუნიშნოს პირობითი მსჯავრი. საპროცესო შეთანხმების გარეშე მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი, აქვე უნდა ვთქვათ, სასამართლოს როლი პირობითი მსჯავრის დანიშვნის ნაწილში მომატებულია<sup>9</sup>. 63-ე მუხლის მე-3 ნაწილში სასამართლოს როლი შემცირებულია 2000 წლის რედაქციასთან შედარებით, თანაც აუცილებელ პირობას უყენებს დანაშაულის აღიარებას, ანდა გამოძიებასთან თანამშრომლობას. 63-ე მუხლის მე-4 ნაწილში სასამართლოს როლი და ფუნქცია უსაფუძვლოდაა შემცირებული. თუ სასამართლომ დაინახა პირობითი მსჯავრის მოსალოდნელი ეფექტი, ვერ დაუნიშნავს, რადგან მსჯავ-

<sup>7</sup> იხ. ო. გამყრელიძის ინტერვიუ გაზეთ ასავალ-დასავალში 14-20 მაისი 2007 წ.

<sup>8</sup> თ. წერეთელი, სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 269-270.

<sup>9</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გვ.120.

რდებული ნასამართლავი იყო ორი განზრახ მსუბუქი დანაშაულის ჩადენაში<sup>10</sup>.

ანდა 63-ე მუხლის დღევანდელ რედაქციაში რომ წერია: „თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე და განზრახ მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია.“

50-ე მუხლის მე-5 ნაწილში ვკითხულობთ, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა თუ ბრალდებული (მსჯავრდებული აღიარებს დანაშაულს) პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის ერთი მესამედი.

როგორც ვხედავთ, 63-ე მუხლი სასამართლოს უკრძალავს პირობითი მსჯავრის გამოყენებას „განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაულისათვის“, ხოლო 50-ე მუხლი ამის უფლებას აძლევს.

კიდევ მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ შეუსაბამობაზე. 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსულია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მას ჩადენილი არ აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. გამოდის, რომ თუ არასრულწლოვანმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო მისთვის ვერ გამოიყენებს პირობით მსჯავრს. სამაგიეროდ 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი სრულ უფლებას აძლევს, სრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა პირობით იმ შემთხვევაშიც დაუნიშნოს, როცა მან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. გამოდის რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სრულწლოვანს სასამართლომ შეიძლება დაუნიშნოს პირობითი მსჯავრი და დატოვოს საპატიმრო სასჯელის გარეშე, ხოლო არასრულწლოვანი რომელმაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო მას ვერ დაუნიშნავს პირობით მსჯავრს და შეიძლება დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა. (უნდა გავითვალისწინოთ, რომ არასრულწლოვანთა უმრავლესობა შემთხვევით დამნაშავეა).

სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი ცვლის სასჯელის მოხდის ნაწილს და შეეხება მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთას, ამასთანავე ამის შესაძლებლობას აძლევს ყველა ვადიან თავისუფლებააღკვეთილს, როდესაც საპროცესო შეთანხმება არაა გაფორმებული გარკვეული სამართლებრივი მოთხოვნების შესრულების შემდეგ, რომ ბრალდებულმა უნდა აღიაროს დანაშაული და ამგვარი აღიარება არ უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე: ბრალდებულმა უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან: მან უნდა დაასახელოს დანაშაულში მონაწილე პირები. ასეთი გათავისუფლება პირობითია და არა საბოლოო.

## გამოსაცდელი ვადა პირობითი მსჯავრის დროს

პირობითი მსჯავრის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგამოცდო ვადის განსაზღვრას. იგი პირობითი მსჯავრის შეფარდების აუცილებელი პირობაა. მხოლოდ ამ ვადის გასვლამდე შეიძ-

<sup>10</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.129.



ლება პირობითად დანიშნული სასჯელი სისრულეში მოვიდეს. ამიტომ ამ პერიოდში მსჯავრდებულის უნდა იქცეოდეს სამაგალითოდ, არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული, შეასრულოს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობა, რომლის პირობითად დასრულების შემდეგ მსჯავრდებულს გაუქარწყლდება ნასამართლობა და ჩაითვლება ნასამართლობის არმქონედ.

კანონი მოითხოვს, რომ პირობითი მსჯავრის დროს აუცილებლად განისაზღვროს საგამოცდო ვადა. ეს იმიტომ, რომ საგამოცდო ვადა პირობითი მსჯავრდებულის გამოსწორებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. უმჯობესია, მეცნიერ-იურისტების მოსაზრებით, საგამოცდო ვადა არ იყოს ხანგრძლივი, მაგალითად, ათი ან ცამეტი წელი, რაც მეტად ხანგრძლივია გამოსაცდელი ვადისათვის და რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მსჯავრდებულის გამოსწორებაზე. პირობითი მსჯავრის საგამოცდო ვადა უნდა იყოს დიფერენცირებული. ვფიქრობთ, ასეთი კონსტრუქცია საფუძველს აძლევს სასამართლოს დანაშაულისა და მასთან ერთად სასჯელის მიხედვით განსაზღვროს, საგამოცდო ვადა – საგამოცდო ვადის ხელოვნურად შემცირება ვერ შეასრულებს მსჯავრდებულის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის მნიშვნელობის როლს.

ასევე დაუსაბუთებელი მაქსიმალური საგამოცდო ვადის შეფარდების დროს შეილახება მსჯავრდებულის ინტერესები. იგი დაკარგავს რწმენას კანონისადმი, რამდენადაც ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უსაფუძვლოდ იქნება ნასამართლობა. მეცნიერ-იურისტების მოსაზრებით, გამოსაცდელი ვადა ერთგვარად უნდა ეფარდებოდეს განაჩენით დადგენილი სასჯელის ვადას, ცოტა უხერხულობას ქმნის, რომ სასჯელსა და საგამოცდო ვადას შორის დიდი სხვაობა იყოს<sup>11</sup>. ე. ი. უმჯობესია საგამოცდო ვადა დაწესდეს რეალური სასჯელის მიხედვით (რაც შემდგომ პირობით შეეცვალა). თუ გამოსაცდელი ვადა განაჩენში განსაზღვრული არ არის, მაშინ პირობით მსჯავრს აზრი და მნიშვნელობა ეკარგება, შეუძლებელი ხდება გაირკვეს, თუ რა ხნის განმავლობაში ინარჩუნებს განაჩენი, რომლითაც პირობითი მსჯავრი დაინიშნა, თავის ძალას. პირობითი მსჯავრის მთელი არსი და ეფექტურობა, პირობითი მსჯავრისას დადგენილი გამოსაცდელი ვადისა და დაკისრებული მოვალეობის სწორად შერჩევაში უნდა ვეძიოთ.

გამოსაცდელი ვადა – ეს არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით განსაზღვრული მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მსჯავრდებულმა უნდა დაამტკიცოს რომ გამოსწორდა. ამ პერიოდში მსჯავრდებულის უნდა იქცეოდეს სამაგალითოდ, არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული, უნდა შეასრულოს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობა. მსჯავრდებულის საგამოცდო ვადის პერიოდში შესაძლებელია მდგომარეობა საუარესოდაც შემობრუნდეს. საგამოცდო ვადა არის ის პერიოდი, რომლის დროსაც შეიძლება სასამართლომ იმსჯელოს პირობითი მსჯავრის გაუქმების, ან მისი გაგრძელების, ან პირობითი დანიშნული სასჯელის გაუქმების და მისი აღსრულების თაობაზე. პირობითი მსჯავრი უქმდება როგორც მსჯავრდებულის სასიკეთოდ, ისე მის საუარესოდ. გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია, როგორც ამას პროფ. დვალაძე აღნიშნავს, სასჯელის სახესა და დანიშნული სასჯელის ვადაზე. 64-ე მუხლის მიხედვით, თუ თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელია დადგენილი, მაშინ გამოსაცდელი ვადა ერთიდან სამ წლამდე ვადით ინიშნება, ხოლო თუ თავისუფლების აღკვეთაა დანიშნული პირობით მსჯავრზე, ან დადგენილ სასჯელზე ერთი წლით მეტი ანალოგიურად განსაზღვრავდა კანონმდებელი განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას. მაგრამ უკვე საგამოცდო ვადებმა განიცადა გარკვეული ცვლილება, რომელიც შეეხება თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისა – არა ნაკლებ ერთი და არა უმეტეს ექვსი წლისა, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობის დროს ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შე-

<sup>11</sup> გაზეთი ასავალ დასავალი, 2007 წლის 14-20 მაისის გამოცემა.

დეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, არა ნაკლები ორი და არა უმეტეს ექვსი წლისა. თავისუფლების აღკვეთის და დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს საგამოცდო ვადის დანიშვნა დამოკიდებული არ არის სასჯელის ვადაზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან შესწორებად. სასჯელის ვადაზე დამოკიდებული საგამოცდო ვადა იძლეოდა შესაძლებლობას მსჯავრდებულის დიდი ხნით კონტროლში ყოფნისა, რომლის მიზანშეუწონლობაზე ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი.

## პირობითი მსჯავრდებულის მოვალეობები და კონტროლი

ევროპული ქვეყნების მსგავსად სათანადო საფუძვლების არსებობისას ჩვენი ქვეყნის სასამართლოს შეუძლია დააკისროს განსაზღვრული მოვალეობების შესრულება პირობით მსჯავრდებულებს: პრობაციის სამსახურის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა მათთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ამ საზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს. გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი. 65-ე მუხლს დაემატა, კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ძალაში შევა ამა წლის პირველი სექტემბრიდან, თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია, მას ჩაუტარდება ძალადობრივი დამოკიდებულების და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი, რაც საინტერესო ნოვატიაა. ასევე, შეიძლება სასამართლომ დააკისროს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას, რაც დაკონკრეტებული არა აქვს კანონმდებელს.

პირობითი მსჯავრდებულის ყოფა-ქცევის კონტროლს და მის დახმარებას ახორციელებს ამისათვის შექმნილი სპეციალური სამსახური – პრობაციის სამსახური. ეს სამსახური არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის მე-40 მუხლის მიხედვით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. ეს სამსახური არ არის მხოლოდ საზედამხედველო სამსახური, რადგან მის მთავარ ფუნქციას მსჯავრდებულ პირთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია წარმოადგენს. სხვათა შორის დახვეწილი და ეფექტური პრობაციის სისტემა მეტ საშუალებასა და თავისუფლებას მისცემს სასამართლოს გამოიყენოს უფრო მსუბუქი სასჯელები. ამ მოვალეობის დაკისრება სასამართლოს მიერ სავალდებულო არ არის. სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულზე დაკისრებული მოვალეობები არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ან პიროვნების ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესასრულებლად შეუძლებელი. მაგალითად, არ შეიძლება სახლის სარემონტო სამუშაოს შესრულება დროის მცირე, არანორმალურ მონაკვეთში, მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება, რაც მონური შრომის ტოლფასია, ანდა ნახატის შესრულების დაკისრება, რაც, ბუნებრივია, შესაბამის ნიჭსა და ოსტატობას მოითხოვს. ასევე, შეიძლება ითქვას სასწავლებელში ჩაბარებაზეც. თუ მსჯავრდებულს არა აქვს სათანადო ცოდნა (ბიოლოგიასა და ქიმიაში, იხილეთ, ი. დვალის ნაშრომი „სასჯელები სისხლის სამართალში“, გვ. 136). ასევე, პირობითი მსჯავრდებულის კონტროლსა და მის დამხმარებას 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ახორციელებს სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა.

პირობითი მსჯავრდების გაუქმების საკითხი შეიძლება სხვაგვარად გადაწყდეს იმისდა მიხედვით, პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახ დანაშაული ჩაიდინა თუ გაფრხილებლობით. 67-ე მუხლის მე-4 ნაწილში კანონმდებელმა სასამართლოს დაუტოვა უფლება გააუქმოს თუ არა პირობითი მსჯავრი თუ ჩადენილი იქნება გაუფრთხილებლობით დანაშაული. თუ მსჯავ-

რდებულმა ჩაიდინა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. ე.ი. განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლომ სავალდებულოდ უნდა იმსჯელოს სასჯელის დანიშვნაზე.

### **პირობითი მსჯავრის და კანონით გათვალისწინებულზე მსუბუქი სასჯელის დანიშვნა**

ზოგიერთი მეცნიერ-იურისტი პირობით მსჯავრს ადარებდა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას. აღნიშნული ინსტიტუტს საერთო არა აქვს რა პირობით მსჯავრთან, რადგან მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია არა სასჯელისაგან გათავისუფლებაზე, არამედ დამნაშავის მიმართ სასჯელის გამოყენებაზე.

ამ ინსტიტუტის მოცემულ ასპექტში განხილვა საჭიროა იმისათვის, რომ ერთგვარი ზღვარი გავავლოთ კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნასა და პირობით მსჯავრს შორის. ისმის კითხვა – რა გარემოებებში შეიძლება გამოყენებულ იქნას პირობითი მსჯავრი და როდის უნდა იქნას დანიშნული უფრო მსუბუქი სასჯელი? <sup>12</sup> დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით, კანონით გათვალისწინებული მსუბუქი სასჯელის დანიშვნა და პირობითი მსჯავრი ინიშნება საპროცესო შეთანხმების შემდეგ, რაც მოცემულია 55-ე და 63-ე მუხლებში. ამით, ვფიქრობთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხდება 55-ე მუხლზე გადასვლა და პირობითი მსჯავრის გამოყენება. გარდა ამისა, ასეთ პრაქტიკას შეუძლია წარმოშვას არასწორი პრაქტიკა იმის შესახებ, რომ სასამართლო სპეციალურად ამცირებს სასჯელის ზომას იმ მიზნით, რათა გაიოლდეს პირობითი მსჯავრის გამოყენება. ვფიქრობთ, რომ უნდა აღდგეს 55-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია, რითაც ფაქტიურად დასაბუთდება 55-ე მუხლის გამოყენება, სადაც მოცემული იყო განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოება. კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენება არაა გამართლებული, მაშინ როდესაც დანაშაული ჩადენილია რაიმე ქვენა გრძნობით, აშკარად მიუთითებს დამნაშავის საშიშროებაზე, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების მკვეთრ რეაქციას იწვევს. ასეთ პირობებში ზედმეტი ჰუმანურობის გამოჩენა და ამ მუხლის გამოყენებით პირობითი მსჯავრის დანიშვნა ვფიქრობთ არ იქნება სამართლიანი. რა შეიძლება ყოფილიყო განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება, კანონმდებელი არ განსაზღვრავდა და არც მათ ჩამონათვალს იძლეოდა, სასამართლო პრაქტიკაში მოიპოვება ერთი მაგალითი ამასთან დაკავშირებით (2002 წლის სასამართლო პრაქტიკიდან). კერძოდ, ზ.-ს, რომელიც მსჯავრდებული იყო, ავტოავარია მიძიმე შედეგით, ავტომანქანის მართვისას მოსახვევში ვერ შეძლო მანქანის სწორად მართვა და გადააბრუნა. ამის შედეგად დაიღუპა ძარაზე მყოფი. ს. სასამართლომ გამოიყენა ზ.-ს მიმართ 55-ე მუხლი, გაითვალისწინა მისი სამსახურებრივი დახასიათება, ასევე ის გარემოება, რომ მას ჰყავდა სამი მცირეწლოვანი შვილი და არის ერთადერთი მარჩენალი, წარსულში არ ყოფილა ნასამართლევნი, სასამართლოს უადვილებდა გადასულიყო 55-ე მუხლზე, ანუ კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელზე და ეს სასჯელი ჩაეთვალა პირობითად.

<sup>12</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ.136.

## პირობითი მსჯავრის დანიშვნის დრო საჭიროა თუ არა საპროცესო შეთანხმება

საერთოდ უნდა ითქვას, პირობითი მსჯავრის დანიშვნის დროს საჭიროა თუ არა საპროცესო შეთანხმება, ამ საკითხზე სერიოზულად უნდა ფიქრობდნენ მეცნიერ-იურისტები. ჩვენ ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც საადვოკატო პრაქტიკაში მოგვეპოვება. კერძოდ, ა.-ს ბრალი ედებოდა ქურდობაში, დანაშაული ჰქონდა პირველად (თუმცა პრობლემები იყო მტკიცებულებების ნაწილში, რომლის განხილვას ახლა არ ვაპირებთ). ა.-ს კარგი საფეხბურთო მონაცემები ჰქონდა და საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა<sup>13</sup>. რომ არა ეს აღნიშნული დანაშაული, ა.-ს მიმართ მოთხოვნილი იყო პირობითი მსჯავრის გამოყენება, მაგრამ, სამწუხაროდ, პროკურორმა არ გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რის გამოც იგი მოხვდა საპატიმრო დაწესებულებაში ორი წელი და ექვსი თვის განმავლობაში. ამ სასჯელის მოხდის შემდეგ ა. დაუკავშირდა ქურდული მენტალიტეტის მქონე პირებს, საფეხბურთო თამაშის ინტერესი დაკარგა, იწყო ჩარევა ქურდულ გარჩევებში. ვფიქრობთ, ასეთი შემთხვევისათვის პირობითი მსჯავრის გამოყენებლობა პირდაპირ წინააღმდეგობაშია ფრანც ლისტის თეორიასთან, როცა შემთხვევითი დამნაშავე ციხეში ხვდება გამოუსწორებელ, პროფესიონალურ დამნაშავეებთან. ის იქ პროფესიონალი-საგან სწავლობს დანაშაულის ჩადენის ხერხებს და ციხიდან გამოდის პროფესიონალ დამნაშავედ. აი სწორედ ამ შემთხვევითი დამნაშავის გადარჩენა იგულისხმება ციხის უარყოფითი ზეგავლენისაგან პირობითი მსჯავრის დანიშვნის დროს<sup>14</sup>. ასე რომ, 63-ე მუხლიდან ამოღებულმა სიტყვებმა, თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება, რაც სასამართლოს ავალდებულებდა შეემონებინა განსასჯელის პიროვნება, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სხვა პირობები და ამის მიხედვით ემსჯელა, ყურადღების მიღმა დატოვებული, რაზედაც ალბათ იურიდიული საზოგადოება დაფიქრდება. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ნოვაცია სამართალმცოდნეობის მიღწევებს ეფუძნება, როგორც მსოფლიო პრაქტიკა და იურიდიული მეცნიერების მიღწევები. ქართული კანონმდებელი, რა თქმა უნდა, იყენებდა მსოფლიო მონიშნულ ქვეყნების კანონმდებლებით გამოცდილებას, თუმცაღა ამ გამოცდილების ქართული ინტერპრეტაცია დაფიქრებას იწვევს.

მაგალითისთვის ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ გერმანიის პირობითი მსჯავრის პრაქტიკა, რომელიც დამნაშავის გამოსწორებით იწყება. იმედია, შევძლებთ ამ არსებული მავნე პრაქტიკის გამოსწორებას, რაც პირობითი მსჯავრის ინსტიტუტშია.

<sup>13</sup> გაჯიევი, პირობითი მსჯავრის გამიჯვნა მოსაზღვრე ინსტიტუტებისაგან, საბჭოთა სამართალი 1966.

<sup>14</sup> ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013, გვ.125.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. გოთუა, სისხლის სამართლის სასჯელები, თბ., 2001.
2. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013.
3. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულება პირობით მსჯავრზე.
4. ო. კოდუაშვილი, პირობითი მსჯავრის შეფარდების ზოგიერთი საკითხები, თბ., 1967.
5. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელისა და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013.
6. ბ. ყორყოლაძე, თ. ბუზალაძე, სოციალური ეკონომიკა, #3/19/2010.
7. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.
8. გაზეთი ასავალ დასავალი, 2007 წლის 14-20 მაისის გამოცემა.
9. გაჯიევი, პირობითი მსჯავრის გამიჯვნა მოსაზღვრე ინსტიტუტებისაგან, საბჭოთა სამართალი, 1966.
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1997.



# სოციალური მეცნიერებების მიმართულება

სოფო ჩქოფოია

ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

## თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები და თანამედროვე გამოწვევები

### რეზიუმე

თურქეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ერთ-ერთი ძლიერი და მნიშვნელოვანი სახელმწიფოა. მისი საგარეო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე, რომელიც ცივი ომის პერიოდში მეზობლებისაგან იზოლირებული და მხოლოდ დასავლეთზე ორიენტირებული იყო, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია ევროკავშირში შესვლის საკითხი, რაც მუდმივად აისახებოდა კიდევაც მის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსზე.

მსჯელობა იმაზე, თუ საგარეო კურსის რომელი მიმართულებაა უფრო სწორი თურქეთისთვის, რთულია, რადგანაც გასათვალისწინებელია უამრავი ფაქტორი, რომელიც ერთმანეთს გადაკვეთს და კომპლექსური ურთიერთობების სახეს იღებს. თურქეთის შემთხვევაში ისეთი გამოწვევები დგას საგარეო პოლიტიკაში, როგორიცაა ევროკავშირში განწევრიანების სურვილი, დასავლეთთან სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება და რეგიონში ლიდერის პოზიციის დამყარება.

თურქეთი თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს რეგიონში, ამავდროულად ის გახლავთ დასაყრდენი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და ევროპისათვის. მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო უძველესი დროიდან. მნიშვნელოვანი და საკმაოდ დიდია თურქეთის როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის კუთხით. თურქეთი არის სახელმწიფო, რომელსაც აქვს პრეტენზიები რეგიონში ლიდერობაზეც. მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ის მაინც ცდილობს ევროკავშირში შესვლას, ურთიერთობების გაღრმავებას დასავლეთთან და მეტი გავლენის მოხდენას არაბულ სამყაროზე.

**Sopho Chkopoia**

*Associate Professor of  
New higher Education Institute*

## **Turkey-European Union Relations and Modern Challenges**

### **Abstract**

Turkey is one of the strongest and most important countries in the Middle East. Its foreign policy, at a modern stage, isolated from neighboring neighbors during the Cold War and only west-oriented has been making significant changes. The issue of entry into the EU is very important for Turkey, which has always been reflected in its foreign and domestic political courses.

Discussion is about which foreign policy course is more correct for Turkey, it is difficult because there are a lot of factors to be taken into consideration and the complexity of a complex relationship. In the case of Turkey, such challenges are in foreign policy, such as the willingness to join the EU, to maintain stable relations with the West and establish the position of leader in the region.

Turkey in a modern state in one of the strongest countries in the region and at the same time it is a stronghold for the United States and Europe. From its geostrategic location, it was constantly in the center of attention since ancient times. Turkey's role in the relations with the United States of the Middle East countries is significant and quite large. Turkey is a state that has complaints about leadership in the region. Despite many problems, the country still tries to enter the EU, deepen relations with the West and influence the Arab world.





## თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები და თანამედროვე გამოწვევები

თურქეთი საკმაოდ ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მუსტაფა ქემალ ათათურქს, რომელიც თურქეთის ნაციონალური გმირია. მართალია, მისი მთავარი პრინციპი ნაციონალური იდეები გახლდათ, თუმცა ეს არ გულისხმობდა იმას, რომ მიმართულიყო რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ყველა მოქალაქე ცხადდებოდა თურქად, გამოდიოდა ინსტრუქციები სხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის, თუ როგორ უნდა მიეღოთ მაქსიმალურად სწრაფად ენა, კულტურა და ტრადიციები. თუ ვინმე ამის წინააღმდეგ წავიდოდა და მოისურვებდა, რომ შეენარჩუნებინა თავისი ეთნიკური იდენტობა, განიცდიდა დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით. სწორედ ათათურქის მიერ გატარებულმა რეფორმებმა გადაარჩინა თურქეთი დაშლას.

ძალიან საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანია თურქეთისათვის მისი ევროკავშირში შესვლის საკითხი, რომელიც მრავალწლიანი დავის საგანია. 1987 წლის 14 აპრილს თურქეთმა შეიტანა განაცხადი ევროკავშირში შესვლის თაობაზე. ევროკავშირის კომისიამ ანგარიში წარადგინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სადაც მითითებული იყო, რომ ქვეყნის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ვერ დაარწმუნა კომისია იმაში, რომ თურქეთი გადალახავდა ეკონომიკური პროცესების სირთულეს ევროკავშირში შესვლის დროს, პოზიტიური ძვრების მიუხედავად, მაინც რჩებოდა პრობლემები დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების სფეროში.

1989 წლის 18 დეკემბერს ევროპული გაერთიანების კომისიის მიერ გამოქვეყნდა ორი დოკუმენტი: „კომისიის მოსაზრება თურქეთის გაერთიანებაში შესვლასთან დაკავშირებით“ და მასთან დანართის სახით მოხსენება „თურქეთის ეკონომიკა: სტრუქტურა და განვითარება“, რომელიც წარმოადგენდა თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობის ვრცელ ანალიზს და მოტანილი იყო შედარებითი ანალიზი ევროკავშირის ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებთან: საბერძნეთთან, პორტუგალიასთან და ესპანეთთან.

1993 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ასოციაციის საბჭოს ოქმს, რის შემდეგაც თურქეთი გადავიდა საბაჟო კავშირის რეჟიმზე ევროკავშირის ნორმების შესაბამისი რიგი კანონების მიღებითა და მისი ამოქმედებით.

1995 წლის 13 დეკემბრის ევროკომისიის მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო ძირითადი დებულებები, რომელსაც თურქეთმა უნდა მიაქციოს ყურადღება ევროკავშირში შესვლისას: 1982 წლის კონსტიტუცია, ადამიანთა უფლებების დაცვა და ქურთების საკითხის პოლიტიკური გადანყვეტის ალტერნატიული გზების ძიება. მთავარ წინააღმდეგობას თურქეთის დემოკრატიზაციის პროცესში წარმოადგენს პოლიტიკაში თურქი სამხედროების როლი. ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები არიან პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და თურქეთის სამხედრო ძალების უმაღლესი თანამდებობრივი პირები. საბჭო, 1982 წლის კონსტიტუციის თანახმად, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეროვნულ პოლიტიკაში, ხოლო მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის რე-

კომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს.

მეტად მნიშვნელოვანია ქურთების საკითხიც, მათ მიმართ ტარდება პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქურთების ნაციონალური იდენტობის უარყოფისაკენ. ქურთებთან სამხედრო დაპირისპირებაში საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება, რომელიც შესაძლებელია მიმართული ყოფილიყო სხვა მიმართულებით, ქვეყნის გასავითარებლად.

1996 წლის სექტემბერში ევროპარლამენტმა გადაწყვიტა, ყველა ფინანსური დახმარება შეენწყვიტა თურქეთისათვის, გარდა დემოკრატიის აღდგენისათვის გამიზნული თანხებისა. 1997 წლის ივლისში, ევროკავშირის კომიტეტის განცხადებით, თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვა არ შეესაბამებოდა ევროკავშირის სტანდარტებს. ამავე წლის 8 დეკემბერს თურქეთის მთავრობამ მიიღო კანონების პაკეტი ადამიანთა უფლებების შესახებ. ძირითადი დებულებები პატიმართა პირობებს ეხებოდა.

1999 წლის დეკემბერში ჰელსინკში ევროსაბჭოს სხდომაზე თურქეთს მიენიჭა ევროკავშირში შესვლის კანდიდატის სტატუსი, მაგრამ ის დარჩა თავის მოსაზრებაზე და განაცხადა, რომ იღებს წინადადებას ევროკავშირში შესვლის კრიტერიუმების დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ კატეგორიულად არ ეთანხმება საბერძნეთთან სადაო საკითხებზე დათმობაზე წასვლის აუცილებლობას.

თურქეთმა მიიღო კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და ევროკავშირის სანქსდებო მოთხოვნების შესრულების ვალდებულება. თუმცა 2000 წლის დასაწყისში მოლაპარაკებები დაიწყო ევროკავშირის ყველა კანდიდატ ქვეყანასთან, გარდა თურქეთისა. ეს ფაქტი აიხსნა შემდეგი მიზეზებით, რომ თურქეთის მთავრობამ არ შეასრულა ის აუცილებელი პირობები, როგორცაა: ადამიანის უფლებების დაცვა, სიკვდილით დასჯის გაუქმება, თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობების უთანხმოების მოგვარება და კვიპროსის საკითხი.

2000 წლის ნიცის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით არ დაიწყებოდა მანამდე, სანამ თურქეთი არ მიაღწევდა წინასწარი პოლიტიკური მოთხოვნების შესაბამისობას, თუ ძირეულად არ გააუმჯობესებდა მდგომარეობას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, არ შეიზღუდებოდა არმიის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ შეწყდებოდა ეროვნული უმცირესობების მიმართ დისკრიმინაცია.

2000 წლის ივნისში თურქეთში შეიქმნა „ევროკავშირის საკითხებთან დაკავშირებით გენერალური სამდივნო“. ამავე წლის დეკემბერში ევროკავშირის სამიტზე ბრიუსელში გამოქვეყნდა და თურქეთს გადაეცა ევროკავშირის გაფართოების კომიტეტის მიერ მომზადებული „დოკუმენტი ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხებზე პარტნიორობის შესახებ“. რომელშიც დეტალურად იყო აღნიშნული თუ რა მოთხოვნები უნდა შეესრულებინა თურქეთს მოკლევადიან (2002 წლამდე) და გრძელვადიან (2006 წლამდე) პერსპექტივებში.

2001 წლის 13 ნოემბერს კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში თურქეთის განვითარებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებების სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სიტყვის თავისუფლებას, ციხეში არსებულ პირობებს, სამართალწარმოებასა და უკანონობასთან ბრძოლას. ანგარიშში დადებითად შეფასდა მთავრობის მიერ განეული ძალისხმევა კონსტიტუციის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დემოკრატიული ღირებულებების გაფართოება ევროკავშირში შესვლის კრიტერიუმების გათვალისწინებით. მთლიანობაში ხაზი გაესვა იმას, რომ თურქეთი ერთადერთი კანდიდატი ქვეყანაა, რომელმაც გარკვეული ცვლილებების მუხედავად, კოპენჰაგენის კრიტერიუმები არ შეასრულა.

თურქულ-ევროპულ საპარლამენტო კომისიაზე გამოსვლის დროს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა ევროსაბჭოს კრიტიკას ადამიანის უფლებების დაუცველობასთან დაკავშირებით. არ ეთანხმებოდა თურქეთის ციხეებში დამნაშავეთა ნამების ბრალდებას და აღნიშნავს, რომ თავისუფალი შეკრებებისა და მსვლელობების შეზღუდვა სხვა ევროპულ ქვეყნებშიც არსებობს.

2003 წლის ოქტომბერსა და 2004 წლის ივლისს შორის თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო 261 ახალი კანონი.

2001 წლის ოქტომბერში თურქმა დეპუტატებმა ხმათა დიდი უპირატესობით ცვლილებები შეიტანეს კონსტიტუციის 34-ე მუხლში, რომელთა შორის არის ეროვნული უმცირესობების ენებზე რადიომუხსებლობის უფლება. თუმცა იქვე აღნიშნული იყო შენიშვნებიც „ნებისმიერი ენის გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად“. 42-ე მუხლი სწავლების ერთადერთ ენად აცხადებდა თურქულს. გაუქმდა სიკვდილით დასჯა, გარდა სახელმწიფოებრივი ღალატისა და ტერორიზმში მონაწილეობის შემთხვევებისა.

2003 წლის მარტში თურქეთმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ოქმს №6, რომელიც კრძალავს სიკვდილით დასჯას მშვიდობიან ვითარებაში. ევროპის საქმეთა მინისტრმა დენის მაკშანმა განაცხადა, რომ „ესაა თურქეთის ახალი მთავრობის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და თავისი მოქალაქეების ევროპული სტანდარტებით უზრუნველყოფისათვის“.

2004 წელს თურქეთის კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, თურქეთის კონსტიტუცია შეიცვალა ევროპული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების შესაბამისად.

2004 წლის მაისში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც უმსუბუქებდა მუსლიმური სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლას. კანონპროექტმა პროტესტი გამოიწვია სამხედროებში და ასევე რამოდენიმე სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელი მივიდა პროტესტის ნიშნად ქვეყნის პარლამენტში, სადაც 18 საათიანი მსჯელობის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება უმაღლესი განათლების წარმოდგენილი კანონის დამტკიცების შესახებ.

2004 წლის 28 მაისს ქვეყნის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯედ სეზერმა ვეტო დაადო აღნიშნულ კანონპროექტს.

2004 წლის იანვარში გამოიცა ახალი კანონი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა კერძო ეროვნულ ტელევიზიებსა და რადიოარხებს, სახელმწიფო არხთან ერთად წაეყვანათ გადაცემები ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. მაგრამ გაკეთდა შენიშვნაც: „ნებისმიერი ენის ხმარების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ნაციონალური უსაფრთხოების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, რესპუბლიკის ფუნდამენტური პრინციპების, სახელმწიფოსა და ერის ერთიანობის შესანარჩუნებლად.“

2003 წლის დეკემბერში პირველად გახდა შესაძლებელი ქურთული ენის კურსების ჩამოყალიბება, ქურთული ენის სწავლება დაიწყო 6 კერძო სკოლაში. იყო შეზღუდვები მასწავლებლებთან და სასწავლო ცხრილებთან დაკავშირებით, ამ სკოლის მოსწავლეები უნდა ყოფილიყვნენ 15 წელს ზემოთ, უნდა ჰქონოდათ მიღებული ზოგადი განათლება.

2004 წლის 16 დეკემბერს დაიწყო ბრიუსელის ორდლიანი სამიტი, ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა თურქეთის ევროპულ ამბიციებს.

ევროკავშირის ლიდერებმა დადებითად შეაფასეს თურქეთის საკანონმდებლო გარდაქმნა, რომელიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მისი საკანონმდებლო ბაზა შესაბამისი ყოფილიყო ევროკავშირის დემოკრატიული სტანდარტებისა. [1]

2012 წლის 31 ოქტომბერს ბერლინში თურქეთის ახალი საელჩოს გასახსნელად ჩასულმა თურ-

ქეთის პრემიერ მინისტრმა რეჯევ ტაიპ ერდოღანმა რაიხკანცლერ ანგელა მერკელთან საუბარში განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს 2023 წლამდე გახდეს თურქეთი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, ამასთან იმედი გამოთქვა, რომ 2023 წლამდე ლოდინი არ მოუწევს.

2017 წლის იანვარში თურქეთის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა ქვეყნის კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც ქვეყანა საპრეზიდენტო რესპუბლიკა ხდება. რაც იმას ნიშნავს, რომ რეჯევ თაიფ ერდოღანს (რომელიც 2014 წლიდან არის თურქეთის პრეზიდენტი) ქვეყნის მართვა 2029 წლამდე შეეძლება. ცვლილებათა პაკეტს 339 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, საჭირო იყო 330 ხმა, ამით მთლიანად ისპობა ძალაუფლების გადანაწილებისა და ბალანსირების სისტემა. კანონპროექტის მიხედვით თურქეთი საპრეზიდენტო მმართველობაზე გადადის და მთლიანად უქმდება პრემიერმინისტრის ინსტიტუტი. კანონის მიხედვით პრეზიდენტი კვლავ მხოლოდ ორი ვადით შეიძლება იყოს არჩეული, თუმცა ათვლა დაიწყება 2019 წლიდან, როდესაც ახალი კანონით ჩატარდება არჩევნები. შესაბამისად, თუ ერდოღანი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას მას პრეზიდენტად ყოფნა შეეძლება 2029 წლამდე, კანონპროექტის მისაღებად საჭიროა რეფერენდუმის ჩატარება, რომელიც უნდა ჩატარდეს კანონპროექტის მიღებიდან 60 დღეში. [3]

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯევ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთის ევროკავშირის წევრობის შესახებ რეფერენდუმს ჩატარებდა 16 აპრილს დანიშნული რეფერენდუმის შემდეგ. დასავლეთთან ურთიერთობა თანდათან მწვავედება, რის გამოც თურქეთი ვიზალიბერალიზაციის სანაცვლოდ ევროკავშირთან მიგრანტების საკითხზე მიღწეული შეთანხმების გადახედვასაც არ გამოირცხვას.

თურქეთის პრეზიდენტმა, ქვეყნის ევროკავშირის წევრობის საკითხზე შესაძლო რეფერენდუმის ჩატარების ახალი ინიციატივა, ევროკავშირის საიუბილეო სამიტს დაამთხვია.

ერდოღანმა ევროპაში მცხოვრებ თურქებს მოუწოდა, ხუთი შვილი იყოლიონ, გამრავლდნენ და „ევროპის მომავალი“ იყვნენ: „ჩემს მოქალაქეებს, ევროპაში მცხოვრებ ძმებსა და დებს მოვუწოდებ, არა თუ სამი, არამედ ხუთი შვილი იყოლიეთ... ადგილი, სადაც თქვენ ცხოვრობთ და მუშაობთ, ახლა თქვენი სამშობლოა. მოითხოვეთ თქვენი უფლებები. გახსენით უფრო მეტი ბიზნესი, თქვენი შვილები საუკეთესო სკოლებში გაუშვით, იცხოვრეთ საუკეთესო უბნებში, ატარეთ საუკეთესო მანქანები, იცხოვრეთ ყველაზე ლამაზ სახლებში და, რაც მთავარია, იყოლიეთ ხუთი შვილი“, განაცხადა ერდოღანმა ქალაქ ესქიშეჰირში მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას.

თურქეთის ლიდერი ასევე შეეხო ევროკავშირის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად დამსაქმებლებს შეუძლიათ აუკრძალონ დასაქმებულებს რელიგიური ნიშნების, მათ შორის მუსლიმური თავსაბურავის ტარება. ერდოღანმა ასევე აღნიშნა: „ისინი თავსაფრის ტარებას კრძალავენ, ჩვენ ეს უკვე მოგვებურდა. სად არის აღმსარებლობის სინდისის თავისუფლება?... თურქეთი, რომელზეც ევროპელები ოცნებობენ, ეს ის თურქეთია, რომლის მიმართაც შეუძლიათ ბრძანებები გასცენ. მათ არ აქვთ დისკომფორტი იმ თურქების მიმართ, რომლებიც მუშად მუშაობს ქარხანაში, მაგრამ ვერ იტანენ ნებისმიერ თურქს, ვინც ქარხნის მესაკუთრეა, ინჟინერი ან მენეჯერი“. [4]

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ თურქეთი ევროკავშირში შესვლას შეძლებს 3000 წელს. მისი თქმით, „თურქეთი უახლოეს მომავალში ევროკავშირში ვერ შევა“.

საპასუხოდ ერდოღანმა განაცხადა: „თუ ვინმე ამტკიცებს, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება 3000 წლამდე გაგრძელდება, მაშინ ეს ჩვენი სირცხვილი კი არა, მათი სირცხვილია,

ვინც ამას ამბობს. საინტერესო კი ისაა, რა დაემართება დღევანდელ ევროკავშირს 30 წლის შემდეგ“. [5]

თუკი თურქეთი გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო დადებითი მხარე იქნება ის, რომ შეიქმნება ახალი დიდი ბაზარი ევროკავშირის ნაწარმისათვის. ევროპა მიიღებს ერთ-ერთ უძლიერეს რეგიონალურ ძალას, ევროპა რა თქმა უნდა თურქეთს გამოიყენებს, როგორც ხიდს ცივილიზაციათა შორის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სიტუაციის დასარეგულირებლად და ევროპა გამოიყენებს მის გეოსტრატეგიულ მდებარეობას, მის სატრანზიტო ფუნქციას ენერგორესურსების მისაღებად აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან და ერაყიდან. [6]

თუმცა, მეორე მხრივ, თურქეთი ევროკავშირში მოსახლეობის რაოდენობით პირველი ან მეორე იქნება, შედეგად მას მინისტრთა საბჭოში ხმების იმდენივე რაოდენობა ექნება, რამდენიც გერმანიას. მიუხედავად ამისა, ეს არ უზრუნველყოფს იმას, რომ თურქეთს ექნება უმრავლესობა გადამწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა შეიძლება მასზე დიდი გავლენა მოახდინოს მიიმხროს სხვა ქვეყნები. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია რელიგიაც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს თურქეთი სეკულარული სახელმწიფოა, ისლამი მაინც დიდ როლს თამაშობს მის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველა ამ და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ განელონ საკითხი რაც შეიძლება მეტხანს, თურქეთი არის ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს საკუთარი მიზნები და ამბიციები, რაც მნიშვნელოვანწილად დაარღვევს სტაბილურობას ევროკავშირის შიგნით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX-XXI ს-ის დასაწყისი).
2. <http://www.24saati.ge/weekend/story/37875-turqebis-mama>
3. <http://regional-dialogue.com/after-election/>
4. <http://news.ge/ge/news/story/206676-turqetis-palramentma-erdoghans-2029-tslamde-prezidentad-darchenis-sashualeba-mista>
5. <http://www.allnews.ge/%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D/152564-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-5-%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90.html>
6. <http://www.ipress.ge/new/33638-turqeti-evrokavshirshi-gatsevrianeba-tu-3000-tslamde-gastans-es-chveni-sirckhvili-ar-iqneba>



ვალერი კვანტრიშვილი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

## საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის როლი და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციათა და რელიგიათა ახალ ურთიერთობებში (წარსული და თანამედროვეობა)

### რეზიუმე

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუ რა მომავალი ელის საქართველოს ქართულ მართლმადიდებლურ სახელმწიფოს, სად არის მისი ნამდვილი ადგილი ცივილიზაციათა და რელიგიათა ჭიდილის ახალ ტალღაში.

რადგან ჩვენი სახელმწიფოს მომავალი მონყობის კონტურები განსაზღვრულია, რომელიც ევროპულ ოჯახში შემავალი სახელმწიფოების რიცხვში მოიაზრება, უნდა დავინტერესდეთ, როგორ მოეწყობა ევროპა სამომავლოდ და ქრისტიანულ მართლმადიდებლურ რელიგიას, რომელიც ჩვენთვის უპირველეს ფასეულობას წარმოადგენს, რა ყურადღება დაეთმობა ევროპის მხრიდან და რა ადგილი, თუ ფუნქცია ექნება ჩვენს სახელმწიფოს მომავალ ევროპულ ოჯახში.

გლობალურ პროცესებში საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით კვლავ რელიგიათა გზაგასაყარზეა და როგორც ისტორიულად ხდებოდა დღესაც დიდი გამოცდისა და საფრთხის წინაშე იმყოფება. ეს საფრთხეა ის, რომ რელიგიები იჭრებიან სხვადასხვა სივრცეში და საზღვრების გადანაცვლება აისახება საერთაშორისო ბალანსზე. საბოლოოდ, რელიგიათა მცდელობა, რომ გასცდეს საზღვრებს, მიმართულია მოსახლეობაზე იდეოლოგიური კონტროლი განახორციელოს.

დღეს მოსკოვის საპატრიარქო აკონტროლებს მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან მართლმადიდებლურ ეკლესიას როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობითაც. მნიშვნელოვანია ასევე თავისი გავლენით კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომლებიც დღეს გავლენის სფეროებში ეცილებიან ერთმანეთს. ამ პირობებში, ბუნებრივია, რუსეთი უკიდურესად განაწყენებულია ჩვენი ევროპული არჩევანით და ყველა ღონეს ხმარობს, რომ ჩვენ კლანჭებიდან არ გაგვიშვას.

მსოფლიო ცივილიზაციათა და რელიგიათა ამ ახალ მღელვარე ეპოქაში უდიდესი წინდახედულება და გამჭრიახობა მართებთ ჩვენი ქვეყნის საჭეთმპყობელებს და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რათა რეალურ საფრთხეებსა თუ გამოწვევებს თვალი გაუხსნორონ და გაუმკლავდნენ, რომ ქვეყანა სულიერად და ტერიტორიულად განამტკიცდეს და ის მაინც დავიცვათ რაც დავგრჩა.





**Valery Kvantrishvili**  
*Doctor of Philology*

**The Role and Place of Georgia as a Christian Country in  
New Relations of the World Civilizations and Religions  
(Past and Present)**

**Abstract**

The subject of our interest is the future of Georgian Orthodox State and its true place in the new wave of civilizations and religions.

As long as the contours of our state's future arrangement is already clear, which considers it in the number of countries within the European family, we should be interested in how Europe will be organized in the future and what attention will be given to the Christian Orthodox religion, which is the most valuable for us, and what place will be given to our state in the future European family.

In the global processes Georgia is still on the crossroad of religions, taking into consideration its geopolitical situation, as it was historically still faces great tensions and danger. This is the danger of religions penetration in different areas and this change of borders has an impact on international balance. Finally, attempts of religions to cross the boundaries are directed to ideological control of the population.

Today the Moscow Patriarchate controls the most important Orthodox church in the world as well as people. The Constantinople Patriarchate is also important and also tries to gain the sphere of influence. Under these circumstances, Russia is very upset with our European choice and is doing all to keep us in its claws.

In this new turbulent epoch of world civilizations and religions, our country's leaders and every citizen should be prudent and wise in order to see the threats and challenges and to strengthen the country spiritually and territorially.

## საქართველოს, როგორც ქრისტიანული ჭეშმარიტების როლი და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციათა და რელიგიათა ახალ ურთიერთობებში (წარსული და თანამედროვეობა)

მსოფლიოს ხალხთა ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა წლების განმავლობაში მივიწყებული რელიგიური ფაქტორები. საზოგადოებისა და მასმედიის ინტერესები მიმართულია თემების-კენ: „რელიგიები და ცივილიზაციათა შეჯახება; სარწმუნოების როლი კონფლიქტის მოგვარებაში; ისლამისა და სხვა რელიგიების ადგილი ახალ ურთიერთობაში...“ [3]. ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუ რა მომავალი ელის საქართველოს ქართულ მართლმადიდებლურ სახელმწიფოს, სადა არის მისი ნამდვილი ადგილი ამ ცივილიზაციათა და რელიგიათა ჭიდილის ახალ ტალღაში.

ევროპის მომავალი კონსტიტუციის განსაზღვრაში რელიგიური მემკვიდრეობის მოხსენიების საკითხმა გამოაშკარავა როგორც რელიგიური ფაქტორების უარყოფა, ასევე მისდამი ლოიალური დამოკიდებულება, მაგრამ არც ერთი სახელმწიფო არ მისულა ევროპის კონსტიტუციის უარყოფამდე, მის ტექსტში კი ღმერთი და ევროპის ქრისტიანული ფესვები არ მოხსენიებულა. მეორე მხრივ, ქრისტიანობის მოხსენიების აშკარა უარყოფის მიუხედავად, კონსტიტუციამ წარმოშვა ღია გამჭვირვალე და რელიგიური დიალოგი ეკლესიებთან. ორგანიზაციების არც ერთ სხვა ტიპთან არ ყოფილა ამგვარი მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ რელიგიური ფაქტორები ჯერ კიდევ არ არის დავინწყებას მიცემული და ეკლესიას შეუძლია ისეთი ადგილი ეჭიროს, რომლის წვლილი უდიდესია მსოფლიო მღელვარების პერიოდში [3].

რადგან ჩვენი სახელმწიფოს მომავალი მონაცემების კონტურები განსაზღვრულია, რომელიც ევროპულ ოჯახში შემავალი სახელმწიფოების რიცხვში მოიაზრება, უნდა დავინტერესდეთ, როგორ მოეწყობა ევროპა სამომავლოდ და ქრისტიანულ მართლმადიდებლურ რელიგიას, რომელიც ჩვენთვის უპირველეს ფასეულობას წარმოადგენს, რა ყურადღება დაეთმობა ევროპის მხრიდან და რა ადგილი, თუ ფუნქცია ექნება ჩვენს სახელმწიფოს მომავალ ევროპულ ოჯახში, ჯერ ბუნდოვანია. ასევე გაურკვეველია ქართულმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ სადა უნდა დაივანოს რეალურად, ან კონფლიქტების მოგვარების საკითხში მისი როლი განისაზღვროს მსოფლიო მასშტაბით.

გავიხსენოთ ისტორიულად საქართველოს რა ადგილი ეჭირა ევრაზიის კონტინენტზე, ქართული ქრისტიანობა როგორ იცავდა ევროპის სახელმწიფოებს მუსლიმანური აგრესიისაგან. სწორედ საქართველო იყო ის განაპირა გოდოლი, რომელიც ევროპას მხარში ედგა, ფარის ფუნქციას ასრულებდა ყოველგვარი აღმოსავლური რელიგიური თუ აღმოსავლური ზესახელმწიფოების საფრთხეებისგან.

თავად ევროპა მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა საქართველო თავისი მფარველობის ქვეშ შეეყვანა და მოძალადე აგრესორებისაგან დაეცვა. გავიხსენოთ თუნდაც ს. ს. ორბელიანის დიპლომატიური ვიზიტი იტალიასა და საფრანგეთში, როდესაც გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით ორბელიანმა მიიღო კათოლიკური აღმსარებლობა. ირან-ოსმალეთის მუდმივი აგრესიისა-

გან განანამებ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს, მათ შორის ორბელიანს სურდათ მოესინჯათ ნიადაგი დასავლეთ ევროპასთან პოლიტიკური კავშირისათვის. ორბელიანი ეწვია საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს და რომის პაპს კლიმენტი XI-ს, რათა ეთხოვა აგრეთვე ფინანსური დახმარება ირანის ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის გამოსახსნელად. მისი დიპლომატიური მისია მარცხით დამთავრდა. იმედგაცრუებულმა ორბელიანმა დიდი გაჭირვებით ჩამოაღწია სამშობლოში. ბერის სამოსით შემოსილი ეძებდა გზებს ქვეყნის ოსმალეთისგან გასანთავისუფლებლად [6].

დღესდღეობით სახელმწიფო მოღვაწეები და ამერიკელი მომხსენებლები აკეთებენ პროგნოზს, თუ როგორ განისაზღვრება მსოფლიო მომავალი ევოლუცია 2020 წლისათვის, რომლის თანახმად, მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში რელიგიური იდენტობა გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი თვითიდეინტიფიკაციის პროცესში. ამ პროგნოზების მიხედვით, არა მარტო ისლამს მიეკუთვნება ეს პერსპექტივები, არამედ ქრისტიანობა შესაძლებელია გავრცელდეს ჩინეთსა და ასევე სხვა არადასავლურ ქვეყნებში. ამ გლობალურ პროცესებში საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით კვლავ რელიგიათა გზაგასაყარზეა და როგორც ისტორიულად ხდებოდა, დღესაც დიდი გამოცდისა და საფრთხის წინაშე იმყოფება. ეს საფრთხეა ის, რომ რელიგიები იჭრებიან სხვადასხვა სივრცეში და საზღვრების გადანაცვლება აისახება საერთაშორისო ბალანსზე. საბოლოოდ, რელიგიათა მცდელობა, რომ გასცდეს საზღვრებს, მიმართულია მოსახლეობაზე იდეოლოგიური კონტროლი განახორციელოს.

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, სემუელ პ. ჰან-თინგტონი თავის სტატიაში „ცივილიზაციათა შეჯახება“, ამბობს, რომ მსოფლიოში დომინანტი რელიგიები ისლამი და ქრისტიანობა მომდინარეობს ამ ორი რელიგიისა და მათზე დამყარებული ცივილიზაციების ბუნებიდან. ერთი მხრივ, კონფლიქტმა წარმოშვა განსხვავება და, პირველ რიგში, ისლამის, როგორც ცხოვრების წესის გაგება, რომელიც სცილდება რელიგიისა და პოლიტიკის ფარგლებს და აერთიანებს მაჰმადიანებს; ეს ეწინააღმდეგება დასავლურქრისტიანულ კონცეფციას ღმერთისა და კეისრის კუთვნილის განსხვავების შესახებ. მაგრამ კონფლიქტი მომდინარეობდა ორი რელიგიის მსგავსი ნიშნებისგანაც. ორივე მათგანი მონოთეისტურია და პოლითეისტური რელიგიებისაგან განსხვავებით, არ შეუძლია ახალი ღმერთების მიღება; ორივე აღწერს სამყაროს დუალისტური ცნებებით „ჩვენ“ და „ისინი“. ორივე უნივერსალისტურია და პრეტენზიას აცხადებს ერთადერთ ჭეშმარიტ სარწმუნოებად ყოფნაზე, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს ყველა ხალხი. ორივე რელიგია ხასიათით მისიონერულია და დამყარებულია იმის რწმენაზე, რომ მისი მიმდევრები მოვალენი არიან, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქციონ ურწმუნონი [1].

წარმოშობის დროიდან, ისლამი ყოველთვის ფართოვდებოდა დაპყრობათა გზით; ხელსაყრელ შემთხვევაში იგივეს აკეთებდა ქრისტიანობა. „ჯიხადისა“ და „ჯვაროსნული ომის“ პარალელური კონცეფციები არა მხოლოდ ჰგავდა ერთმანეთს, არამედ განასხვავებდა ამ ორ რელიგიას სხვა მსოფლიო რელიგიებისაგან. ისლამსა და ქრისტიანობას, იუდაიზმთან ერთად, გააჩნია თელეოლოგიური შეხედულება ისტორიაზე, განსხვავებით ციკლური და სტატიკური ხედვისაგან, რომლებიც ჭარბობს სხვა ცივილიზაციებში.

როგორც ჩანს, ჭიდილი ფარული თუ ღია კვლავ მიმდინარეობს ამ ორი სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მატარებელ ხალხსა თუ ქვეყნებს შორის და, ბუნებრივია, მცირე სახელმწიფოები ასეთ შემთხვევაში დიდი სახელმწიფოების ფრთებქვეშ ცდილობენ თავისი კულტურისა თუ იდენტობის შენარჩუნებას.

როგორც პოლიტოლოგები ვარაუდობენ, გლობალური ომი ძირითად მსოფლიო ცივილიზაციათა ბირთვი სახელმწიფოების მონაწილეობით ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ მთლიანად გამორიც-

ხული არ არის. ასეთი ომი, შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ცივილიზაციის კუთვნილ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის გამყოფი მიჯნის გასწვრივ კონფლიქტის ესკალაციის გამო; ამასთან, სავარაუდოა, რომ მასში მონაწილე ერთ-ერთ მხარედ ჩართული იქნებიან მუსლიმები, მეორე მხარეს – არამუსლიმები. ესკალაციის შესაძლებლობა გაიზრდება, თუ პატივმოყვარე ისლამური ბირთვი-სახელმწიფოები მეტოქეობას დაიწყებენ საბრძოლველად შემართულ თანამოქმეთა მხარდაჭერის საქმეში. იგი შემცირდება, თუკი შორეული მონათესავე ქვეყნები არ იქნებიან დაინტერესებული ომში ჩაბმით. გლობალური ცივილიზაციური კონფლიქტის უფრო საშიში წყაროა ცივილიზაციებსა და მათ ბირთვ სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის შეცვლა. თუ იგი გაგრძელდება, ჩინეთის აღმავლობა და „კაცობრიობის ისტორიაში ამ უდიდესი მოთამაშის“ მზარდი თავდაჯერება მძიმე ტვირთად დაანება XXI საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო სტაბილურობას. ჩინეთის, როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დომინირებული ძალის გამოჩენა წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ამერიკის ინტერესებთან – იმ სახით, როგორც ისინი ისტორიულად გაიაზრებოდა [1].

ამ მოსაზრებით აშშ, ევროპა, რუსეთი და ინდოეთი ჩაბმული აღმოჩნდებიან ნამდვილ გლობალურ ომში ჩინეთის, იაპონიისა და ისლამური ქვეყნების უმრავლესობის წინააღმდეგ. რით დამთავრდება ასეთი ომი, თუ ასეთი პრეცედენტი შესაძლებლად დაუშვით, და ჩვენ ქვეყანას რა ზიანი მიადგება, როგორც ქრისტიანთა განაპირა მხარეს, რომელიც მუსლიმანთა საზღვარზეა, ცხადია.

მოდერნიზაცია და ეკონომიკური განვითარება არც მოითხოვს და არც განაპირობებს კულტურულ ვესტერნიზაციას. პირიქით, იგი ინვესს ადგილობრივ კულტურათა გამოცოცხლებასა და აღორძინებას. ინდივიდუალურ დონეზე, ადამიანთა მოძრაობა დიდ ქალაქებისაკენ, ტრადიციულ ურთიერთობათა განწყვეტა და უცხო გარემოში გადანაცვლება ინვესს გაუცხოების გრძნობის წარმოშობას და თვითიდენტიფიკაციის კრიზისს. ამ ვითარებიდან გამოსავალს ხშირად რელიგია კარნახობს. სოციალურ დონეზე, მოდერნიზაციას მოსდევს მთელი ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდა, რაც ადამიანებს განუმტკიცებს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის რწმენას. ამის შედეგად ბევრი არადასავლური საზოგადოება უბრუნდება ადგილობრივ კულტურას. ხშირად ეს რელიგიურ ფორმას იღებს, რელიგიის გლობალური აღორძინება სწორედ მოდერნიზაციის პირდაპირი შედეგია. არადასავლურ საზოგადოებაში ეს აღორძინება ანტიდასავლური ფორმით ვლინდება. ერთ შემთხვევაში დასავლურ კულტურას უარყოფენ როგორც ქრისტიანულსა და დამლუპველს, მეორე შემთხვევაში – როგორც საეროსა და გადაშენების გზაზე დამდგარს. ადგილობრივისაკენ დაბრუნება ყველაზე მკაფიოდ აღინიშნება ისლამურ და აზიურ საზოგადოებაში. ისლამური აღორძინება ყველა მუსლიმურ ქვეყანაში შეინიშნება. თითქმის ყველა მათგანში იგი იქცა მთავარ სოციალურ, კულტურულ და ინტელექტუალურ მოძრაობად, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე [1].

ამ პოლიტიკური და შეიძლება ითქვას, რეალური ექსკურსიდან ნათელია, რომ ისტორია გამუდმებით მეორდება და საქართველო ყოველთვის დიდი სახელმწიფოების ინტერესების ტყვეობაში იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება. კვლავ დაეუბრუნდეთ წარსულს.

სწორედ ამ დიდი საფრთხეების წინაშე იდგა საქართველო, რადგან იგი, როგორც ზემოთ ითქვა, განაპირა ქრისტიანულ ქვეყანას წარმოადგენდა და ყოველთვის მუსლიმანთა ზენოლას განიცდიდა. სხვადასხვა ჰეგემონი სახელმწიფოები და რელიგიები ყოველთვის ცდილობდნენ საქართველოზე იდეოლოგიური ზეგავლენის მოპოვებას. ყველა დამპყრობ სახელმწიფოს თავისი ინტერესი ჰქონდა. უფრო სწორად, ქართველ კაცს ცხოვრება უხდებოდა და უხდება ისეთ რეგიონში, სადაც მას არც გარეთ, მეზობლების სახით და არც შიგნით, შემოხიზნულთა სახით გულწრფელი მეგობარი არ ჰყავს. ყოველი მეზობელი ქვეყანა ისტორიულად და დღესაც მოშურნეა და აგრესი-

ული, დამპყრობის თვალთ შეჰყურებს ჩვენს მიწა-წყალს. „ყოველივე მათგანს, ჩვენივე უკეთური თანამემამულეების წყალობით მიტაცებული აქვს ჩვენი კუთვნილი ისტორიული მიწა-წყალი. თურქეთს ტაო-კლანჯეთი, რუსეთს – სოჭის ოლქი, აზერბაიჯანს – საინგილო, სომხეთს – ლორეს ოლქი, მაგრამ ისინი ამასაც არ კმარობენ და კვლავაც აქეთ იმზირებიან, რათა კვლავაც ჩამოგლიჯონ საქართველოს და მიისაკუთრონ – რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო, სომხეთმა – ჯავახეთი, აზერბაიჯანმა – ისტორიული საბარათიანო. ყოველი ჯურის ადამიანი მარადჟამს მის გადაშენებაზე ოცნებობდა, რომ ქართველთა ნაფუძნარზე თვითონ გაპარპაშებულყო“ [2. გვ. 12].

რეალური ვითარება ასეა და ამგვარად მოდის ჩვენი ისტორია დასაბამიდან დღემდე. საქართველო მუდმივი თავდასხმის პირობებში იყო. საქართველოს ესხმოდნენ აპენინიდან რომაელები, ჩვენი ქვეყნის სამხრეთიდან სპარსელები, არაბეთიდან ბედუინები, ჩრდილო კავკასიიდან ოსები და ხაზარები, შუა აზიიდან თურქ-სელჩუკები, ცენტრალური აზიიდან მონღოლები, შუა აზიიდან ხვარაზმელები, მცირე აზიიდან იგივე თურქები და ბოლოს, მეცხრე საუკუნიდან რუსებად წოდებული სკვითურ-სლავური მოდგმის ტომები [2. გვ. 12]. აი ის არასრული ჩამონათვალი სახელმწიფოებისა და ქვეყნებისა, რომელთაც ჩვენზე გავლენის მოპოვება სურდა და, ბუნებრივია, თავისი იდეოლოგიისა და სარწმუნოების გავრცელება.

ქართველი ადამიანი აგრესორს იგერიებდა, თორემ უხცოურ კულტურას არასოდეს ებრძოდა, პირიქით, ითვისებდა და თავისი კულტურის ნაწილად აქცევდა. ამით იყო განპირობებული ის ტოლერანტული დამიკიდებულება სხვადასხვა რელიგიათა და ხალხების მიმართ. მიმტევებლობა და შემწყნარებლობა კულტურისა, თუ სხვა რელიგიის ადამიანებისა. სწორედ ამ დიპლომატიურმა მიდგომამ მოიყვანა ჩვენი ქვეყანა დღემდე და დიდი ზესახელმწიფოების გავლენის პირობებში გამჭრიახი ქვეყნის მესვეურები თავისი ქვეყნის გაძლიერებასა და მოღონიერებაზე ფიქრობდნენ. გავიხსენოთ ვახტანგ გორგასლის ეპოქა, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქები. ზოგადად, დიპლომატიის როლი განუზომელი იყო სახელმწიფოებრიობისა და რელიგიის შენარჩუნებაში. ზესახელმწიფოების პოლიტიკური ჰეგემონობის ქვეშ საჭირო იყო ისეთი ფაქიზი მექანიზმისა თუ მიდგომების გამოჩენა, რომ მათ არ ემსხვერპლა პოლიტიკურად და რელიგიურად ჩვენი ქვეყანა და, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „მამული ენა და სარწმუნოება“ შეგვენარჩუნებინა.

ერთ-ერთი, რაც ქართველ ერს, ხალხს გადაარჩინდა, სწორედ, რწმენა და სულიერება იყო, რომელსაც გამუდმებით დაცვა და გაფრთხილება სჭირდებოდა. ამიტომ მის შესანარჩუნებლად ჩვენი ქვეყნის მმართველთა დიპლომატიური დამოკიდებულება აგრესორებთან ასრულებდა გადამწყვეტ როლს რწმენისა თუ თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. მაშასადამე, ქვეყნის დაცვისა და რწმენის შენარჩუნების საიდუმლო მარტო მის ფიზიკურ სიდიდესა და რიცხობრივ უპირატესობაში არ იყო. ამის დასტურია ის მაგალითები, როდესაც რუკიდან მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოებიც კი გაქრა და მოიშალა. რწმენასა და იდეოლოგიასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორ პოლიტიკას და დიპლომატიურ დამოკიდებულებას მოძალადე სახელმწიფოებთან, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც ფიზიკური და იდეოლოგიური წნეხი ხორციელდებოდა გამუდმებით.

კვლავ საქართველოს ისტორიის პერიპეტიებს რომ თვალი გავადევნოთ, იშვიათად იყო ისეთი გამონათებები, როდესაც ჩვენს ქვეყანას „თავისი თავი თვითონვე ეყუდნოდა“, ანუ პოლიტიკურ თავისუფლებას ინარჩუნებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, როგორც ზემოთ ითქვა, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა. სწორედ დიპლომატიის წყალობით ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის მშენებლობას ვახტანგ გორგასლის დროიდან, როდესაც მან ირანის გავლენა თავისივე ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენა და ჩვენი სამშობლო მოაღონიერა. სულ ყოველთვის იდგა საქართველოს



წინაშე საკითხი, თუ როგორ, რა საშუალებით გადაერჩინა თავი. კიდევ ვიმეორებ, რომ არა ხელისუფალთა გამჭრიახი, დიპლომატიური პოლიტიკა, რომელსაც სამშობლოს უზომო სიყვარული ასაზრდოებდა, რომელიც იყო სანინდარი ქვეყნის შენარჩუნებისა, ქვეყანა ვერ გადარჩებოდა.

დავუბრუნდეთ ისევ დღევანდელ რეალობას. დღეს ჩვენ წინ უზარმაზარი თხრილია. ამ თხრილის პირას ვდგავართ საკმაო ხელი გვკრან შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად და, როგორც დიდი ილია იტყოდა „ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს“ [4]. დღეს მოსკოვის საპატრიარქო აკონტროლებს მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან მართლმადიდებლურ ეკლესიას როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობითაც. მნიშვნელოვანია ასევე თავისი გავლენით კონსტანტინოპოლის საქართველო, რომლებიც დღეს გავლენის სფეროებში ეცილებიან ერთმანეთს. ამ პირობებში, ბუნებრივია, რუსეთი უკიდურესად განაწყენებულია ჩვენი ევროპული არჩევანით და ყველა ღონეს ხმარობს, რომ ჩვენ კლანჭებიდან არ გაგვიშვას. როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო რელიგიები, რომელთაც წარსულში საქართველოს ტერიტორიაზე უმოქმედია ამა თუ იმ ფორმით, დღესაც განაგრძობენ მოქმედებას. ესენია ძირითადად: ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი. მაშასადამე, საქართველო არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალკონფისიური ქვეყანაა [5].

ამგვარად, მსოფლიო ცივილიზაციათა და რელიგიათა ამ ახალ მლელვარე ეპოქაში უდიდესი წინდახედულება და გამჭრიახობა მართებთ ჩვენი ქვეყნის საჭეთმპყობელებს და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რათა რეალურ საფრთხეებსა თუ გამოწვევებს თვალი გაუსწორონ და გაუმკლავდნენ, რომ ქვეყანა სულიერად და ტერიტორიულად განამტკიცდეს და ის მაინც დავიცვათ რაც დაგვრჩა.

როგორც გოეთე იტყოდა, „ყველაფერი გონივრული უკვე ნაფიქრია, მხოლოდ მათ ჩვენ ახლებურად ვიაზრებთ“, ამიტომ ამ კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი გონიერი წინაპრების ცოდნა და გამოცდილება, რომ თავი დავაღწიოთ საფრთხეებს, რათა საქართველო, როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანა, ისტორიის საკუთრებად არ იქცეს. მაშასადამე, იგი უნდა ემსახუროს ეროვნულ იდეას, მედგრად შეახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა, ხელი შეუწყოს მის განმტკიცებასა და გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ქართველმა ერმა პოვოს შესაფერი და დამსახურებული ადგილი.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
1. სემოელ ჰანგთინქტონი, ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა, 2010, (ინგლისურიდან თარგმნა ნინო ჩიქოვანმა) <https://polittheory.wordpress.com/2010/02/08/>.
2. მ. მჭედლიშვილი, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობებისა და მისი მოკლე მიმოხილვა (1491-1783 წლებში), 2013.
3. ჟან-ფრანსუა მეიერი, რელიგიური საკითხები და საერთაშორისო ურთიერთობები, 2013. <http://politforumi.com>
4. ილია ჭავჭავაძე, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?, პუბლიცისტური წერილი, თბ., 1897.
5. ნ. პაპუაშვილი, რელიგიური ფაქტორები და საქართველოს ურთიერთობა, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, 2013. <http://gelati.edu.ge/wp-content/uploads/2013/06/>
6. ს. ს. ორბელიანი, ბიოგრაფია, <https://ka.wikipedia.org/>





ივანე სეხნიაშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოპოვების თავისებურებანი  
თანამედროვე ინტერნეტ ტელევიზიაში**

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში „ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოპოვების თავისებურებანი თანამედროვე ინტერნეტ ტელევიზიაში“, საუბარია მასმედიის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან და ამავდროულად ყველაზე გავლენიან სფეროზე – ინტერნეტ ტელევიზიაზე, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში შეძლო ადამიანების ცხოვრებაში მთელი სიმძაფრით შეჭრილიყო და მასზე უდიდესი ზეგავლენა მოეხდინა. სოციალური მედიის უსწრაფესი ტემპით განვითარებამ ტელევიზია დაჩრდილა და დღეისათვის უფრო მეტად უპირატესობას ინტერნეტ ტელევიზიას ანიჭებენ. მომხმარებელი ინფორმაციას სულ უფრო ადვილად იღებს. დიდი დროის დაკარგვა ტელევიზორის ყურებაში დღეს აღარ არის საჭირო.

საქართველოში 2000 წლიდან უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 2013 წლის 26 აგვისტოდან კი მოქმედებს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი. უახლოეს მომავალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სერვისებით ისარგებლონ. რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის მაღალი სიჩქარის უზრუნველყოფა და დაბალი ფასები მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს როგორც მცირე, ასევე საშუალო და მსხვილ ბიზნესს განვითარდეს უფრო ჩქარი ტემპით, გაზარდოს საკუთარი კონკურენტუნარიანობა და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოში პრიორიტეტი სწორედ ინტერნეტ მედიას მიანიჭა, რადგან იგი ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტრადიციული ინფორმაციის წყარო მაინც გაზეთი და ტელევიზორია, სულ უფრო მეტად აღინიშნება მომხმარებელზე თანამედროვეობის გავლენა და შესაბამისად, ჩვენი აზრით, ონლაინ მედიის როლი ყოველდღე კიდევ უფრო გაიზრდება.

**Ivane Sekhniashvili**

*Doctor of Philology, Professor*

**Some Characteristics of Getting Information and Making it  
Available in the Modern Internet TV**

**Abstract**

The article “Some characteristics of getting information and making it available in the modern internet TV” deals with one of the most modern and at the same time the most influential fields of the system of Mass Media – internet TV that could cut into the life of people and influence them very strongly recently. The fast development of the social media overshadowed the TV and the internet TV is preferred more nowadays. Getting information for consumers is becoming easier and easier. It is not necessary to waste much time on watching TV any more.

Georgian General Administrative code has been guaranteeing the availability of information in Georgia since 2000 and the rule of using information proactively has been in use since 26<sup>th</sup> of August 2013. The population from different regions of Georgia will be able to use the modern informative technological services in the recent future. Accessibility to the internet, availability of high-speed internet and low prices will give a stimulus to developing small business as well as medium and big businesses at a very fast rate; they will be able to increase their competitiveness and create new working places.

In conclusion, it should be noted that the fact of the development of informative technologies prioritized the internet Media is very important because it has become available for the consumers. In spite of the fact that the sources of traditional information in Georgia are still newspapers and TV, the influence of modernity is marked on consumers and accordingly, the role of online media will increase every day.

## **ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოპოვების თავისებურებანი თანამედროვე ინტერნეტ ტელევიზიაში**

ინტერნეტის განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ინტერნეტ ტელევიზია. ზოგადად ტელევიზია მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მოსახლეობისთვის ინფორმაციის მინოდებისა და გართობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო. რადიოსადგური „ამერიკის ხმა“ ტელევიზიის მნიშვნელობაზე გაეროს შეფასებას აქვეყნებს. 1996 წლის მარტში გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 21 ნოემბერი მსოფლიოს ტელევიზიის დღედ გამოაცხადა. ამით გაერომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით ტელევიზიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ბოლო ხანებში მიიღო კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელმაც უზრუნველყო საზოგადოების უფლება გასცნობოდა სამთავრობო ინფორმაციას. პირველად ამგვარი კანონი 1776 წელს შვედეთში მიიღეს, თუმცა სანამ სხვა ქვეყნები მაგალითს აიღებდნენ, დიდმა დრომ გაიარა: ფინეთმა 1951 წელს მიიღო კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1966 წელს. 1970-იანსა და 1980-იან წლებში ზემოთხსენებული კანონი ნელა, თუმცა მტკიცედ იკიდებდა ფეხს, მაგრამ მისი ნამდვილი საყოველთაოდ გავრცელება 1989 წლიდან დაიწყო, როდესაც ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოებრივმა ჯგუფებმა ეს უფლება გარდამავალ პოსტკომუნისტურ პერიოდში ძალთა გადანაცვლების პროცესის აუცილებელ ნაწილად აღიარეს.

საქართველოში 2000 წლიდან უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 2013 წლის 26 აგვისტოდან კი მოქმედებს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი („ევროპის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ორგანიზაცია“, „ლიგალ ლიკის გზამკვლევი“, 2011, 46-47).

ბოლო 50 წლის განმავლობაში ტელევიზიამ ახალი გამოწვევები დაუსახა განვითარებად ქვეყნებს. რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, მაგალითად, აფრიკის ქვეყნებში ტელევიზიამ დამოუკიდებლობის, პლურალიზმისა და ეკონომიკური თავისუფლების სფეროში უდიდესი ძვრები მოახდინა. თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპას დავაკვირდებით, იქაურმა მოსახლეობამ დემოკრატიული ფასეულობების შესახებ ინფორმაცია ტელევიზიის საშუალებით მიიღო.

ამგვარად, ტელევიზია წარმოადგენს მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ საშუალებას, რომლის სოციალური ფუნქციების გააზრება ჟურნალისტს დაეხმარება უფრო ზუსტად განსაზღვროს თავისი პროფესიული ამოცანები და როლი, მაყურებელმა კი მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა თემებსა და მოვლენებზე.

ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციას ტელევიზიით იღებს. ინტერნეტ პორტალმა “გეოდიგიტალ. ტვ“ გამოაქვეყნა ამერიკის ეროვნული ინსტიტუტის გამოკითხვის შედეგი. კვლევის მიხედვით, კითხვაზე რამდენად ხშირად იყენებთ ინტერნეტს,

42% პასუხობს, რომ ყოველ დღე, 9% კვირაში ერთხელ მაინც, ხოლო თვეში ერთხელ ინტერნეტთან წვდომა 2% აქვს. გამოკითხვა 2016 წლის 23 თებერვლიდან – 14 მარტის პერიოდში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა.

ყოველ მე-10 ბრიტანელს ცხოვრება ინტერნეტის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ყოველი მე-5 კი დღეზე მეტს ვერ გაძლებს მის გარეშე. კიდევ ერთი გამოკითხვა, რომელსაც “გეოდიგიტალ. ტვ” აქვეყნებს, დიდ ბრიტანეთში ჩატარდა. კვლევის შედეგად, რესპოდენტთა 10% ამბობს, რომ ფართოზოლიანი ინტერნეტის გარეშე საკუთარი საქმიანობა წარმოუდგენიათ, სანინალ-მდეგო პოზიცია 21% გააჩნია. ისინი ამბობენ, რომ ერთ დღეს ან სულაც ნაკლებს გაძლებენ ფართოზოლიანი ინტერნეტის გარეშე. გამოკითხულთა ყოველი მე-20 ფიქრობს, რომ მხოლოდ 30 წუთს გაძლებს ასეთი ტიპის სერვისის გარეშე. „ფართოზოლიანი ინტერნეტი დღეს ტექნოლოგიაზე მეტს ნიშნავს. ის ასრულებს მედიატორის როლს ჩვენი საინფორმაციო, ფინანსურ და სოციალურ ცხოვრებაში. ისეთებიც კი, ვინც გასულ წლებში ფართოზოლიანი ინტერნეტს არ იყენებდნენ, ახლა უქმეებზე, შოპინგზე და პირადი ცხოვრებისთვის სწორედ ამ სერვისს იყენებენ“, ამბობს ჩაბლე. ცო. უკ მთავარი რედაქტორი დენ ჰოულდი.

იუნესკოს გენერალური დირექტორის ასისტენტი იანის კარკლინსი რადიოსადგურ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში კაცობრიობის ცნობიერებაზე ტელევიზიის გავლენას განსაკუთრებით დადებითად აფასებს: „სატელევიზიო კომუნიკაციების როლი მსოფლიოს ეკონომიკური და კულტურული განვითარების მხრივ შეუფასებელია. ასევე ძალზე დიდი გავლენა მოახდინა ტელევიზიამ განვითარებადი ქვეყნების იმ მოსახლეობაზეც, რომლისთვისაც ტელევიზია ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა“.

ცნობილია, რომ მასმედიის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანმა და ამავედროულად ყველაზე გავლენიანმა სფერომ, ტელევიზიამ, შეძლო ადამიანების ცხოვრებაში მთელი სიმძაფრით შეჭრილიყო და მასზე უდიდესი ზეგავლენა მოეხდინა. თუმცა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, სოციალური მედიის უსწრაფესი ტემპით განვითარებამ ტელევიზია დაჩრდილა და დღეისათვის მასობრივი კომუნიკაციის ეს საშუალება ადამიანებს ნაკლებად აინტერესებთ და უფრო მეტად უპირატესობას ინტერნეტ ტელევიზიას ანიჭებენ. ზოგადად სოციალური მედია უფრო საინტერესოა დღეს და მომხმარებლები ინფორმაციას სულ უფრო ადვილად იღებენ. დიდი დროის დაკარგვა ტელევიზორის ყურებაში დღეს აღარ არის საჭირო. აღარც გასართობ საშუალებად აღიქვამენ ახალგაზრდები ტელევიზორს. სამაგიეროდ საჭირო ინფორმაციის მოპოვების საუკეთესო საშუალება მათთვის ახლა უკვე ინტერნეტი. ჩვენი აზრით, იგივე ბედი ენია ბექდურ მედიას. მოსახლეობა ამჟამად აღარ ყიდულობს გაზეთს. ადამიანისათვის დღეს უფრო ადვილია ინტერნეტში გაეცნოს სხვადასხვა სტატიას ინტერნეტ გაზეთის მეშვეობით. დღესდღეობით მხოლოდ ტელევიზია აღარ არის ერთადერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო საშუალება, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო. თუმცა უსათუოდ გასათვალისწინებელია, ისიც, რომ გაზეთი გამოირჩევა ენობრივი შემოქმედების თავისებური პირობებით. იგი იქმნება უმოკლეს ვადაში, ისე სწრაფად, რომ ზოგჯერ საგაზეთო მასალის იდეალური დამუშავების საშუალებაც კი არ არის. ამავე დროს, მას ქმნის არა ერთი, არამედ მრავალი პიროვნება. კორესპონდენტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ამუშავებენ თავ-თავიანთ მასალას. საგაზეთო ჟანრების მრავალფეროვნება, ურთიერთობის სხვა სფეროთა მასალების (განცხადებები, ბრძანებულებები, კანონპროექტები ...) პუბლიკაცია – ყოველივე ეს გავლენას ახდენს გაზეთის სტილზე.

ამგვარად, გაზეთის სტილი პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა, რომელიც თავისი დანიშნულების, ამოცანებისა და საკომუნიკაციო პირობების გამო

საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს და მთლიანად ექსტრალინგვისტურ საფუძველთა თავისებურებებითაა განპირობებული.

ზემოთ დასახელებული ზოგადი ნიშნების გარდა საგაზეთო-პუბლიცისტურ მეტყველებას ახასიათებს იმპერატიულობა და გაზრდილი ემოციურობა. ორიენტაცია ფართო მკითხველზე იწვევს საყოველთაოდ გასაგები ენობრივი ერთეულების შერჩევას. უშუალოებისა და მკითხველთან კონტაქტის ადვილად დასამყარებლად პრესა ხშირად მიმართავს სასაუბრო მეტყველები-სათვის დამახასიათებელ ენობრივ ელემენტებს, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს საგაზეთო სათაურებში.

საინფორმაციო სააგენტო „ონ.ჯი-ს“ მიერ გამოქვეყნებულ ფრიდომ ჰაუსის შეფასებაში აღნიშნულია, რომ 2016 წელს მსოფლიოში მედია თავისუფლების კუთხით სიტუაციამ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში. ქვეყნები, მათ შორის როგორცაა რუსეთი, ჩინეთი, თურქეთი და სერბეთი უფრო აქტიურად ცდილობენ პრესის თავისუფლების შეზღუდვას. ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, საქართველო კვლავ ნახევრად თავისუფალი ქვეყნების სიაში ხვდება. საქართველოს რეიტინგმა პრესის თავისუფლების კუთხით წინა წელთან შედარებით მცირედით დაიკლო. ანგარიშის თანაავტორის ჯენიფერ დანჰამის თქმით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელისუფლების მხრიდან მედიაზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მცდელობა 2016 წელს უფრო აგრესიულად წარიმართა.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მედიის სკოლის სტუდენტებისათვის (აგრეთვე სხვა ფაკულტეტების წარმომადგენლებისთვისაც) ყველანაირი შესაძლებლობა არსებობს სტუდენტურ ინტერნეტ ტელევიზიებში მუშაობის დროს თეორიულ ცოდნასთან ერთად უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ და განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. სწორედ მაშინ შეისწავლიან და დაეუფლებიან მომავალი ჟურნალისტები იმ საჭირო უნარ-ჩვევებს, რაც მათ მომავალ საქმიანობაში დაეხმარებათ. ინფორმაციის მოძიება, გადაღებაზე გასვლა, ინტერვიუების ჩანერა, რეპორტაჟისათვის ტექსტის დაწერა, გახმოვანება, დამონტაჟება და კიდევ უამრავი სხვა “სატელევიზიო საქმე” – ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც ტელეჟურნალისტმა ზედმინევენით უნდა იცოდეს თავის მომავალ საქმიანობაში. ჩვენი აზრით, სწორედ სტუდენტური ინტერნეტ ტელევიზიების (და არა მხოლოდ ერთი ტელევიზიის) არსებობა შეუწყობს ხელს ახალგაზრდა თაობის სამომავლო კარიერული გზის განვითარებას.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას უახლოეს მომავალში შესაძლებლობა მიეცემა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სერვისებით ისარგებლონ. საინფორმაციო ანალიტიკური პორტალ “ფორ.ჯი-ს” ინფორმაციით, რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის მაღალი სიჩქარის უზრუნველყოფა და დაბალი ფასები მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს როგორც მცირე, ასევე საშუალო და მსხვილ ბიზნესს განვითარდეს უფრო ჩქარი ტემპით, გაზარდოს საკუთარი კონკურენტუნარიანობა და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები.

“გუგლის” ჯერ კიდევ 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც სააგენტო “ფორ.ჯი-ს” გამოაქვეყნა, მსოფლიო მოსახლეობის 50% ინტერნეტით სარგებლობდა, რაც ჯამში სამ მილიარდ მომხმარებელს აღწევდა. ეს კი, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არსებობდეს სხვადასხვა ინტერნეტ ტელევიზია, რომ დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებობდეს სხვადასხვა ჟანრის ინტერნეტ ტელევიზიები (საინფორმაციო, სპორტული, მუსიკალური, საგანმანათლებლო, რელიგიური, სამეცნიერო და სხვა). ჩვენი აზრით, მრავალფეროვანი



ინტერნეტ ტელევიზიები იმუშავებენ პროდუქციის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე.

2017 წელს გერმანიაში ინტერნეტი ტელევიზიას გადაუსწრებს. ამის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო პორტალი “გეოდიგიტალ.ტვ” აქვეყნებს. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ზრდასრული მოსახლეობა ინტერნეტში 4 საათს გაატარებს. გერმანიის ზრდასრული მოსახლეობა 2017 წელს უფრო მეტ დროს ინტერნეტში გაატარებს, ვიდრე ტელევიზორთან. ინტერნეტი გაუსწრებს ტელევიზიას პირველად თავისი არსებობის ისტორიაში. მეცნიერებმა დაითვალეს, რომ მოსახლეობა, რომლის ასაკი 18 წელს აღემატება კომპიუტერებთან და მობილურ ტელეფონებთან დღეში 3 საათსა და 44 წუთს გაატარებენ, ტელევიზორთან კი 3 საათსა და 38 წუთს. ჩვენი აზრით, გამოდის რომ მაყურებელი ნელ-ნელა უარს ამბობს ტელევიზორზე და გადაინაცვლებს ინტერნეტში. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება და სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს მრავალფეროვანი ინტერნეტ ტელევიზიები საკუთარი საინტერესო და, რაც მთავარია, რეიტინგული გადაცემებით.

ამ ეტაპზე გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები სხვაზე მეტყველებს. საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსი” ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს აქვეყნებს, რომლის თანახმად, პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების პირველწყარო გამოკითხულთა 76%-სთვის ტელევიზიაა, ხოლო 15%-სთვის ტელევიზია არის მეორე წყარო. რაც შეეხება ინტერნეტს, მხოლოდ 16%-სთვის არის პირველწყარო, ხოლო 24%-სთვის – მეორე წყარო. მიუხედავად ასეთი მონაცემებისა, ჩვენ ვთვლით, რომ ძალიან მოკლე ხანში მდგომარეობა შეიცვლება და ინფორმაციის წვდომის წყაროდ პირველ ადგილზე მაინც ინტერნეტ ტელევიზია, ზოგადად კი სოციალური მედია იქნება.

თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი დღეს ინტერნეტ ტელევიზიების არსებობა მსოფლიოს ქვეყნებში, ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს “გეოდიგიტალ. ტვ-ის” მიერ გამოქვეყნებული სტატიიდან, რომლის მიხედვით მსოფლიოში პოპულარული ვიდეოსაიტი “იუთუბი” ინტერნეტ ტელევიზიაზე მუშაობს. ვიდეოჰოსტინგი “იუთუბი” მოლაპარაკებებს ასრულებს საერთაშორისო და საკაბელო არხებთან 2017 წლისთვის ფასიანი ინტერნეტ ტვ-პლატფორმის ჩაშვების შესახებ. “იუთუბი” მალე წარადგენს ახალ პროექტს და ინტერნეტის მეშვეობით შესთავაზებს მაყურებელს არხებს. ცნობილია ისიც, რომ ახალი სერვისის სავარაუდო ფასი 35 აშშ დოლარამდე იქნება.

“იუთუბი”, რომელიც ვიდეო გიგანტ “გუგლ-ს” ეკუთვნის, სავარაუდოდ მოლაპარაკებებს სხვადასხვა ინტერნეტ კონტენტის პროვაიდერებთან აწარმოებს. ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია უფლება აჩვენოს პროგრამული კონტენტი, რადგან მხარეები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ ამ სერვისის ფასზე. ჯერჯერობით უცნობია ისიც, თუ როგორი ინტერფეისი იქნება მომსახურებას და როდის გამოჩნდება ის ბაზარზე. თუმცა უკვე ცნობილია, რომ “იუთუბი” სავარაუდოდ გააერთიანებს ოთხ ამერიკულ ქსელს და ასევე დაამატებს ცნობილ საკაბელო არხებს. აღსანიშნავია, რომ კომპანია ინტერნეტ ტელევიზიის პროექტზე 2012 წლიდან მუშაობს. გარდა ამისა მედია წერდა, რომ მსგავსი პროექტის განხორციელებაზე “ეფლი” და “ამაზონი” მუშაობენ.

საინტერესოდ მიგვაჩნია კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ საერთო ჯამში საქართველოში დაგეგმილი საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში ინტერნეტ ქვეყნის ორი ათას სოფელში შევა და მთლიანობაში ხელმისაწვდომი მოსახლეობის 91%-სთვის

გახდება. მაგისტრალური ინფრასტრუქტურის გამოყენებით მომსახურებას 190 ათასამდე აბონენტი მიიღებს. ცნობილია, რომ აღნიშნული პროექტი 2018 წელს უნდა დასრულდეს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოში პრიორიტეტი სწორედ ინტენეტ მედიას მიანიჭა, რადგან იგი ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტრადიციული ინფორმაციის წყარო მაინც გაზეთი და ტელევიზორია, სულ უფრო მეტად აღინიშნება მომხმარებელზე თანამედროვეობის გავლენა და ჩვენი აზრით, ონლაინ მედიის როლი შესაბამისად ყოველ დღე გაიზრდება, ვინაიდან ამომწურავი და საინტერესო ინფორმაციის მიღება ინტერნეტ ტელევიზიის მეშვეობით სულ უფროდაუფრო მარტივი ხდება მომხმარებლისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. იხ. <http://www.amerikiskhma.com>
2. იხ. <http://www.geodigital.tv>
3. იხ. <http://www.for.ge>
4. იხ. <http://www.ipn.ge>
5. იხ. <http://www.ick.ge>
6. იხ. <http://www.on.ge>
7. იხ. „ევროპის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ორგანიზაცია“, „ლიგალ ლიკის გზამკვლევი“, 2011.

თამარა ტარტარაშვილი  
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა  
ინსტიტუტის(ჯიპა)დოქტორანტი

## ეთნიკური სომხების ინტეგრაციის 2013 წლის ეროვნული პოლიტიკის ანალიზი

### რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოებაში უფროდაუფრო მძაფრ მნიშვნელობას იძენს ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა უმცირესობათა მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაცხოვრების უზრუნველყოფა უმრავლესობასთან. შეგვიძლია მოვიყვანოთ არაერთი მაგალითი იმისა, რომ უმცირესობათა ინტეგრაციის დაბალმა დონემ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთი დაძაბულობა და დრამატული დაპირისპირება გამოიწვია.

საქართველო თავისი განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპზე იმყოფება. ქვეყანაში ცალსახად არის განცხადებული, გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების სრულფასოვანი წევრი. ამ პროცესში ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია სრულფასოვნად უზრუნველვყოფთ ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და, მეორეს მხრივ, მოვახდინოთ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული მაცხოვრებლისა თუ ჯგუფის პოტენციალის მობილიზება ამ მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე მიმოხილვას, რასაკვირველია, არ აქვს პრეტენზია, რომ იგი არის სრული და ამომწურავი. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, მოკლედ მიმოგვეხილა 2013 წლის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. ვფიქრობ, ჩვენი ნაშრომი საინტერესო იქნება ამ საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.



**Tamara Tartarashvili**

*PhD Student of Georgian Institute  
of Public Affairs*

### **2013 National Policy Analysis of Ethnic Armenians Integration**

#### **Abstract**

Ensuring ethnic, religion and other minorities peaceful and harmony co-existence with majority gets more and more acute importance in modern society. We can consider many examples of low level of minorities integration in public political life was reason of a number of tensions and dramatic conflicts.

Georgia is at the important stage of development. The country clearly stated to become a full member of the European and Euro-Atlantic structures. At that process, it is very important to have legislative acts and practice based on modern democratic values. On the one hand, to ensure the rights and freedoms of minorities living in the country, and on the other to mobilize each resident living in the country and groups potential to achieve this goal. These all becomes more urgent in case of circumstances, taking place in Abkhazia and Tskhinvali region.

The presented article does not claim that it is complete and comprehensive. We only tried, to review those regulations, structures and mechanisms, which regulate the legislative situation of the ethnic minorities in the country.

## ეთნიკური სომხების ინტეგრაციის 2013 წლის ეროვნული პოლიტიკის ანალიზი

ამ ანალიზში გაერთიანებულია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. (რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, <http://www.smr.gov.ge/docs/doc251.pdf>).

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ნაჩვენებია საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის კონცეფციით განსაზღვრული ექვსი სტრატეგიული მიმართულება.

**კანონის უზენაესობის** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება იყო 2013 წელს, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენინგები და სემინარები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის და მომზადდა კანონპროექტი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უმცირესობების უფლებების დაცვას. 2013 წლის სექტემბერში არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ განახორციელა პროექტი „თანასწორობის მხარდაჭერა განათლების საშუალებით“, სადაც ჩატარდა ტრენინგები უმცირესობების უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე.

2012 წელს დაწყებული პროექტები **განათლების კუთხით** გაგრძელდა 2013 წელსაც. კერძოდ, „ვასნავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, რომლის ფარგლებშიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მივლინებით ნავიდნენ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო-ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების არაქართულენოვან სკოლებში, სადაც ენის ბარიერი იყო ისევე ძალიან მწვავე.


2013 წლის 15 ივლისიდან 5 აგვისტომდე შედგა საზაფხულო სკოლა და ჩართული იყო 216 მონაწილე, აქედან 180 იყო აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლე და 36 მასწავლებელი. პროექტის მიზანი იყო ინტერაქტიული მეთოდით ქართული ენის სწავლება. ასევე გაგრძელდა პროექტი ქართული ენის სახლები.

გაცვლითი პროგრამები განხორციელდა ასევე პროგრამის „ვასნავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში, სადაც სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სკოლები დამეგობრდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქართულენოვან სკოლებთან. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 2013 წელს 1435803 ლარს.

საქართველოს განათლების სამინისტრომ განახორციელა ასევე, პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომლის მიზანიც იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმ-



ცირესობების ინტეგრაცია და არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. პროგრამაში ჩართული არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა (%) შემდეგნაირად გამოიყურება:



2012 წელს დაწყებული ოლიმპიადა 2013 წელსაც ჩატარდა ეროვნული სასწავლო ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებშიც სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. კერძოდ, სომხური საგნები იყო 3177. აქედან ქართულ ენაში გამარჯვებულები იყვნენ ხუთი სომხურენოვანი და უცხოენაში გამარჯვებულებს შორის სამი სომხურენოვანი მოსწავლე.

სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში 2012-2013 სასწავლო წელს სრული ზოგადი განათლების დოკუმენტი აიღო 1257 სომხურენოვანმა მოსწავლემ.

2010 წლიდან დაწყებული 1+4 პროგრამა უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად 2013 წელს უფრო დაიხვეწა. 2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 186 სტუდენტმა და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე დაფინანსდა 91 აბიტურიენტი.

ამასთანავე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ განახორციელა პროექტი „მეგობარი სკოლები“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ყველა რეგიონში არსებული სკოლების დამეგობრებასა და მათ შორის ხანგრძლივი დიალოგის დამყარებას.

**მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით** საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2013 წელს მაყურებელს შესთავაზა რამდენიმე განახლებული ტელეპროექტი. ყოველდღიურ მაუწყებლობას აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე 2013 წლის 1 ივნისიდან დაემატა რუსულენოვანი საინფორმაციო გამოშვებაც, რომელიც აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და მსოფლიო ამბებს პირდაპირი ეთერით მე-2 არხზე 20:00-21:00 სთ.

ასევე სომხურ ენაზე გადიოდა საინფორმაციო გამოშვება კვირაში ერთხელ „პირველი რადიოს“ ეთერში.

2013 წლიდან გამოიცა სომხურენოვანი და რუსულენოვანი გაზეთები: „ვრასტანი“, „სვაბოდნა-ია გრუზია“ და „გურჯისტანი“, რომელიც მთელი საქართველოს მაშტაბით ვრცელდებოდა.

**პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის** მხრიდანაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურ მუშაობას ატარებდა უმცირესობებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2012 წლიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიქმნა სპეციალური ფგუფი, რომელიც მუშაობს უმცირესობების საკითხებზე და შემუშავდა 2012-2014 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატი და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლები. ამასთანავე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2012 წლიდან ამოქმედდა ქოლ-ცენტრი და ეს გაგრძელდა 2013 წელსაც, სადაც დასაქმებულნი იყვნენ სომხურენოვანი იურისტ-ოპერატორები და სომხურენოვან ამომრჩევლებს სომხურ ენაზე აწვდიდნენ ინფორმაციას. ამასთანავე, მნიშვნელოვანი დოკუმენტაციები და ინფორმაციებიც, როგორცაა, საარჩევნო მასალები და ცესკოს 11 სარეკლამო რგოლი, საიტზე სომხურ ენაზე ითარგმნა და გავრცელდა წამყვან სატელევიზიო არხებზე, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო-ქართლის რეგიონების ტელევიზიების ეთერში, სოციალურ ქსელებში და ცესკოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

ამასთანავე ცესკოს ოფიციალურ გვერდზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომი გახდა სომხურ ენაზე რეგიონში და თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის. კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს დაურიგდათ სომხურ ენაზე ამომრჩევლის მონაცემთა ბარათები, სამასხოვრო ბარათები, სადაც აღწერილი იყო კენჭისყრის დღის პროცედურები. ამასთანავე საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ეთნიკური უმცირესობებისათვის თანაბარი გარემოს შექმნის მიზნით 1502 სომეხისათვის ოლქებში დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია. ამასთანავე ხდებოდა სისტემატური შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან რეგიონებში.

ყურადღების მიქცევა გაუმჯობესდა ასევე **სოციალურ და რეგიონალურ ინტეგრაციაზეც**. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვითი თუ სახელმწიფო პროგრამები ერთნაირად გავრცელდა საქართველოს ყველა მოქალაქეზე. ინფორმაციის გავრცელების მიზნით და ენობრივი ბარიერის გამო ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობისათვის მიზნით არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები, რათა მომხდარიყო მათი ინფორმირებულება სახელმწიფო პროგრამებში დაგეგმილი სიახლეების შესახებ. 2013 წელს გაიმართა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და თბილისში.

2013 წელს შემწყნარებლობის, სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოხდა **ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**, სადაც შემუშავდა კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგია, რომელშიც მაქსიმალურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა. თუმცა ამ კუთხით თბილისში არაფერი გაკეთებულა, რადგან პროექტები ორიენტირებული იყო რეგიონებზე, როგორც 2012 წელს.

ასევე აღსანიშნავია 2013 წელს ეთნიკური **უმცირესობების კულტურის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა** და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობის კუთხით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორც იყო ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების, ხსოვნის საღამოების,

კულტურათმორისი დიალოგებისა და ლიტერატურულ-შემეცნებითი პრეზენტაციების მონყობა. კერძოდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განახორციელა პროექტი „ქართულ-სომხურენოვანი საინფორმაციო კომპიუტერული მეგა-თამაში „ერთიანი საქართველო“, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას გააცნეს საქართველოს კულტურის მრავალფეროვნება, შეასწავლოს ქართული ენა და ხელი შეუწყეს მათ ინტეგრირებას ქართულ-კულტურულ სივრცეში.

ქართულ ენაზე გამოიცა ცნობილი სომეხი მწერლის, გაგიკ დავითიანის ნაწარმოებების კრებული, რომლის პრეზენტაციასაც თავად მწერალი ესწრებოდა.

ასევე ჩატარდა მულტიკულტურული ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელიც ასევე 2012 წელსაც ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს უმცირესობების ბავშვთა მუსიკალური სკოლების აღსაზრდელებმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

თბილისის მერიის ორგანიზებით ერევნიდან სომეხი მხატვარი ესტუმრა საქართველოს, რომელმაც შეხვედრები გამართა სამხატვრო სკოლის მოსწავლეებთან.

„ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის „ფარგლებში ლაგოდეხის ნაკრძალში ჩატარდა მულტიეთნიკური კულტურული ფესტივალი „კახეთი 2013“, სადაც თითოეულმა მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების და ქართული ხალხური კულტურა. (რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2012 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2014 წელი, <http://www.smr.gov.ge/docs/doc306.pdf>).

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ სახელმწიფო აქტიურად ცდილობს აღებული ვალდებულებები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეასრულოს. ამის გამო შეიქმნა სახელმწიფო უწყებათმორისი კომისია, სადაც არის ჩართული ყველა ის სამინისტრო თუ დაწესებულება, რომელსაც ეხება უმცირესობების საკითხები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა სამინისტროები აქტიურად არიან ჩართულნი და ცდილობენ ეთნიკურ უმცირესობებს ხელი შეუწყონ სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით. 2010 წლიდან დაწყებულ პროექტებს აგრძელებენ და ყოველ წელს ემატება სხვა პროექტებიც. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს არ არის საკმარისი მათი ინტეგრაციისათვის. ასევე სახელმწიფოს ყურადღება მთლიანად ორიენტირებულია რეგიონებზე, რადგან რეგიონებში უფრო მწვავედ დგას ენის პრობლემა და გაუცხოვების პრობლემები, ვიდრე დედაქალაქში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, <http://www.smr.gov.ge/docs/doc251.pdf>
2. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2012 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2014 წელი, **Error! Hyperlink reference not valid.**<http://www.smr.gov.ge/docs/doc306.pdf>

ეკა ბუხრაშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიიდან

### რეზიუმე

რუსეთში მიმდინარე მოვლენებმა დაამხო რომანოვთა სამასწლოვანი სამეფო ტახტი. ამ გარემოებამ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. მართლაც, განხორციელდა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება – ქართველმა ერმა აღიდგინა სახელმწიფოებრიობა და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დროის მცირე მონაკვეთში შეძლო სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება, რომელმაც 1919 წლის 21 მარტს დაამტკიცა მთავრობის კაბინეტი. მოხდა სკოლების, სამართალდამცავი და მართვა-გამგებლობის ორგანოების გაეროვნულება. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლად გადაიქცა თბილისის უნივერსიტეტი, გაიხსნა კონსერვატორია. მიღებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის სახელმწიფო ენის, რესპუბლიკის დროშისა და ღერბის შესახებ. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 1 ეროვნული კონსტიტუცია, რომლითაც საქართველო თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ – დემოკრატიულ რესპუბლიკად ცხადდებოდა, მაგრამ განსაცდელი კარზე იყო მომდგარი. მისი თავიდან აცილება კი ალბათ შეიძლებოდა წინდახედულებითა და გონიერებით.



**Eka Bukhrashvili**

*Associate Professor of  
New higher Education Institute*

### **From the history of the Georgian Democratic Republic**

#### **Abstract**

The current events in Russia bring to an end the Romanovs' 300 years ruling. This gave a solid base for the restoration of the lost state. The centuries-old dream of Georgian people was implemented at last. On May 26, 1918, Georgian people regained statehood and declared independence. In a very short period of time democratic republic of Georgia managed to establish state institutions. On March 21, 1919, was elected Georgian Parliament, which approved the cabinet. At this time were nationalized many institutions – schools, legal and management-governing bodies. We have to highlight that Tbilisi State University became a national higher educational institute, and was opened Conservatoire. A number of legislative acts were adopted, among them the act about state language, the flag of the republic and act on the coat of arms. On 21 February, 1921 the Parliament adopted the first national constitution, which declared Georgia as a free, independent and indivisible state. Georgia was declared as an independent Republic but it faced and challenged a new problem. Of course it might be avoided by using common sense, prudence and intelligence.

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიიდან

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად რუსეთში თვითმპყრობელობა დაემხო. ჩვენში, ეს ფაქტი, თბილისში გამომავალ გაზეთ „თანამედროვე აზრის“ რედაქციაში მოსული დეპეშით გავრცელდა, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები ვიქტორ ნოზაძე და გოგიტა ფალავა აწერდნენ ხელს. დეპეშა დაშიფრული იყო და ასეთ ტექსტს შეიცავდა: „მთავრობაძე სკონჩალსია ვ პეტროგრადე. ოპოვესტიტე ვსეხ“

ტექსტი რედაქციის თანამშრომლებმა ვასო წულაძემ და პავლე იაშვილმა გაშიფრეს. იმხანად, თბილისში, გავრცელდა გამოთქმა, – საქართველოს თავისუფლება ფოსტით მივიღეთო, – ეს სინამდვილეს შეეფერებოდა როგორც ფაქტობრივად, ისე ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტის არსითაც.

თებერვალმა დაამსხვრია რომანოვთა სამასწლოვანი სამეფო ტახტი, რამაც რუსეთის იმპერიუ მთლიანობასაც შეურყია საფუძველი. ამ გარემოებამ საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. თუმცა, ერთბაშად არ მომხდარა. მას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის ჯერ სამხარეო მმართველობა, შემდეგ კი ფედერალური სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ორივე მათგანმა სულ რაღაც თოთხმეტ თვეს გაძლო.

1917 წლის 9 მარტიდან 15 ნოემბრამდე არსებობდა დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული გასაკუთრებული კომიტეტი.

1917 წლის 15 ნოემბრიდან განსაკუთრებული კომიტეტი ამიერკავკასიის კომიტეტმა შეცვალა. მისი თავჯდომარე გახდა ქართველი სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი.

1918 წლის 10 თებერვლიდან კომისარიატის ადგილი ამიერკავკასიის სიემმა დაიკავა, რომელშიც, ძირითადად, რუსეთის დათხოვნილი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატები შევიდნენ. სიემის თავჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. მთავრობა ჯერ ევგენი გეგეჭკორმა შეადგინა, მოგვიანებით აკაკი ჩხენკელმა. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ამიერკავკასიის ყველა მმართველი შტაბბინა თბილისში იყო განთავსებული.

1917 წლის 19-22 ნოემბერს შედგა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებათა, ორგანიზაციების, საქველმოქმედო საზოგადოებების და სხვათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც თავი ეროვნულ ყრილობად გამოაცხადა. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, საბჭოს თავჯდომარედ კი არჩეულ იქნა ნოე ჟორდანიას.

ამ ისტორიული პერიოდის პოლიტიკური მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად რომანოვების მონარქიული დინასტიის მრავალწლოვანი რყევისა, საქართველო და მისი პოლიტიკური ელიტა საკმაოდ მოუმზადებელი შეხვდა თებერვლის დამაგვირგვინებელ აქტს. ეს აიხსნება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით. ცხადია, საუკუნეზე მეტი კოლონიურ უღელქვემ მყოფი ქვეყნის უნარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნისა და ქვეყნის დამოუკიდებლად მართვისა, მნიშვნელოვანწილად, ატროფი-



რებული იყო, მაგრამ არც ქართველი პოლიტიკური პერსონალების ურთიერთდაპირისპირებისა და კინკლაობის დავინყება გვმართებს. ამდენად, ამიერკავკასიის ფედერალური რესპუბლიკა არ ყოფილა მტკიცე პოლიტიკური სახელმწიფო. იგი უფრო ნაჩქარევად შექმნილ, ხელოვნურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელსაც შინაგანი წინააღმდეგობა--უთანხმოებები ღრღნიდა.

1918 წლის 9 აპრილს, ამიერკავკასია გამოეყო საბჭოთა რუსეთს და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არც თუ მთლად სინანულის გარეშე გააკეთეს, რაც ბუნებრივი იყო. მათი პოლიტიკური კრედო ხომ რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეას შეესაბამებოდა. პარტიული კუთვნილების მხრივაც, ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ. გასაგებია ქართველი სოციალ-დემოკრატების უხერხულობაც. გამოდიოდა: პარტია რუსეთის, ხოლო სახელმწიფო – რუსეთისაგან გამოყოფილი. ამ უხერხულობის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ ამიერკავკასიის გამოყოფის საკითხზე კენჭისყრისას პირადად ნოე ჟორდანიამ თავი შეიკავა.

ამ საკითხზე საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მომენტიც. რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლისთანავე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მათგან პირი იბრუნეს და, ასე თუ ისე, ეროვნულ საკითხებს დაუბრუნდნენ. ამასთან დაკავშირებით, გერონტი ქიქოძე 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში «ეროვნული ენერგია», წერდა: «...მათთან დათან ისწავლეს საკუთარი თვალებით ცქერა და საკუთარი ფეხებით სიარული. ჩვენი სამშობლოს მზემ ნელ-ნელა გააღლო მათი გაყინული დოგმები» (გვ. 140)

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლას ხელი შეუწყო გართულებებმა საგარეო პოლიტიკაში. კავკასიის ფრონტის მოშლას და რუსეთის ჯარის წასვლას დაემატა ბრესტის ზავის არცნობა და თურქეთის მხრივ – საფრთხე. ამიერკავკასიის მთავრობამ არ მიიღო ბრესტის ზავის პირობები. საბჭოთა რუსეთს ბრალად დასდო ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესების უგულვებლყოფა, ბათუმისა და ყარსის ოლქების თურქეთისათვის დათმობა. მთავრობის თავჯდომარემ ე. გეგეჭკორმა თურქეთთან სეპარატისტული საზავო მოლაპარაკებისათვის გაგზავნა სპეციალური დელეგაცია, რომელმაც აგრესორს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი შესთავაზა, მაგრამ ამიერკავკასიის მესვეურები მალე დარწმუნდნენ, რომ ოსმალებთან მსგავს ზავზე ლაპარაკი ფუჭი ოცნება იყო.

1918 წლის 16 თებერვალს სხდომაზე სეიმმა დაადგინა ენარმოებინა საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან, რისთვისაც გაგზავნილ იქნა დელეგაცია დამფუძნებელი კრების წევრებით დაკომპლექტებული აკ. ჩხენკელის მეთაურობით. საზავო მოლაპარაკების ადგილად დადგინდა ქალაქი ტრაპეზუნის. ტრაპეზუნის კონფერენციის მუშაობა გაიხსნა 1 მარტს. კონფერენციაზე ოსმალთა დელეგაცია მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესრულებას. ასეთ პირობებში, სეიმმა შეუძლებლად ჩათვალა მოლაპარაკების გაგრძელება და 31 მარტს დაადგინა თავისი დელეგაციის უკან გამოწვევა.

1918 წლის მარტში თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ, ორი თვის განმავლობაში დაიკავეს ბრესტის ზავის შემდეგ რუსთა ჯარის მიერ დატოვებული პოზიციები, მოახდინეს ბათუმისა და ყარსის ოლქების, სამცხე-ჯავახეთის, გურიის ოკუპაცია. ბათუმს იცავდნენ ნაუცბათევად შექმნილი მოხალისეთა რაზმები და ქართველი ჯარისკაცები.

საქართველოს მმართველმა წრეებმა შექმნილ სიტუაციაში მთელი იმედი გერმანიაზე დაამყარეს. თუ საგარეო პოლიტიკურ პლატფორმაზე შეუძლებელი გახდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის სამი ერთეულის მორიგება, უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამას, აკაკი ჩხენკელის აზრით, ისიც აადვილებდა, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა და ბულგარეთმა გაცვალეს ნოტები, იკისრეს ვალდებულება ეცნოთ

საქართველოს დამოუკიდებლობა. აკ. ჩხენკელმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ურჩია დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა და ახლადფორმირებულ საქართველოს მთავრობას გერმანიისთვის ეთხოვა მფარველობა-დახმარება. ეს ასეც მოხდა.

1918 წლის 22 მაისს შედგა თათბირი, რომელმაც გადაწყვიტა საქართველოს შემდგომი ბედი. თათბირს ესწრებოდნენ: ზ. ავალიშვილი, აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ჟორდანიას და პ. სურგულაძე. საქართველოს დამოუკიდებლობის სანიმუშო პროექტი ზურაბ ავალიშვილს შეუდგენია (ზ. ავალიშვილი, საქ. დამ. 1918-21 წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისში, 1925 წ., გვ. 84) სხვა ცნობებით (ჟორდანიას მოგონება და სხვა) პროექტის ავტორი ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავაა. პროექტი მოწონებულ და მიღებულ იქნა/ ზ. ავალიშვილი თავის მემუარებში იგონებს: „ნ. ჟორდანიას ეტყობოდა რყევა... საქართველოს დამოუკიდებლობა არ შეეფერებოდა არც მის წინანდელ მუშაობის მოძღვებას, არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობას, მაგრამ, როცა „ირწმუნა“, ახალი პროგრამის ჩატარებას გამოცდილის ხელით შეუდგაო“. ნ. ჟორდანიამ, მართლაც, რომ წინდახედულად, საქართველოს გამოყოფის საკითხს სათანადო ნიადაგი მოუსინჯა.

1918 წლის 26 მაისს თბილისში შეიკრიბა სეიმის უკანასკნელი სხდომა. სხდომა დიდხანს არ გაგრძელებულა და მან თავიდან მოიხსნა ყოველგვარი რწმუნებულება და ამიერკავკასიის ფედერაცია დაშლილად გამოაცხადა.

26 მაისი კვირა დღე იყო. ჭეშმარიტად მზიანი და ნათელი დღე ქართველთათვის. ოთხი საათისათვის ყოფილ მეფისნაცვლის სასახლიდან დაშლილი სეიმის დეპუტატები გამოვიდნენ. დარბაზში საქართველოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა. ამ ისტორიულ სხდომას საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი დაესწრო. მოწვეულთა შორის იყვნენ: თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე-სამღვდელო ამალითურთ, ქართველი მხედრობა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. საპატიო სტუმართა შორის გამოირჩეოდნენ გერმანიის ჯარის უფროსი გრაფი შულენბურგი და სხვა ოფიცრები. სხდომას თავჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას, მდივანობდა ილია ზურაბიშვილი. პრეზიდიუმში იხსდნენ გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი და პავლე საყვარელიძე. სხდომა. ნ. ჟორდანიამ გახსნა: ”ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს”, – აღნიშნა მან.

შესავალი სიტყვის შემდეგ ნ. ჟორდანიას კითხულობს ”საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.” ეროვნული საბჭოს წევრებმა ”საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი” ერთხმად მიიღეს. ერთხმად იქნა დამტკიცებული დროებითი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით; ”ნოე რამიშვილი (სოც.-დემ) – მთავრობის თავჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, აკაკი ჩხენკელი (სოც. დემოკრატები) – საგარო საქმეთა მინისტრი; გრიგოლ გიორგაძე (სოც.-დემოკრატები) – სამხედრო მინისტრი; გიორგი ჟურული (ეროვ.დემოკრატები) – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი; გიორგი ლასხიშვილი (სოც.-ფედერალისტი) – განათლების მინისტრი; ნოე ხომერიკი (სოც.დემოკრატები) – მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი; შალვა მესხიშვილი (სოც. ფედერალისტი) – იუსტიციის მინისტრი და ივანე ლორთქიფანიძე (სოც.-რევოლუციონერი)” – გზათა მინისტრი.

ამრიგად, განხორციელდა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება – ქართველმა ერმა აღიდგინა სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ განსაცდელი კარზე იყო მომდგარი. მისი თავიდან აცილება კი შეიძლებოდა წინდახედულებითა და გონიერებით.

დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ქვეყანას კოალიციური მთავრობა მართავდა, საკანონმდებლო საქმიანობას კი ეროვნული საბჭო ეწეოდა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ეწოდა. იგი მალე გაფართოვდა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით შეივსო. ჩამოყალიბდა

მრავალპარტიული ეროვნული საკრებულო და მის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა, რომელშიც წამყვან როლს სოც-დემოკრატები ასრულებდნენ.

ხელისუფლების სათავეში ჩამდგარმა ქართველმა სოც-დემოკრატებმა გადაჭრით უარი თქვეს მმართველობის რუსეთში დამკვიდრებულ ფორმაზე – დიქტატურაზე და სახელმწიფოებრივი განვითარების დემოკრატიული გზა აირჩიეს, ამასთანავე, საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადეს.

ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფალთა უპირველეს ამოცანას ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამ მიზნით დადებული იქნა ხელშეკრულება გერმანიასთან სამხედრო პოლიტიკური დახმარების თაობაზე, რასაც საქართველოში გერმანიის არმიის შეზღუდული კონტიგენტის (რამდენიმე ბატალიონის) შემოსვლა მოჰყვა. ამავე დროს, 1918 წლის 2 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახალხო გვარდიის, ხოლო 20 აგვისტოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ. დაწესებულ იქნა სამხედრო ბეგარა ( ნამდვილ სამსახურში ორი წელი, სათადარიგოში – 15 და ლაშქარი-მწელიწადი).

მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სახელმწიფოს შიგნის ანარქიასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანიზაციას. სახალხო გვარდიასა და მილიციასთან ერთად, დამატებით შეიქმნა საგანგებო, ე.წ. „მფრინავი რაზმები“, რომელთა მიზანს ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების ლიკვიდაცია შეადგენდა. გაუქმდა ნოდებები და საქართველოს ყველა მცხოვრები იქცა მოქალაქედ, რომლითაც ისინი კანონის წინაშე თანასწორნი გახდნენ.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ახლადშექმნილი საელმწიფოს ეკონომიკა და ფინანსები. აუცილებლობას წარმოადგენდა საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც ორი გზით მიიღწეოდა: 1-სესხის მიღებით და 2- კონცესიების გაცემით. საქართველოს მთავრობა ენერგიულად იღწვოდა ამ კუთხით, მაგრამ სიფრთხილეს იჩენდნენ ევროპის სახელმწიფოები, როლებსაც ამიერკავკასიაში არსებული არასტაბილური ვითარება აფრხობდათ.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დროის მცირე მონაკვეთში შეძლო სკოლის, სამართალდამცავი და მართვა-გამგებლობის ოგრანოების გაეროვნულება. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლად გადაიქცა თბილისის უნივერსიტეტი, გაიხსნა კონსერვატორია. მიღებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის სახელმწიფო ენის, რესპუბლიკის დროშისა და გერბის შესახებ და სხვ.

1918 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება. კრების დანიშნულებას ქართული სახელმწიფოებრიობის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა და მომავლის პროგრამის შემუშავება შეადგენდა. საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოავლინა დამფუძნებელი კრების მიმართ, რომლის არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს დაინიშნა.

გააქტიურებული პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და გაერთიანებები ფართოდ ჩაებნენ საარჩევნო კომპანიაში. პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდებოდა. საარჩევნი იყო 130 დეპუტატი. დემოკრატიული საარჩევნო დებულება საშუალებას იძლეოდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და კავშირებს წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატები თუნდაც ყველა ადგილზე.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 16 პარტიამ, კავშირმა და სხვა გაერთიანებამ. კანდიდატთა საარჩევნო სიები წარმოდგენილი იყო შემდეგი ნუმერაციით: N:1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, N:2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, N:3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, N:4 – დამნაკნითუნი,

N:5- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, N:6 – მუსულმანთა ეროვნული საბჭო, N:7 – საქართველოს რადიკალ-დემოკრატიების პარტია, N:8 -საქართველოს ეროვნული პარტია, N:9 – მემარცხენე სოციალ-ფედერალისტ მამურალთა პარტია, N:10 – შოთა რუსთაველის ჯგუფი, N:11 – დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი, N:12 – ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი, N:13 – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, N:14 – ესთეტიური ლიგა პატრიოტების და N:15 – საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.

ზოგიერთ ჯგუფში ერთი ან რამდენიმე კანდიდატი იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ”ესთეტიურ ლიგაში პატრიოტებისა,” რომელიც ქართველი პოეტების, მწერლებისა და მხატვრების ჯგუფს აერთიანებდა, შედიოდნენ პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიცვიან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი და ალი არსენიშვილი. თავიანთ საარჩევნო ბიულეტენში, ყველაზე მეტი (130) კანდიდატი, შეიყვანეს სოციალ-დემოკრატიებმა.

ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე შედგენილი თხუთმეტივე სია გამოქვეყნდა პრესაში და არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გამოიკრა დამფუძნებელი კრების ცენტრალური სა-არჩევნო კომისიის ბიუროში, რომელიც მოთავსებული იყო გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში.

როგორც ვხედავთ, დეკუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური და ეროვნული სპექტრი მართლაც რომ ფართოა. აქ არის საქართველოში იმხანად მოქმედი, თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად გავლენიანი ძალა, გარდა ბოლშევიკებისა.

საქართველოს ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევის მომენტში თავიანთი დამოუკიდებელი პარტია არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ რამდენიმე საქალაქო და საოლქო ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებსა). აქვე უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციულ მხარეს ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში.

საქართველოს ბოლშევიკებმა დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს პრინციპულ მოსაზრებათა გამო. საქმე ისაა, რომ ისინი არ ცნობდნენ დამოუკიდებელ საქართველოს და არც მისი მთავრობის მიერ მოწყობილი არჩევნები მიაჩნდათ კანონიერად. ამიტომ ცენტრის მითითების შესაბამისად, ბოლშევიკებმა არჩევნების ჩაშლა გადაწყვიტეს და ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს.

ბოიკოტი მათი ნაცადი ტაქტიკა იყო ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროიდან. მართალია, შემდეგ, ლენინმა აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ ბოიკოტის იდეა ბოლშევიკებს არ ავინწყებოდათ.

როგორც ითქვა, 1919 წლისათვის, საქართველოს ბოლშევიკებს ცალკე პარტია არ ჰქონდათ. აქაური ბოლშევიკური ორგანიზაციები ექვემდებარებოდნენ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ეს უკანასკნელი კი- რკრ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.სამხარეო კომიტეტს ბინა იმ დროისთვის თბილისში ედო და თვით კომიტეტში წამყვან როლს ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის გადამწყვეტილება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. ბოლშევიკები გადაჭრით დაუპირისპირდნენ დამფუძნებელ კრებას და შეეცადნენ მიემხროთ ფართო მასები არჩევნების ჩასაშლელად. 1919 წლის თებერვალში კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შემდეგი მონოდედა გამოაქვეყნა:

«მენშევიკები და ყველა ჯურის ნაციონალისტები აპირებდნენ, კვლავ მოატყუონ ხალხი, ინვეგენ რა დამფუძნებელ კრებას საყოველთაო არჩევნების გზით...

ჩვენი პარტია, მუშების ღარიბი გლეხობის, ჯარისკაცებისა და ყველა პატიოსან მშრომელთა



პარტია გამოდის წინააღმდეგ ასეთი კრებისა და იმგვარი არჩევნებისა, რომლის შემწეობით მენ-შევიკების, ყველა კაციჭამია-ნაციონალისტებისა და გაქსუებულთა პარტიას განზრახული აქვთ კვლავ მოატყუონ ხალხი.

ისინი აპირებენ, სამუდამოდ მოსწყვიტონ ჩვენი ქვეყანა რევოლუციური რუსეთის მუშებს, გლეხებსა და წითელარმიელებს და გადააქციონ იგი გაზულუქებული ქართველების მამულად, ამიტომაც ჩვენი პარტი არ იღებს არავითარ მონაწილეობას ამგვარ არჩევნებში, უცხადებს ბოიკოტს ნაციონალურ დამფუძნებელ კრებას და მოუწოდებს ყველას, არ მიიღონ მონაწილეობა მენშევიკებისა და სხვა ნაციონალისტების მატყუარა საქმეებში...”

პროკლამაცია მთავრდებოდა მონოდებით “გაუმარჯოს ბოიკოტს!”

ბოლშევიკების ბოიკოტის ტაქტიკამ შედეგი ვერ გამოიღო, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები წარმატებით ჩატარდა. არჩევნებში ყველაზე მეტი-109 მანდატი სოციალ-დემოკრატიებმა მიიღეს. 8-8 დეპუტატი გაიყვანეს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და სოციალისტ-ფედერალისტებმა, 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერებს ხვდათ წილად

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, რომელიც ამ დღისათვის საგანგებოდ გადააკეთეს.

კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ხოლო მის უფროს ამხანაგად ალექსანდრე ლომთათიძე (ორივე სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი), თავჯდომარის ამხანაგებად არჩეულ იქნენ ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი). კრებამ აირჩია 4 კომისია; სარედაქციო, სარეგლამენტო, საკონსტიტუციო და საფინანსო-საბიუჯეტო.

დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომამ მიიღო «საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი», რომელსაც ხელი მოაწერა კრების ყველა დამსწრე დეპუტატმა. ეს ისტორიული მომენტი ფირზე აღბეჭდა კინორეჟისორმა გერმანე გოგიტიძემ («სახალხო საქმე», 1919 წ., 22 ივნისი).

1919 წლის 21 მარტს, დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი კაბინეტი: მთავრობის თავდჯდომარე – ნოე ჟორდანიას, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და სამხედრო მინისტრი – ნოე რამიშვილი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი, ფინანსთა და ვაჭრობამრეწველობის მინისტრი – კონსტანტინე კანდელაკი (ყველა მინისტრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო). ამგვარად, შედგა წმინდა ერთპარტიული მთავრობა. შემდეგში, რამდენიმე სამინისტრო ცალკე გამოეყო, მაგრამ ახალი მინისტრებიც სოციალ-დემოკრატთა წრიდან შეირჩა. სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელთაც დამფუძნებელ კრებაში თავიანთი დეპუტატები ჰყავდათ, საპარლამენტო ოპოზიცია შეადგინეს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება შეუდგა საკანონმებლო მუშაობას ახალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დასამკვიდრებლად.

დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 27 მაისს მიიღო კანონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებით ფასეული იყო სახელმწიფოს უზენაესი კანონის-კონსტიტუციის შემუშავება და მიღება. კონსტიტუციის პროექტი მოამზადა საკონსტიტუციო კომისიამ სოციალ-დემოკრატ პავლე საყვარელიძის თავმჯდომარეობით. კომისია 15 წევრისგან შედგებოდა და მასში დამფუძნებელ კრებაში გაერთიანებული ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი მონაწილეობდა. პროექტი ერთი წლის განმავლობაში მუშავდებოდა, შემდეგ იგი დაისტამბა და დეპუტატებს დაურიგდათ. განხილვა 1920 წლის 14 ივნისს დაიწყო და რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა პირველი ეროვნული კონსტიტუცია, რომლითაც საქართველო თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფო-დემოკრატიულ რესპუბლიკად ცხადდებოდა. სახელმწიფო დროშად დამტკიცებულ იქნა შინდისფერი დროშა შავ-თეთრი ზოლით, სახელმწიფო გერბად-ცხენოსანი თეთრი გიორგი, შვიდი მნათობითურთ.

კონსტიტუციით განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის უფლება-მოვალეობა, პარლამენტი ცხადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობით დაწესებულებად, რომელიც იქმნებოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული არჩევნების გზით.

კონსტიტუციის ძალით სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებად ცხადდებოდა.

დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით საინტერესოა დამფუძნებელი კრების მუშაობა, პირველი ქართული კონსტიტუციის განხილვა მისი დემოკრატიულობისა და პროგრესულობის თვალსაზრისით. მასში გათვალისწინებული იყო ბევრი რამ, რაც მოიპოვებოდა ევროპის მონინავე დემოკრატიული ქვეყნების (შვეიცარია, საფრანგეთი და სხვა) კონსტიტუციებში.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მოქმედება ხანგრძლივი არ ყოფილა, კონსტიტუციას მაინც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დიდმნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი 1998წ.
2. გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში.
3. ოთარ ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლამდე. გვ.11.
4. სარგის კაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია. თბილისი 1920წ.
5. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში. თბილისი 1925წ. გვ.84.
6. მნათობი, გერონტი ქიქოძის მოგონებები. 1989წ.



# ბიზნესის ადვინისტრირების მიმართულება

მაია გელაშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოში

## რეზიუმე

ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად დადებითი გზავნილებისა, ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული პრობლემები. კერძოდ, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი ხალხის სკეპტიკური დამოკიდებულებაა ამ დანესებულებისადმი, ასევე მათი დაბალი ინფორმირება. შესაბამისად, ვფიქრობ, გონივრულია, თუ სახელმწიფო მხარს დაუჭერს კაპიტალის ბაზრის განვითარებას შემდეგი მახასიათებლებით: გამჭვირვალობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სისტემური რისკების შერბილება და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. ეს კი ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობების და ლიკვიდობის ზრდას, ბაზარზე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების, ინვესტორებისა და ემიტენტების გამოჩენას, რაც თავის მხრივ გაუადვილებს ადგილობრივ კომპანიებს.

**Maia Gelashvili**

*Associate Professor of  
New Higher Education Institute*

## Development of Securities Market in Georgia

### Abstract

Securities market and its smooth functioning is an important part of the economic development of a country. Despite some positive turnarounds in this respect, there are still some problems. Namely, one of the reasons of the under-development of the securities market in Georgia is people's skeptical attitude to this institution as well as their low-awareness. Accordingly, I think it is reasonable if the state supports the development the following characteristics of the capital market: transparency, access to information, mitigation of systemic risks and compliance to relevant international standards.

## ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარება საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა ფინანსური ბაზრების განვითარება, მისი განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი კი ფასიანი ქალაქების ბაზარი და მისი გამართული ფუნქციონირებაა. ეკონომიკური წარმატების მიღწევა თითქმის შეუძლებელია ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფინანსური ბაზრების გარეშე, რადგან იგი საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის და ინვესტიციების ზრდის წინაპირობაა. ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორც საქართველოა, განიცდიან საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქალაქების ბაზრის ამუშავებაა. საქართველოში ფასიანი ქალაქებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები აწესრიგებს. გამოშვებული ფასიანი ქალაქების რეესტრს თავად ემიტენტი აწარმოებს, რომელიც შეიძლება იყოს:

- სახელმწიფო ცენტრალური ან ადგილობრივი მმართველი ორგანო, ბანკი, იურიდიული პირი, რომელიც მიმოქცევაში უშვებს ფასიანი ქალაქებს და ვალდებულებას იღებს ამ ფასიანი ქალაქების მფლობელების მიმართ;

- საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უშვებს ფასიანი ქალაქებს, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში, სადაც აღიწერილია მათ მფლობელობაში არსებული ქალაქების რაოდენობა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა კი ორგანიზებული საფონდო ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის მდგრადი ფუნქციონირებაა, სადაც საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტორი და საბროკერო კომპანიები წარმოადგენენ ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს, კერძოდ, ესენია: ინვესტორები, ემიტენტები და აუდიტორები. საქართველოში ფასიანი ქალაქების ბაზარს 2000 წლიდან არეგულირებდა საქართველოს ფასიანი ქალაქების ეროვნული კომისია, ხოლო 2008 წლიდან კი საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ამ ფუნქციას. ამჟამად არსებობს შემდეგი ფასიანი ქალაქები:

- ✓ ეროვნული ბანკის ფასიანი ქალაქები: სახელმწიფო ობლიგაციები (სახელმწიფო ობლიგაციები 1997 წლიდან გამოუშვა ფინანსთა სამინისტრომ, ხოლო 2006 წლიდან მიმოქცევაში აღარ არის, ვინაიდან ფინანსთა სამინისტრომ გაურკვეველი ვადით შეაჩერა), სადეპოზიტო სერთიფიკატები;

- ✓ კორპორაციათა ობლიგაციები;

- ✓ სააქციო საზოგადოებათა აქციები.

საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკი და თბილისის საფონდო ბირჟა ფასიანი ქალაქებით ვაჭრობისა და ანგა-

რიშნორების სისტემის რეფორმას იწყებენ. პროექტი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების სისტემის განახლებას და მასში საფონდო ბირჟის შვილობილი კომპანიის – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვას. რეფორმა საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის ნაწილია, რომელიც საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივად შეიმუშავა 2016 წელს. პროექტის დასრულებისთანავე საქართველოში გამოშვებული ნებისმიერი ტიპის ფასიანი ქაღალდით ანგარიშსწორება ერთიანი სისტემის მეშვეობით იქნება შესაძლებელი. იმავდროულად, საფონდო ბირჟა შეისყიდის ახალ სავაჭრო პლატფორმას კომპანია მონტრანისგან, რომელმაც ადრე უზრუნველყო საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ანგარიშსწორების სისტემის დანერგვა. უნდა აღინიშნოს, რომ საფონდო ბირჟის ახალი სავაჭრო პლატფორმა უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს და ინტეგრირებული იქნება ანგარიშსწორების ერთიანი სისტემასთან. ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა ეროვნულ ბანკში 2010 წლის ბოლოდან წარმატებით მუშაობს. მისი მომწოდებელია ამერიკული კომპანია Montran Corporation, რომლის ანალოგიურ სისტემებს იყენებენ მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. 2010 წელს პროექტი USAID-ის თანადაფინანსებით წარიმართა და ორ კომპონენტს შეიცავდა. მეორე კომპონენტი RTGS-დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ყველა ბანკთაშორისი გადარიცხვა ლარით. მიმდინარე პროექტის ფარგლებში RTGS სისტემის ახალი ვერსიის დანერგვაც არის დაგეგმილი. დღეს მოქმედი სისტემით ანგარიშსწორება ეროვნულ ბანკში შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით. ახალი სისტემა საშუალებას მოგვცემს ყველა ტიპის ქართული ფასიანი ქაღალდით (კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების და აქციების ჩათვლით) ანგარიშსწორება იყოს ავტომატიზირებული, სწრაფი, დაცული და მოსახერხებელი. ახალი სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორება განხორციელდება ურისკო DvP მეთოდით, ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე (settlement in central bank money). სისტემის ინტეგრაცია როგორც საფონდო ბირჟის, ისე Bloomberg-ის სავაჭრო სისტემებთან მოგვცემს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა და ანგარიშსწორების სრული ციკლის ავტომატიზაციას. ავტომატიზებული იქნება ასევე პროცენტის, დივიდენდის, ფასიანი ქაღალდის ძირითადი თანხის გადახდის ოპერაციები, ასევე მათი დაგირავება ეროვნულ ბანკში ან ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს შორის. პროექტი განხორციელდება ისეთ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, როგორებიცაა: ECB (ევროპის ცენტრალური ბანკი), EBRD და Clearstream. პროექტის ხარჯებს ეროვნული ბანკი, საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი გაინაწილებენ. პროექტის პირველი ფაზის დასრულება 2017 წლის ბოლოსთვის იგეგმება»<sup>1</sup>.

საფონდო ბაზარი, წარმოადგენს საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით წარმოებს ფულადი სახსრების ნაკადების გადადინება მესაკუთრეებიდან მსესხებლებსაკენ, რომლებიც სახსრების ნაკლებობას განიცდიან. ფინანსური ბაზარი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზრად, ხოლო, მეორე მხრივ – საბანკო სესხების ბაზრად. ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში ობლიგაციათა და აქციათა ბაზარი ასრულებს, რომელიც ფულადი სახსრების იმ ეკონომიკური ერთეულების ხელიდან, რომელთაც მათი მწარმოებლურად გამოყენების უნარი არ შესწევთ, მოახვედრონ იმათ ხელში, ვინც მათ ეფექტიანად გამოიყენებს, რასაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან მივყავართ?<sup>2</sup>.

<sup>1</sup> newsday.ge

<sup>2</sup> რ. კაკულია ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 2001, გვ. 61.

ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის ობლიგაციებს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ობლიგაციათა ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, რამეთუ კორპორაციებსა და მთავრობებს საშუალებას აძლევს მოიზიდონ სახსრები თავიანთი საქმიანობის დასაფინანსებლად. აგრეთვე ეხმარება ფირმებსა და ინდივიდებს, რომ საჯარო სექტორზე ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი. მსოფლიოში ობლიგაციების გამოშვება მალალი მდგრადობითა და განჭვრეტადობით ხასიათდება. მაშინ როდესაც აქციებისა და ობლიგაციების გამოშვება საბანკო სესხის აღებასთან შედარებით უფრო იაფ ინსტრუმენტად ითვლება, ობლიგაციის გამოშვება აქციების გაყიდვით კაპიტალის მოზიდვასთან შედარებით უფრო დაბალი რისკის მატარებელი და იაფია, მაგრამ ამონაგების ნორმაც შედარებით დაბალია. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საობლიგაციო ბაზარი, სააქციო ბაზართან მიმართებაში, ბოლო წლებში უფრო ჯანსაღად გამოიყურებოდა. 2016 წლის 2 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების N37 აუქციონზე გაიყიდა 45 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 4 კომერციულმა ბანკმა. მთლიანმა მოთხოვნამ შეადგინა 68 750 000 ლარი. დაფიქსირდა შემდეგი საპროცენტო განაკვეთები: მინიმალური – 7%, მაქსიმალური – 7,25%, ხოლო საშუალო შენონილი 7.216%<sup>3</sup>. საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) 1999 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ 18 წელი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ განვითარებული, მალალი ბრუნვის მქონე ბირჟა მიგველო.

2016 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით კორპორატიული ევროობლიგაციები<sup>4</sup>: საქართველოს ბანკის ევროობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.4%-იანი შემოსავლიანობით, ფასით – 103.1. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციები – GEOROG 05/17-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით – 101.7 და 3.7%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 105.4 შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 112.4 ფასად 5.2%-იანი შემოსავლიანობით. BGEOLN ფაქტის (BGEOLN) აქციები დაიხურა 29.08 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.13% მოცულობამ 160 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 29.07 – 30.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 42 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე ნაკლებია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEOLN შედის, წინა კვირასთან დაიკლო 1.56%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 0.78%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.41% შეადგინა. ეს საკმაოდ მცირე მოცულობაა.

ამრიგად, ფინანსური ბაზრის ფუნქციონირება ხელს უწყობს საზოგადოებაში თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას და საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების კონცენტრაცია და მათი დაბალანსება საბირჟო ფას-ნარმოქმნის საფუძველზე. ბირჟის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს ისეთი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას, როგორებიცაა: კერძო კომპანიების მიერ ემიტირებული აქციები, კორპორაციული ობლიგაციები, სახელმწიფო ობლიგაციები და ადგილობრივი მმართველობის სესხები, რომელთა დახმარებითაც საოჯახო მეურნეობები, კერძო კომპანიები და სამთავრობო ორგანიზაციები ახდენენ მათ მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზებას, სთავაზობენ რა მათ ფინანსურ მომსახურებას. ობლიგაციათა და აქციათა ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფულადი სახსრების გადამისამართებაში იმ ეკონომიკური ერთეულების ხელიდან, რომელთაც მა-

<sup>3</sup> [www.mof.ge/](http://www.mof.ge/)

<sup>4</sup> [gt@gt.ge](mailto:gt@gt.ge)

თი მწარმოებლურად გამოყენების უნარი არ შესწევთ, იმათკენ ვისაც მათი ეფექტიანად გამოიყენებს უნარი გააჩნიათ, რასაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან მივყავართ.

იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს ბანკების სურვილი ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობასთან დაკავშირებული შექცენით, აუცილებელია შევისწავლოთ, ფაქტობრივად გააჩნიათ თუ არა ბანკებს ჭარბი ფულადი სახსრები ხელზე. გასესხების დაბალი დონე ხელმისაწვდომ სახსრებთან მიმართებაში როგორც წესი კორელირებს საჭიროებასთან მოხდეს ჭარბი ლიკვიდობის ინვესტირება. ინვესტიციების შექცენისას ბანკის ინტერესების დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელზე არსებული ფულადი სახსრების მოცულობა, ასევე ორი დამატებითი ფაქტორი:

1. როგორია საინვესტიციო სახსრების ხარჯი. ბანკებს სურთ ისეთი ინვესტიციების განხორციელება, რომლებსაც ახასიათებთ უფრო მაღალი ამონაგები, ვიდრე ის ხარჯია, რომელიც უკავშირდება ამ სახსრების მოზიდვას;

2. რა არის ბანკების შემოსავლიანობის მოლოდინი. ამ კატეგორიაში ბანკებს გააჩნიათ არჩევანი შემდგომ გადასესხებასა და ინვესტიციების განხორციელებას შორის. ინვესტიციების მოსალოდნელი შემოსავლიანობა პოზიტიურად უნდა ედრებოდეს სასესხო პორტფელის შემოსავლიანობას.

ეკონომიკაში საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ფასიანი ქაღალდების მექანიზმის ამუშავება და ამ ბაზრის განვითარებაა. საქართველოს განუვითარებელი ფინანსური ბაზარი ართულებს უცხოური პორტფელური ინვესტიციების მოზიდვას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინსტიტუტისადმი მოსახლეობის სკეპტიკური დამოკიდებულება და ამ სფეროში გაუთვითცნობიერებლობაა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, რომ სახელმწიფომ შეიმუშავოს სტრატეგიული გეგმა და ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გათვლილი იქნება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე, ასევე ხელი შეუწყოს ინვესტიციების დაბანდებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, რაც შემდგომში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი იქნება.

საქართველოს საფონდო ბირჟა ხუთი აქტიური კომპანიით ფუნქციონირებს და შედგება საქართველოს საფონდო ბირჟის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტორისა და სამი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისაგან. საფონდო ბირჟის ინდექსები წარმოადგენენ სახელმწიფოთა ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინდიკატორებს. როდესაც საფონდო ინდექსები ეცემა, ეს ქვეყნის ეკონომიკის უარყოფით ტენდენციებზე მიგვანიშნებს. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მიახლოება ევროკავშირის მიდგომებთან.

ამდენად, გასაგებია, თუ რატომ ასრულებს ფინანსური ბაზარი მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში. მსოფლიო ბანკის 2015 წლის დიაგნოსტიკურ კვლევაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, რადგან ორგანიზებული ბაზარი ხელს უწყობს კაპიტალის განთავსებას და განაწილებას, სახსრების აკუმულირებას და მათ ჩართვას ეკონომიკის განვითარების პროცესში.

ამრიგად, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობის ერთ-ერთი მიზეზი ინსტიტუტისადმი მოსახლეობის სკეპტიკური დამოკიდებულება და ამ სფეროში გაუთვითცნობიერებლობაა. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, სახელმწიფოს ხელშეწყობით განვითარდეს ბაზარი ისე, როგორიცაა: გამჭვირვალობა, ნვდომა ინფორმაციაზე, სისტემური რისკების

შერბილება და შესაბამისობა სათანადო საერთაშორისო სტანდარტებთან. ეს კი ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობების და ლიკვიდობის ზრდას, ბაზარზე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების, ინვესტორებისა და ემიტენტების გამოჩენას, რაც თავის მხრივ გაუადვილებს ადგილობრივ კომპანიებს კაპიტალზე წვდომას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 
1. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 2001, გვ. 61.
  2. [www.newspday.ge](http://www.newspday.ge)
  3. [www.economy.ge/uploads/.../CMWG-Diagnostic-Report 12 May 2015](http://www.economy.ge/uploads/.../CMWG-Diagnostic-Report 12 May 2015)
  4. [www.gse.ge/default\\_geo.asp](http://www.gse.ge/default_geo.asp)
  5. [Gt.@gt.ge](mailto:Gt.@gt.ge)
  6. [nbg.gov.ge/uploads/legalacts/.../2012/kanoni-fasiani-qagaldebi](http://nbg.gov.ge/uploads/legalacts/.../2012/kanoni-fasiani-qagaldebi)
  7. [www.bfm.ge](http://www.bfm.ge)



მაია ჭანია

ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
პროფესორი

**ინოვაციური ტურისტული ბიზნესი და მისი როლი  
ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში**

**რეზიუმე**

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის, ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს. ტურიზმის განვითარება კი თავის მხრივ წარმოადგენს წინაპირობას სხვა, მომიჯნავე დარგების განვითარებისათვის. თანამედროვე გლობალიზაციურ გარემოში, მაღალი ტურისტული კონკურენტუნარიანობის ფონზე, არსებითად მნიშვნელოვანია ინოვაციური ტურისტული ბიზნესის განვითარება ქვეყანაში. დღეს ეკონომიკური აგენტების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია, ისეთი იდეების წარმოქმნის უნარზე, რომლებიც შეძლებენ უპასუხონ მომხმარებელთა ახალ მოთხოვნებს ეფექტური ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე.

**Maia Chania**

*Academic Doctor of Economics  
Professor of New higher Education Institute*

**Innovative tourism business and its role in the country's economic growth**

**Abstract**

Tourism is one of the most important ways for country's material welfare; the development of tourism has a positive influence on country, because the number of tourists increases so income also increases. The developments of tourism, its industry mostly depend on another, components, which finally create the perspectives of it development. It's essential for country's social and economic development and is really attractive for us. It also helps to develop national economics, improves populations, social and economic level and brings foreign investments, its roles and numbers always grow, which one more shows tourism's actuality all around the world. It's obvious for everybody that big and important meaning, which tourism makes for world's peaceful consubstantiation.

## ინოვაციური ტურისტული ბიზნესი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში

საქართველოს ტურისტულ ბაზარზე სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების შესწავლა გვარწმუნებს ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაზე, რომელიც გლობალიზაციის მძლავრი პროცესების მიუხედავად, დარგის სპეციფიკური თავისებურებებითაა განპირობებული. საკითხი ეხება საქართველოში ტურისტული ბაზრის რეგულირების არა მარტო მექანიზმების გამოყენებას, არამედ ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და მისი ზრდა-განვითარების პერსპექტივებს. საბაზრო მექანიზმის უნარია – დაარეგულიროს მოთხოვნა-მიწოდების პროცესები იმ მიზნით, რომ გადაილახოს მათ შორის არსებული დისბალანსი, რაც იმის იმედს იძლევა, რომ საქართველო შეძლებს არსებული პრობლემების გადალახვას, თუმცა აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სწორი პოლიტიკის განსაზღვრა და ხელშეწყობა.

საქართველოში ტურიზმი, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე უნდა განვითარდეს. მათ ერთობლივად უნდა დაგეგმონ და განახორციელონ ინვესტიციები ტურიზმში. ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ შექმნას სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გარანტიები (საგადასახადო შეღავათები ან სუბსიდიები). ტურიზმის განვითარების სფეროში მსოფლიოს მონინავე ქვეყნების გამოცდილება მიგვანიშნებს, რომ მათ სხვადასხვა ეტაპზე ანალოგიური გზა გაიარეს. მიღებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ეფექტმა კი მოსალოდნელ შედეგს დიდად გადააჭარბა. მაგალითისთვის თურქეთიც კმარა, სადაც 10 წლის განმავლობაში აშენდა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ცნობილი კურორტები, როგორიცაა, ანტალია და ქემერი.

როგორც აღინიშნა, საქართველოს საკმაოდ დიდი და მიმზიდველი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ამიტომ, ტურიზმისა და კურორტების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია არსებული ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა, მოდერნიზაცია და ახალი, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ობიექტების მშენებლობა. სასურველია ტურისტული ობიექტების საკუთრებითი ურთიერთობების დახვეწაც. საქართველოში ტურისტული ობიექტები ან სახელმწიფო საკუთრებაშია, ან კერძო. სასტუმრო ინდუსტრიაში უპირატესობა კერძო საკუთრებას აქვს (91%). თუმცა, ცნობილია საკუთრებითი ურთიერთობების შერეული (სახელმწიფო და კერძო) და საზოგადოებრივი ფორმებიც, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის მონინავე ქვეყნებში.

ტურიზმის სფეროში მარკეტინგული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება დარგისა და თვით ტურისტული პროდუქტის მეტად სპეციფიკური თავისებურებების გამო საგრძნობლად რთულდება და ამავდროულად მნიშვნელოვანიც ხდება. საქართველოს ტურისტული ფორმები მარკეტინგულ კვლევას პრაქტიკულად არ აწარმოებენ და როცა მცირე მათგანი ასეთ ძალისხმევას მაინც იჩენს, მათ საქმიანობაში უმთავრესია მხოლოდ საკუთარი ტურისტული პროდუქტის სატელევიზიო, თუ საგაზეთო რეკლამირება და სასურველი მომხმარებლისგან შეხმინების პასიური

მოლოდინი. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ტურისტული ფირმების დიდი ნაწილი არაეფექტურად მუშაობს და მათთვის ტურისტული პროდუქტის მიწოდება მეორეხარისხოვან, თანმდევ საქმიანობად ითვლება.

ინოვაციების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ბიზნესის განვითარება. თანამედროვე ცვალებადი ბიზნესის სამყაროში ინოვაცია ხშირად გარდაუვალად მიიჩნევა: თუ არ შევცვლით ჩვენ პროდუქციასა და მომსახურებას, მათი წარმოებისა და მიწოდების ფორმას, ჩვენ ვერ შევძლებთ არსებობას.

მასპინძლობის ინდუსტრიაში განვიხილავთ ინოვაციის სამ კონცეფციას, რომლიც დაგვეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ესენია: სცენარის დაგეგმვა, ინოვაციის დილემა და ახალი მომსახურების განვითარება. ეს კონცეფციები გამოყენებულია უკვე მრავალი წლის განმავლობაში, ზრდის პროდუქციისა თუ მომსახურების გაყიდვას და შესაბამისად მოგებასაც. მრავალი კომპანია მასპინძლობის ინდუსტრიაში დაკავებულია ყოველდღიური ოპერაციებით და ძალიან ცოტას აქვს მომსახურების გამორჩეული ინოვაციური პროცესები. როდესაც ინოვაციური პროდუქტები შემოდის ბაზარზე, ეს ან დიდი კომპანიების მიერ ხდება, ან ახალბედების, რომელთაც სრულიად ახალი ბიზნესმოდელი აქვთ. ბაზრის დანარჩენ სეგმენტზე მხოლოდ მაშინ გამოიყენება ინოვაციები, როდესაც ბიზნესის შენარჩუნების სხვა არჩევანი არ არის. ინოვაციები ვითარდება შესაძლებლობებით, ტექნოლოგიებით, ახალი ბიზნეს კონცეფციებით და ა.შ.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალი მწვავე პრობლემაა მოსაწესრიგებელი ესენია: ეკონომიკის განვითარების დაჩქარება, უმუშევრობის შემცირება, მეურნეობრივი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, ეკონომიკის წამყვანი დარგების, სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროების ამოქმედება, მათი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ამასთან დაკავშირებით, თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას, განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში, რომელსაც საქართველოს მდიდარი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გათვალისწინებით რეალურად გააჩნია განვითარებისა და ზრდის პერსპექტივა.

დღეს მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმი წარმოადგენს გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, რომელსაც მკაცრი კონკურენციის პირობებში უწევს ფუნქციონირება. ასეთ დროს კი წარმატების მისაღწევად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რაც გამოიხატება თავისუფალი რესურსების მიმართვაში ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით პერსპექტიულ მეცნიერებადტევად სექტორთა განვითარებაში. ასეთ სექტორებად იგულისხმება ის დარგები, რომლებიც აქტიურად ხელს უწყობენ და ერთგვარ მულტიპლიკატორს წარმოადგენენ ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებაში. აღნიშნულ დარგებს მიეკუთვნება ტურიზმი. ამის დასტურია ის, რომ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზით, ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ტემპების ზრდა შეუქცევადი პროცესი იქნება 21-ე საუკუნეშიც. 2020 წლისთვის საერთაშორისო ტურისტების შემოსვლების რაოდენობა 1.6 მილიარდს მიაღწევს. ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ (UNWTO) და MICROSOFT-მა 2012 წლის 28 თებერვალს (მადრიდში) ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმის სექტორის ეფექტიანობის ამაღლებას, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, მომავლის ინფორმატიკის დანერგვას წინ ნაწილის სტიმულირების თვალსაზრისით. ამ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ MICROSOFT-მა გახდა UNWTO-ს სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც წამოაყენებს წინადადებებს, კორდინაციას გაუწევს და უხელმძღვანელებს ინიციატივების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ რიო-დე-ჟანეიროში 2012 წლის 19 ივნისს გაეროს ეკონომიკური თანამშრომლობის, განვითარების ორგანიზაციისა და UNWTO-ს ერთობლივი ღონისძიების საფუძველზე შეიკრიბა მსოფლიო ტურიზმის 300 ექსპერტი. შეკრებაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ტურიზმის დიდ მნიშვნელობას მსოფლიო ეკონომიკის მდგრად განვითარებაში. ღონისძიება ჩატარდა რიო+20-ის ჩარჩოს ეგიდით-„მწვანე“ ინიციატივები ტურიზმში. გამოსვლებში აღინიშნა, რომ „მწვანე“ ინიციატივებს ტურიზმში შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას, დანახარჯების შემცირებას, შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

ინოვაცია და ინოვაციური საქმიანობა ტრადიციულად წარმოადგენს როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებას, ასევე პროცესს, რომელიც დაკავშირებულია მეცნიერულ გამოკვლევათა და დამუშავებათა შედეგების პრაქტიკაში დანერგვასთან. მაგრამ ინოვაციის ცნების არსი და შინაარსი გაცილებით უფრო ფართოა. შეიძლება ითქვას, მისი სფერო ყოვლისმომცველია, რადგანაც მოიცავს არა მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავებისა და გამოგონებების პრაქტიკულ გამოყენებას, არამედ ითვალისწინებს ცვლილებებს საქონელსა და მომსახურებაში, მართვის პროცესებში, მარკეტინგში, ორგანიზაციულ სტრუქტურაში და ა.შ. ინოვაცია გვევლინება ცვლილებების ფაქტორის სახით, როგორც საქმიანობის შედეგი, რომელიც განხორციელებულია ახალ ან გაუმჯობესებულ პროდუქტში, ახალ მომსახურებაში და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ახალ მიდგომებში. ამგვარად ინოვაციური საქმიანობა ტურიზმის სფეროში მიმართულია ახალი პროდუქტის შექმნაზე ან არსებულის გაუმჯობესებაზე. მაგალითად: სატრანსპორტო, სასტუმრო და სხვა მომსახურების სრულყოფაზე და ახალი ბაზრების ათვისებაზე.

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაში, ადამიანთა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და მათ შორის ტურიზმში სულ უფრო იზრდება ინტერნეტ ტექნოლოგიების როლი. უფრო მეტიც, დღეს ალბათ ძნელი წარმოსადგენია რომელიმე დარგი, სადაც არ გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები და ახალი ინტერნეტ სისტემები. ტურისტული პროდუქტი ინტერნეტის საშუალებით უფრო ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლისთვის. სწორედ ეს ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ წარმოების ეფექტიანობის ზრდას მომსახურების სფეროში და მას შორის ტურიზმშიც. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ინტერნეტ ტექნოლოგიები მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში და ყოველწლიურად იზრდება მათი პოტენციალი. ჯერჯერობით, საქართველოში გასართობ თუ დასასვენებელ ობიექტებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-ავტომატიზაცია მაშტაბურად არ ხორციელდება, თუმცა გარკვეული ჩანასახები არსებობს. ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე წელია საქმიანობს რუსული კომპანია UCD-CASPIAN. იგი დღეს ქართულ ბაზარზე მოქმედი ერთ-ერთი კომპანიაა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს როგორც შესაბამისი მონაცემების მიწოდებას, ასევე პროგრამულ გადაწყვეტილებებს, მათ დანერგვასა და შემდგომ მხარდაჭერას.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოში გაჩნდა ახალი ტიპის ეკონომიკა – ინფორმაციული და გლობალური. დღეს ეკონომიკური აგენტების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია, ისეთი იდეების წარმოქმნის უნარზე, რომლებიც შეძლებენ უპასუხონ მომხმარებელთა ახალ მოთხოვნებს ეფექტური ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე. ბაზარზე ქცევის პრობლემები თითოეული ტუროპერატორისთვის გულისხმობს გაურკვევლობის სიტუაციის არსებობას. გაურკვევლობის ძირითადი წყარო არის მომავალი მოვლენების პროგნოზირების სირთულე.

გაურკვევლობის არსებობა და აქედან გამომდინარე რისკზე წასვლის აუცილებლობა წარმოიქმნება ტუროპერატორის წინაშე ყოველი საკურორტო სეზონის დაწყებამდე. ასეთი რისკების კატეგორიას მიეკუთვნება: გადაწყვეტილება – შეცვალოს მომსახურების მოცულობა კონკრეტული

მიმართულებით; ფასების ცვლილება ტურისტულ პროდუქტზე; ბაზარზე ახალი პროდუქტის და-  
ნერგვა, ან არსებულის გაუმჯობესება; ყველა ეს გადანაცვეტილება დაკავშირებულია რისკთან და  
გაურკვეველობასთან.

გრძელვადიან პერსპექტივაში ტურისტულ სანარმოს არ შეუძლია თავდაპირველი გეგმის შე-  
საბამისად განვითარება. გაურკვეველობა, რომელიც თან ახლავს მრავალ ინოვაციურ პროექტს,  
ტურისტული ინდუსტრიის შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალია. გაურკვეველობისა და სირთუ-  
ლის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ტურიზმის ბიზნესისა და გარემოს ურთი-  
ერთქმედება. ტურიზმის სანარმოების წარმატების გასაღები დევს არა იმდენად თავდაპირველი  
გეგმის ხარისხში, რამდენადაც მათი განხორციელების მოქნილ მენეჯმენტში.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება დაკავშირებულია იმ გზების პოვნასთან, რომელთა საშუა-  
ლებითაც მოხდება რისკის ელემენტის შემცირება. ესენია:

1) ინფორმაციული ეკონომიკის განვითარება და ბიზნეს-პროცესების დაჩქარება.

2) დამოკიდებულების შეცვლა დასვენებისა და მოგზაურობის მიმართ.

ტურისტულმა ფირმამ უნდა შეიმუშაოს განსაკუთრებული საინოვაციო სტრატეგია.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური ტურისტული ბიზნესის შემდეგ ნიშნებს გამოყოფენ: 1)  
ინოვაციური საქმიანობის შედეგები არსებითი სიახლეებით ხასიათდება;

2) ინოვაციები საბაზრო მოთხოვნის იმ ნაწილს აკმაყოფილებს, რომელიც ტრადიციული მეთო-  
დით ვერ მიიღწევა; 3) ინოვაციები დარგში ჩამოყალიბებული მოგების საშუალო ნორმაზე გაცილე-  
ბით მაღალი რენტაბელობის მიღწევასა და ბიზნესმენის მიერ ეკონომიკური მოგების მიღებას უზ-  
რუნველყოფს; 4) ინოვაციები რისკიანობის განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩევა, რადგან  
ასეთი საქმიანობა ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროში ძიების პროცესთანაა დაკავშირებული.

ინოვაციური ბიზნესის მაღალ რისკიანობას შემდეგი გარემოებანი განაპირობებს:

1) სიახლეების ძიებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების პირობებში სასურველი შედეგის  
და ამის საფუძველზე მაღალი მოგების მიღების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან  
წარმატებით მხოლოდ მათი მცირე ნაწილი სრულდება;

2) ინოვაციური საქმიანობის შედეგი ხშირად იმდენად უსწრებს ბიზნესის არსებულ ტექნიკურ  
დონესა და ტექნოლოგიებს, რომ ჩნდება რიგი წინააღმდეგობები.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შ. ბარკალაია, შ. მეტრეველი, ტურისტული პროდუქციის გაანგარიშება საქართველოში და მისი  
წილი ეკონომიკაში, თბ., 2011.
2. შ. მეტრეველი, ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, თბ., 2013.
3. გ. რიჯებაშვილი, ტურიზმის განვითარება საქართველოში, მწვანე ალტერნატივა, თბ., 2012.
4. Новиков В.С., Иновации в туризме и сервисе-М.: ИКС <<МАРТ>>, Ростов н/Д: Издательский центр  
<<Март >> 2008 (Туризм и сервис)

**ნაზი გვარამია**

ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
პროფესორი

## შიდა კონტროლის ზოგიერთი ასპექტი

### რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია აუდიტის არსი, მიზნები, როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუდიტის რეგულირება და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ასევე, აუდიტორული საქმიანობის გამოცდილება უცხოურ ქვეყნებში. მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აუდიტის ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს, წარმოდგენილია აუდიტური დასკვნის შედგენის პროცედურები, მისი სტრუქტურა, ფორმა, შინაარსი და სტატუსი. განხილულია აგრეთვე, აუდიტის დასრულების შემდგომი ეტაპის – აუდიტური დასკვნის (აქტის, ცნობის) განხილვის, მისი გასაჩივრების პროცესი, გამოვლენილ შედეგებზე რეაგირების ფორმები და სამართლებრივი ასპექტები.

**Nazi Gvaramia**

*Professor of New University*

## Some Aspects of Internal Audit

### Abstract

The scientific paper discusses the main idea, the goals and the role of the audit as well as its significance in the conditions of the market economy and the perspectives of the audit regulation and development in Georgia. Moreover, experience of the auditing business in the foreign countries. In the paper the significant attention is paid to the organizational matters of the audit performance and is presented the procedures of the audit conclusion composition, its structure, shape, content and status. Also, is reviewed the next stage after the audit accomplishment – the discussion of the audit conclusions and reports (Act, Statement); the process of its appeal, the forms of the responds and the legal aspects of the detected results.

In Georgia audit is held according to the International Standards on Audit (ISA). International standards on Audit (ISA) represent the standards approved by the audit and the International Auditing and Assurance Standards Board (IAASB) or its entitled body, which is contained in the international official Reference Book of the above-mentioned body or the assurance services.





## შიდა კონტროლის ზოგიერთი ასპექტი

აუდიტის დიდი გამოცდილება არსებობს ევროპასა და ამერიკაში, სადაც განვითარდა აუდიტის საერთაშორისო თეორია და პრაქტიკა. დღეს უკვე გვაქვს საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებული აუდიტის კანონიერი საფუძველი, რომლის საშუალებითაც ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში აუდიტი. რა თქმა უნდა, სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში აუდიტიც იზიარებს ამ თავისებურებებს.

ჯერ კიდევ ძველი დროის ჩინეთში, ჩუოუს დინასტიის ეპოქაში (1122-256 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა მოიცავდა საფუძვლიანად დამუშავებულ ბიუჯეტს და ყველა სახელმწიფო დანებსებულებათა კონტროლს (აუდიტს). ათენში, ძველი ნელთალრიცხვის V ს-ში, სახალხო კრება აკონტროლებდა სახელმწიფოს შემოსავალს და გასავალს, ხოლო ქვეყნის საფინანსო სისტემაში შედიოდნენ სამთავრობო აუდიტორები, რომლებიც ამონებდნენ თანამდებობის პირთა დოკუმენტებს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. კერძო სექტორში ქონების მეპატრონეები თვითონ ატარებდნენ თავიანთი ანგარიშგების აუდიტს. რომის რესპუბლიკაში სახელმწიფო ფინანსები სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს ხაზინადარის მეთვალყურეობით ამონებდა აუდიტორთა შტატი. რომაელებმა პრაქტიკაში დანერგეს მოვალეობათა დანაწილება, თანამდებობის პირთათვის განსხვავებული პასუხისმგებლობის დაკისრება: ზოგი მათგანი გადასახადებისა და დანახარჯების საქმეს უძღვებოდა, სხვები ამონაგებსა და ბეგარაზე აგებდნენ პასუხს.

ინგლისურენოვან ქვეყნებში ცნობა აუდიტის შესახებ და ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი სააღრიცხვო დოკუმენტი ეს არის ინგლისისა და შოტლანდიის „სახაზინო არქივი“, რომელიც დაარსებულია 1130 წლის. XIII ს-ში ცნობები აუდიტორთა და აუდიტის შესახებ გვხვდება როგორც ინგლისში, ისე იტალიაში. ხოლო ამავე საუკუნეში საფრანგეთში დაწერილი თხზულება ქონების მართვის შესახებ მეპატრონეებს ურჩევდა ყოველწლიურად ჩაეტარებინათ აღრიცხვის აუდიტი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ლონდონის სიტიში აუდიტი დანერგილი იყო უკვე 1200 წლიდან, ხოლო XIV-ე ს-ის დასაწყისში თანამდებობის პირთა არჩევნებში აუდიტორის არჩევაც შედიოდა. იმ დროიდან მოყოლებული არქივებში დაგროვდა დიდძალი დოკუმენტაცია, რომელიც მონიშნავს აუდიტის მნიშვნელობის ფართო აღიარებას და ადასტურებს, რომ რეგულარულად ტარდებოდა მუნიციპალიტეტების, კერძო მინათმფლობელობისა და ხელოსანთა გილდიების ანგარიშგების აუდიტი.

ძველად დიდ ბრიტანეთში ორი ტიპის აუდიტს ატარებდნენ. ქალაქებში აუდიტი საჯაროდ ტარდებოდა და მას მმართველი თანამდებობის პირები და მოქალაქეები ესწრებოდნენ. აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით, რომელსაც ხმამაღლა კითხულობდა ხაზინადარი (ანგარიშის მოსმენის პრაქტიკა დაინერგა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ დროში მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. თვით ტერმინი „აუდიტი“ ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და „მოსმენას“ ნიშნავს). ანალოგიური სახით ტარდებოდა გილდიების აუდიტის მოს-

მენა მისი ნევრების თანდასწრებით. მე-16 საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქების აუდიტორებმა დაიწყეს თავიანთ ანგარიშებში ასეთი ტიპის შენიშვნების ჩართვა: „მოსმენილია ქვემოთ ხელის-მომწერი აუდიტორების მიერ“. (მონტგომერი „აუდიტი“ გვ. 14). ასეთი იყო აუდიტორული დოკუმენტის პირველადი ფორმა. აუდიტის მეორე ტიპი წარმოადგენდა მსხვილი მამულების ფინანსურ მმართველთა საგადასახადო ანგარიშების დეტალურ შემოწმებას „დებეტისა და კრედიტის“ მიხედვით, რომელიც მთავრდებოდა „აუდიტორული დეკლარაციით“, ე. ი. ზეპირი ანგარიშგებით მამულის მეპატრონისა და მმართველთა საბჭოს წინაშე. აუდიტორი, ჩვეულებრივ ამ საბჭოს ნევრი იყო და, ამრიგად, თანამედროვე შიდა აუდიტორის წინამორბედად შეიძლება ჩაგვეთვალოს.

აუდიტის ორივე ტიპი, რომელიც ტარდებოდა დიდ ბრიტანეთში თითქმის მე-18 საუკუნემდე, პირველ რიგში იქეთ იყო მიმართული, რომ უზრუნველყო სახელმწიფო და კერძო თანამდებობის პირთა ანგარიშგება მათ გამგებლობაში არსებულ საშუალებებზე. ამ სახეობათა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენდა გაანგარიშებათა ხარისხის შემოწმება, თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როცა უზუსტობები მოტყუების მცდელობას უკავშირდებოდა. ეკონომიკურმა ცვლილებებმა 1600 წლიდან 1800 წლამდე პერიოდში, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა ქალაქების ზრდა, მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოება, – ახალი მოთხოვნები წაუყენა სააღრიცხვო საქმეს. ყურადღების ცენტრში მოექცა ქონებაზე საკუთრების უფლება და მოგება-დანაკარგის კალკულაცია, ამ სიტყვის ეკონომიკური აზრით. აუდიტმაც თანდათან იცვალა სახე და მოსმენის პროცესიდან წერილობითი დოკუმენტაციის დანვრისგან ანალიზად და დამამტკიცებელი მოწმობის კვლევად იქცა. მე-17 საუკუნის ბოლოს შოტლანდიაში მიღებულ იქნა პირველი კანონი ზოგიერთი თანამდებობის პირთათვის ქალაქის აუდიტორად მუშაობის აკრძალვის შესახებ. ამით დასავლეთის სამყაროში შემოღებულ იქნა თანამედროვე ცნება – აუდიტორის დამოუკიდებლობა.

აუდიტორული პრაქტიკის ასეთი პროგრესის მიუხედავად, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იქცა პროფესიონალი აუდიტორი საქმიანი სამყაროს ორგანულ ნაწილად. ეს დაკავშირებული იყო რკინიგზების მშენებლობასთან, სადაზღვევო კომპანიების, ბანკებისა და სააქციო საზოგადოებების მომრავლებასთან. სარკინიგზო ტრანსპორტი ერთ-ერთი პირველი დარგია აშშ-ში, რომელმაც შექმნა შიდა აუდიტორების სამსახური. მე-19 საუკუნის დასასრულს ე. წ. გამსვლელი აუდიტორები უკვე მუშაობდნენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ სატრანსპორტო სააგენტოებში იმ მიზნით, რომ შეეფასებინათ ანგარიშგების სისტემა და ქონებაზე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა.

მე-20 საუკუნის მიჯნამდე გარე აუდიტი აშშ-ში ინგლისური მოდელის მიხედვით იყო აგებული. მასში იგულისხმებოდა საბალანსო მონაცემთა დეტალური გამოკვლევა. აუდიტორის სამუშაო დროის სამი მეოთხედი საბუღალტრო წიგნების შედგენასა და გაანგარიშებებზე იხარჯებოდა. ამერიკაში არ არსებობდა კანონით დადგენილი მოთხოვნები აუდიტორის მიმართ და შემოწმებას უმეტეს შემთხვევაში ახორციელებდნენ აშშ-ის ფირმებში ინგლისიდან ინგლისელი ინვესტორების მიერ გამოგზავნილი აუდიტორები, რის გამოც ეს პროფესია თავიდან ნელა ვითარდებოდა.

თანდათანობით ამერიკული აუდიტი „ტესტურ აუდიტში“ გადაიზარდა, როდესაც სწრაფად განვითარებადმა ამერიკულმა ბიზნესმა საკმარისად აითვისა აუდიტის პროცედურები, ამერიკელმა ბიზნესმენებმა ჩათვალეს, რომ შემოწმების ბრიტანული სტილი მეტისმეტად ბევრ დროსა და საშუალებებს მოითხოვდა. გარდა ტესტირების მეთოდისა, რომელიც სულ უფროდაუფრო ვრცელდებოდა. აუდიტორებმა დაიწყეს იმ ფორმათა და საქმიანობის ამსახველი ცნობების შეკრება, რომლებიც მონათესავე ბიზნესთან იყო დაკავშირებული. პარტნიორთა საქმიანობის ანალიზი ეხმარებოდა მათ ოპერაციების შემოწმებაში. ინვესტორთა ინტერესების გათვალისწინებით ამერიკელმა

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული სამსახურის ვებგვერდი GeoStat.Ge

როები. ეკონომიკის ლიბერალიზაციის დროს სულ უფრო იცვლება და ახალ დატვირთვას ღებულობს სახელმწიფოს როლი თანამედროვე სამეურნეო ცხოვრებაში. გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ახლებურად გავიაზროთ მისი როლი ეკონომიკაში, რაც პირდაპირი ჩარევის შეზღუდვას გულისხმობს. ე. ი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო თამაშობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს, ვიდრე მბრძანებლურ – ადმინისტრაციულ სისტემაში. სახელმწიფოს როლი მრავალ ღონისძიებაში გამოიხატება, მას შეუძლია შექმნას თანაბარი პირობები ყველა ინდივიდისათვის, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების სანიდარია. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობა, რისთვისაც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას.

**სახელმწიფოს საკანონმდებლო ფუნქცია** გულისხმობს ისეთი კანონების შემუშავებასა და ამოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ნორმალურ არსებობასა და განვითარებას. სამენარმეო საქმიანობის მასტიმულირებელი კანონმდებლობა არის ნამდვილი რეგულატორი საბაზრო მექანიზმისა, რადგან საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფოს ხელშია, სწორედ მას შეუძლია „თამაშის წესების“ დადგენა.

**სახელმწიფოს სამენარმეო ფუნქცია** მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ფორმას, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საკუთრება. სახელმწიფო საკუთრებაში შესაძლებელია დარჩეს ეკონომიკის საერთო – ეროვნული მნიშვნელობის დარგები. თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს განსხვავებული მასშტაბების სახელმწიფო სექტორი. სახელმწიფო ფლობს კაპიტალს, მონაწილეობს სამენარმეო საქმიანობაში. მნიშვნელოვანია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი. მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში დასაქმებულთა 11% სწორედ სახელმწიფო სექტორზე მოდის. გერმანიაში, ჰოლანდიაში და ბელგიაში ეს მაჩვენებელი 8 – 9% -ს უდრის<sup>3</sup>. ამ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორის განვითარება მეტწილად სტრატეგიული დანიშნულების დარგებში ხდება.

**სახელმწიფოს ფუნქცია საერთაშორისო საქმიანობაში** ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ძირითადად სავაჭრო და ინვესტიციურ პოლიტიკაში გამოიხატება. თანამედროვე ეტაპზე საექსპორტო დარგების ნახალისება და განვითარება, საშინაო ბაზრის ზომიერი დაცვა, ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. სერიოზულ მხარდაჭერას საჭიროებს სახელმწიფოსაგან უცხოური ინვესტიციები. ამ სახსრების მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. ეს პროცესი სახელმწიფოს ეკონომიკისათვის ძალზედ მომგებიანია. ჯერ ერთი, კაპიტალის ნაკლებობისა და მოძველებული ტექნოლოგიის პირობებში ეს ინვესტიციები დაეხმარება ქვეყანას სამრეწველო ბაზის მოდერნიზაციაში, გაიზრდება ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, დაინერგება შრომითი გამოცდილებები. ეს პროცესები მოითხოვს უცხოელ ინვესტორთა მოგების კონცენტრაციას და უცხოური კაპიტალის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. თუმცა სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა უცხოურ ინვესტიციებს, რადგან მთავარი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა არის ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. ამრიგად, უცხოურ ინვესტიციებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა და მიზანდასახული გამოყენება საზოგადოების ეფექტიანი სოციალურ – ეკონომიკური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისა და მისი სოციალური ორიენტაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და სა-

<sup>3</sup> [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)



ხელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შეხამება, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელი აღმოჩნდება. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შინაგან, ძირითად წინააღმდეგობას, წარმოადგენს წინააღმდეგობა საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანს, რაც გამოიხატება მოგებაში – მოგების მიღებისაკენ სწრაფვაში და საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც გულისხმობს ხალხის ინტერესების გათვალისწინებას – ხალხის ინტერესების რეალიზაციისაკენ ორიენტაციას, რომლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

საბაზრო ეკონომიკას მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა გააჩნია. საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა არის ის მექანიზმი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს მთელი საბაზრო სისტემა. მასში შედის ცალკეული ბაზრების ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები, საქონლისა და მომსახურების ბირჟები, საბითუმო და საცალო სისტემები, კომერციულ საფუძველზე მოქმედი ფირმები, რომლებიც კონკურენციის მონაწილეებს აწვდიან საბაზრო ინფორმაციას, მარკეტინგულ მომსახურებას, მრავალრიცხოვანი შუამავალი კომპანიები, სერვისის მომსახურები და სხვა რგოლები. მათ უკავიათ მწარმოებლიდან მომხმარებლამდე გადაჭიმული უდიდესი ეკონომიკური სივრცე. განსაკუთრებული ინფრასტრუქტურის პირობებში, ბაზრები საკმაოდ ეფექტიანად რეაგირებენ საქონლის დროებით უკმარისობაზე და, რაც მთავარია, არ აძლევენ მას ფესვების გადგმის, დეფიციტად გადაქცევის შესაძლებლობას. მიზეზი უბრალოა, საქონლის ბაზრების ინფრასტრუქტურას აქვს უნარი მიიღოს მოთხოვნისაგან გამომდინარე სიგნალები და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს მასზე. მაგალითისთვის, საფონდო ბირჟა წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის წამყვან ელემენტს; მას ლავირების ფართო დიაპაზონი გააჩნია, საბოლოო ანგარიშით ეს იმით აიხსნება, რომ საბაზრო ეკონომიკაში წარმოებას ძირითადად სააქციო საზოგადოებები ახორციელებენ, რომელთა არსებობა საფონდო ბირჟის გარეშე წარმოუდგენელია. უდიდესი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაში კომერციული ბანკების არსებობას, მათ სრულყოფილ განვითარებას ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. ძირითად ბანკს კი წარმოადგენს ეროვნული (ცენტრალური) ბანკი, რომლის გამართული მოქმედება ქვეყანაში ფულის მიმოქცევისა და ფულად – საკრედიტო პოლიტიკის ჩამოყალიბების ერთ – ერთი ძირითადი საშუალებაა. განვითარებული ქვეყნის ერთ – ერთი ძირითადი საფინანსო რგოლია საგადასახადო სისტემა. ის საფუძველად უდევს ქვეყნის ბიუჯეტს. დახვეწილი საგადასახადო სისტემა ქვეყანაში არსებული მწარმოების განვითარების უდიდესი გარანტიაა. ამრიგად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

აქვე მნიშვნელოვანია, შევეხოთ საბაზრო ეკონომიკასა და კონკურენციას. კონკურენციის არსებობა, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

ტერმინი „კონკურენცია“ ლათინური წარმოშობისაა და ფართო გაგებით ნიშნავს ეკონომიკური აგენტების მეტოქეობას, რაც ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას<sup>4</sup>. იგი წარმოადგენს ძირითად მარეგულირებელ მექანიზმს. კონკურენცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთდროულად გამოდის რამდენიმე ფირმა, ერთნაირი ან ურთიერთმენაცვლებადი საქონლით. ასეთ შემთხვევაში მომხმარებლის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ფასის, ხარისხის, შეფუთვის, სერვისისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით.

<sup>4</sup> Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი ( <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3598>)

კონკურენცია აიძულებს მენარმეს, სამეურნეო საქმიანობა ააწყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მუშაობის მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება. საქონლის კონკურენტუნარიანობა გულისხმობს ბაზარზე ამა თუ იმ საქონლის უპირატესობას. ანალოგიური დანიშნულების საქონელს შორის მაღალი კონკურენტუნარიანობა გააჩნია იმას, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს სასარგებლო ეფექტს მომხმარებლის საერთო დანახარჯებთან მიმართებაში.

კონკურენტუნარიანობის ამალგებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ პროდუქციის ხარისხის გაზრდა, აუცილებელია დიდი უპირატესობა მიენიჭოს ახალი საქონლის შემუშავებისა და ათვისების საკითხს, ბაზარზე ლიდერის პოზიციის მოპოვებას. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მოთხოვნილებათა უკეთესად დაკმაყოფილებას, წარმოების მოქნილ გარდაქმნას, საბოლოოდ კი საქონლის წარმატებით რეალიზაციას. საბაზრო სისტემის პირობებში გამოიყოფა კონკურენციული ბრძოლის ორი ძირითადი ფორმა: შიდა დარგობრივი და დარგთაშორისი. შიდა დარგობრივი ბრძოლის პირობებში მენარმეები თითქოს არასოდეს აწარმოებენ ერთნაირ პროდუქციას. ისინი ყოველთვის ცდილობენ რაიმე სიახლე შეიტანონ თავის ნაწარმში – ხარისხის მაქსიმალურად გაუმჯობესება იქნება ეს თუ გარეგანი გაფორმება. დარგთაშორისი კონკურენციის დროს მენარმეები ივინყებენ შიდადარგობრივ ბრძოლას და ერთიანი ძალებით ცდილობენ მეტი რეკლამა გაუწიონ თავისი დარგის პროდუქციას.

საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება და არჩევანის თავისუფლებაში ვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. სწორედ ეკონომიკური თავისუფლება უქმნის ნიადაგს ნოვაციებს. რასაკვირველია, ეკონომიკური თავისუფლება თავისთავშივე გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებსა და ზომებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა არეგულიროს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მექანიზმებით.

ამრიგად, ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარია ეკონომიკური თავისუფლება. ამ უკანასკნელის მთავარი უზრუნველმყოფი კი არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მისი ჩარევის მასშტაბები.



# კუპანიტარული მეხნიერების მიმართულება

ნინო ქიტანავა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

## საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სტუდენტის მხარდამჭერი სისტემები

### რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია, საინფორმაციო სისტემები კი აუცილებელი ინსტრუმენტი პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროში. ნებისმიერი ორგანიზაცია შედგება მართვის და სამართავი ნაწილისაგან, რომლებიც ერთობლივად შეადგენენ მართვის სისტემას. ორივე მათგანის ფუნქციონირებისთვის საჭიროა ინფორმაციის გაცვლა. საინფორმაციო სისტემების როლი გაიზარდა საგანმანათლებლო სფეროშიც, ვინაიდან განათლება დინამიური პროცესია. სწავლა – სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრისა და აღნიშნული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტის მხარდამჭერი სისტემის დანერგვა და გამოყენება. მნიშვნელოვანია თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებენ სისტემის კომპონენტები ცალ-ცალკე, ისევე როგორც სისტემა მთლიანად? სტუდენტის მხარდამჭერ საინფორმაციო სისტემებში ელექტრონული საინფორმაციო სისტემების გარდა ერთიანდება მენტორინგის მოდელი. ქართულ რეალობაში კი მენტორის – ფუნქცია მოვალეობებს ძირითადად ფაკულტეტის კოორდინატორები ან სპეციალისტების ახორციელებენ, ასევე გვყავს ტუტორის პოზიციის პრაქტიკაც. შესაძლებელია რამდენიმე სახის შედეგზე საუბარი რაზეც დადებით გავლენას ახდენს მენტორინგის მოდელი: 1. აუმჯობესებს სტუდენტთა საერთო აკადემიურ მოსწრებას; 2. ხელს უწყობს სტუდენტებს განუვითარდეს უნარები, რომლებიც სასწავლო პროცესის დროს გამოადგებათ; 3. სტუდენტებს პერსონალურ განვითარებს უწყობს ხელს 4. სტუდენტები შეისწავლიან მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს; 5. სტუდენტები აყალიბებენ აკადემიური ურთიერთობებს.

მიუხედავად იმისა, რომ მენტორინგის პროგრამა დადებით ეფექტს იძლევა, იგი შეიძლება გარკვეულ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. იკვეთება ძირითადი პრობლემები: დროის უკმარისობა, დროის არასწორი მენეჯმენტი გაურკვევლობა მოლოდინებსა და მიზნებში, სტრესი და საჭირო ცოდნის უკმარისობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის პრობლემებია, რომლებიც თავს იჩენს იმ შემთხვევაში როცა მენტორი უნივერსიტეტის მაღალი კურსის სტუდენტია. ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კი მენტორობა ძირითად შემთხვევაში თანამდებობაა. შესაბამისად კოორდინატორი იქნება თუ სპეციალისტი მას თავიდანვე აქვს გათვლილი სამუშაო გრაფიკი.

**Tchitanava Nino**

*PhD Student of Iakob Gogebashvili*

*Telavi State University*

## **Student support systems in educational institutions**

### Resume

In the modern world, Information is one of the most important resource, informational systems are essential tools in practical activities in every sphere. Any organization consists of the management and control part that combines the management system. Information exchange is required for both of them. The role of information systems have increased in educational sphere as education is a dynamic process. The introduction and use of a student system is important for the elimination of problems in the learning and teaching process and for the effective implementation of the process. It is important to see how efficiently the system components operate separately, as well as the system completely. The student supporting information system unites electronic information systems and mentoring model. In Georgian reality, the mentor – duties are mainly performed by faculty coordinators or specialists, as well as the practice of tutor position. It is possible to talk about several types of results, which have a positive impact on the mentoring model: 1. Improve the overall academic achievement of students; 2. Facilitate students to develop skills that will be useful during study process; 3. Students promote personal development. 4. Students study their strengths and weaknesses; 5. Students form academic relationships.

In spite of the fact that the mentoring program gives a positive effect, it may be related to certain problems. The main problems are: time failure, time management, uncertainty in expectations and goals, stress and lack of knowledge. It should be noted that these are the problems that occur when the mentor is undergraduate student. Mentorship, in Georgian education institutions, is mainly the post. Accordingly, the coordinator or the specialist should have a working schedule from the very beginning.



ნინო ჭითანავა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

## საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სტუდენტის მხარდამჭერი სისტემები

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია, საინფორმაციო სისტემები კი აუცილებელი ინსტრუმენტი პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროში. ნებისმიერი ორგანიზაცია შედგება მართვის და სამართავი ნაწილისაგან, რომლებიც ერთობლივად შეადგენენ მართვის სისტემას. ორივე მათგანის ფუნქციონირებისთვის საჭიროა ინფორმაციის გაცვლა. დაწესებულებებმა, რომელმაც პრაქტიკაში გამოიყენეს პროექტ „მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის“ მიერ შექმნილი პრინციპები, შედეგად მიიღეს მომხმარებლების გაუმჯობესებული მონაცემები, კლიენტებთან ურთიერთობის მართვაც ადვილი პროცესი გახდა და ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გახდა დროული, ზუსტი ინფორმაცია. საინფორმაციო სისტემების როლი გაიზარდა საგანმანათლებლო სფეროშიც, ვინაიდან განათლება დინამიური პროცესია. სწავლა – სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრისა და აღნიშნული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტის მხარდამჭერი სისტემის დანერგვა და გამოყენება. ამ მხრივ საინტერესოა ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში სტუდენტთა საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების წარმატებული პრაქტიკის განხილვა.

კვლევების განახორცილება, რომელიც უკავშირდება უმაღლეს განათლებაში საინფორმაციო სისტემის მნიშვნელობას და სტუდენტებთან ურთიერთობის მართვას მე-20 საუკუნის ბოლოდან დაიწყო. მაგალითად: ელაინე სიმანმა და მარგარეტ ოჰარამ აღმოსავლეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში განხორციელეს პროექტი „მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა უმაღლეს განათლებაში“. ამ პროექტის მიზანი იყო სტუდენტზე, როგორც მომხმარებელზე ორიენტირება და მათთან ურთიერთობის რეგულირება, რომლის განხორციელების შედეგად გაიზარდა სერვისით და პროგრამით კმაყოფილი სტუდენტების რიცხვი. კვლევით პროექტში დასტურდება რომ, უმაღლეს განათლებაში შექმნილი კონკურენტული და დინამიური გარემოს პირობებში, მნიშვნელოვანია ურთიერთობის აშენება სტუდენტებთან, ხოლო მიზნის მისაღწევად საჭიროა, შიდა საინფორმაციო სისტემები იყოს მაქსიმალურად ინტეგრირებული. ნებისმიერი საგანმანათლებლო ტიპის ორგანიზაცია, რომელსაც უწევს მომხმარებელთა ურთიერთობის მართვა მიზნად ისახავს გაზარდოს სამომხმარებლო კმაყოფილება. არსებობს ადრეული კვლევებიც, სადაც საუბარია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო სისტემების ეფექტურობაზე. 2003 წელს მარგარეტ გემელმა ბრიტანეთის ერთ-ერთ უმსხვილეს, სალფორის უნივერსიტეტში კვლევა ჩაატარა, რომელიც გვთავაზობს მომხმარებელთა საჭიროების ანალიზს. მომხმარებელთა მხრიდან დასახელდა სამი მნიშვნელოვანი ელემენტი: პროდუქტი, სერვისი და პროცესის მართვა. აღნიშნული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სტუდენტთა მხარდამჭერი სისტემების წარმატებულობა და სტუდენტთა ინფორმაციით კმაყოფილება მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. ზემოთ აღნიშნული კვლევის მიხედვით საინფორმაციო სისტემის პროდუქტად განიხილება ინფორმაცია, რომელსაც სტუდენტი იღებს საინფორმაციო არხის მეშვეობით.



კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სისტემაში ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და ზუსტი, რათა მომხმარებელს ჩამოუყალიბდეს სისტემის მიმართ ნდობა. რაც შეეხება მომხმარებლის საჭიროების მეორე ელემენტს – სერვისს, გულისხმობს კომუნიკაციას უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის, რაც გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომა. ამავ კვლევის ანალიზში ვკითხულობთ, რომ მომხმარებელთა საჭიროების მესამე ელემენტი, პროცესი არის პროექტის წარმართვის და განხორციელების ეტაპები, როცა ორგანიზაციის მენეჯერი გეგმავს თუ როგორ უნდა შექმნას საინფორმაციო სისტემა სტუდენტებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტთა საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების ეფექტურობისა და სტუდენტთა საინფორმაციო მომსახურების პრობლემატიკის შესახებ ინფორმაცია დღეისათვის მწირია. სწავლის დაგეგმვის პროცესში სტუდენტის მხარდაჭერი სისტემის ჩართულობა ძირითადად 3 განაყოფისგან შედგება: ფაკულტეტის კოორდინატორები, არჩევის გარემოს უზრუნველყოფის სამსახური და სხვა არაფორმალური სისტემები. მნიშვნელოვანია თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებენ სისტემის კომპონენტები ცალ-ცალკე, ისევე როგორც სისტემა მთლიანად? სტუდენტის მხარდაჭერი საინფორმაციო სისტემებში ელექტრონული საინფორმაციო სისტემების გარდა ერთიანდება მენტორინგის მოდელი. ეს არის ერთგვარი მომსახურება, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტს. დღესდღეობით თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში მენტორინგის მოდელი ბევრ უნივერსიტეტში წარმატებით განხორციელდა. ქართულ რეალობაში კი მენტორინგის – ფუნქცია მოვალეობებს ძირითადად ფაკულტეტის კოორდინატორები ან სპეციალისტები ახორციელებენ, ასევე გვყავს ტუტორის პოზიციის პრაქტიკაც. ისინი ემსახურებიან სტუდენტს, როგორც მრჩეველი და მეგობარი, შესაბამისად დადებით გავლენას ახდენენ ფაკულტეტის კარიერულ განვითარებაზე. ხშირ შემთხვევაში კოორდინატორები ეხმარებიან სტუდენტებს ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში. ურთიერთობა მათ შორის ბუნებრივია და რჩევის ფორმა აქვს. სასწავლო პროცესის დაწყებამდე იგეგმება გაცნობითი და საორიენტაციო შეხვედრა. სწავლა-სწავლების პირობების გასაუმჯობესებლად ეცნობიან სტუდენტები თუ როგორ მიმდინარეობს ზოგადად სასწავლო პროცესი, როგორ უნდა აირჩიოს სასწავლო დისციპლინები, და რამდენად რელევანტური იქნება მათი არჩევანი სასწავლო პროგრამასთან. კოორდინატორების ეფექტური მუშაობა ამცირებს სტუდენტთა გადინებას უნივერსიტეტიდან, რადგან იგი ზრუნავს სტუდენტისთვის შექმნას დადებითი და მზრუნველი გარემო. დროულად ხორციელდება სტუდენტის პრობლემაზე რეაგირება, რაც ზრდის სტუდენტთა მოტივაციას და კმაყოფილებას. საქართველოს რეალობიდან განსხვავებით უცხოეთში მენტორინგის ირჩევს თავად სტუდენტი. მნიშვნელოვანი ნაბიჯია სტუდენტისთვის სწორად შეარჩიოს მენტორი. ვიდრე სტუდენტი სასურველ მენტორს შეარჩევს, აუციელებელია გაიაროს ეტაპები, რაც გულისხმობს, რომ გაერკვეს თუ რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე, შეიცნოს უნარები, რომელსაც ფლობს და ასევე რომლის განვითარებაა საჭირო. როცა სტუდენტი შეძლებს გაეცნოს რამდენიმე პოტენციურ მენტორს, ამის შემდეგ მას შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი კანდიდატი.

კვლევების და არსებული პრაქტიკის ანალიზის მიხედვით მენტორინგის მოდელი ასევე წარმატებულია უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. 2010 წლის აგვისტოში გერმანიის დედაქალაქ ბერლინის ოცამდე უნივერსიტეტში განხორციელდა მენტორინგის პროექტი, რომლის თანახმადაც ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტები მხარდაჭერილი უნდა იყვნენ სასწავლო გარემოში უკეთ ადაპტაციისათვის. ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ინსტიტუტში არსებობს ორი ტიპის მენტორი: აკადემიური მრჩეველი, მაგალითად, პროფესორები და მეორე ტიპის მრჩეველები არიან სტუდენტები მაღალი სასწავლო კურსებიდან. აქედან გამომდინარე მენტორის



სისტემა ორი ნაწილისგან შედგება, აკადემიური მენტორის სისტემა და სტუდენტური მენტორის სისტემისაგან. გერმანიის ბევრ უნივერსიტეტში მოქმედებს ტუტორების სისტემა, რომელიც სტუდენტთა მენტორის სისტემის ანალოგიურია. ტუტორები არიან უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში მაღალკურსელი სტუდენტები, რომელთა ფუნქციებში შედის. ინტერესთა ჯგუფების შექმნა და ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხშირად საერთო ინტერესის მქონე სტუდენტები ერთ ჯგუფში იკრიბებიან და ქმნიან ერთობლივ პროექტებს. ტუტორები ახდენენ ამ პროექტის ხელმძღვანელობას და სამუშაოს გადანაწილებას ჯგუფში.

აღსანიშნავია, რომ იქმნება ორგანიზაციები, რომელიც უწევს დახმარებას ახალბედა სტუდენტებს პროფესიული წარმატების მისაღწევაში. მაგალითად, „ავსტრიის ქართველ სტუდენტთა ასოციაციის“ პროექტი “მენტორი”, რომელიც მიზნად ისახავს იმ ქართველი ახალგაზრდების დახმარებას, რომლებსაც ავსტრიაში სწავლის გაგრძელება სურს. პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდებს, რომლებსაც ავსტრიაში სწავლის გაგრძელების სურვილი აქვთ ან უკვე გახდნენ ავსტრიული უნივერსიტეტების სტუდენტები, შესაძლებლობა ეძლევათ დარეგისტრირდნენ ასოციაციის ვებგვერდზე და მიუთითონ სწავლის გასაგრძელებლად მათთვის სასურველი სფერო, რომლის საფუძველზეც სტუდენტური ასოციაცია ეცდება, მოძებნოს შესაბამისი სფეროდან მენტორი, ანუ ქართველი სტუდენტი, რომელიც დაეხმარება ავსტრიის უნივერსიტეტებში სწავლის მსურველს, ან უკვე ჩარიცხულ ახალგაზრდებს და დააკვალიანებს მათ სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებში. აღნიშნული მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე იქმნება არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ შორისაა ახალგაზრდა დიპლომატთა ორგანიზაცია „გადა“, რომელიც ფუნქციონირებს 2014 წლიდან შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიში. ორგანიზაციის მიზანია სტუდენტების ხელშეწყობა პროფესიული წარმატების მისაღწევად. „გადას“ პროექტებში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც სთავაზობს პროგრამების ვრცელ პაკეტს – მოდელირებებს, სხვადასხვა კონკურსებს, ტრენინგებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შანსს.

მიუხედავად იმისა, რომ მენტორინგის პროგრამა დადებით ეფექტს იძლევა, იგი შეიძლება გარკვეულ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. იკვეთება ძირითადი პრობლემები: დროის უკმარისობა, დროის არასწორი მენეჯმენტი, გაურკვეველობა მოლოდინებსა და მიზნებში, სტრესი და საჭირო ცოდნის უკმარისობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის პრობლემებია, რომლებიც თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როცა მენტორი უნივერსიტეტის მაღალი კურსის სტუდენტია. ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კი მენტორობა თანამდებობაა. შესაბამისად კოორდინატორი იქნება თუ სპეციალისტი მას თავიდანვე აქვს გათვლილი სამუშაო გრაფიკი.

ინგლისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში (University of Plymouth) მენტორების პროექტზე ჩატარებულმა კვლევამ რამდენიმე საკითხი წამოიწია:

- მენტორსა და მის სტუდენტს შორის მოლოდინები და მიზნები შეიძლება გაურკვეველი იყოს და არ ემთხვეოდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია რომ მათ შორის ურთიერთობა იყოს ბუნებრივი ორგანიზაციის კულტურაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მენტორმა არ უნდა მოახვიოს თავისი საკუთარი აზრები სტუდენტს და აიძულოს რამის გაკეთება.
- ძირითადი პრობლემა, რატომაც არ სურდათ სტუდენტებს მენტორობა, ეს იყო დროის უკმარისობა და გრაფიკის დამთხვევა სხვა საქმიანობასთან.

გამოკვეთილი პრობლემების მიუხედავად, მენტორინგის პროგრამის ეფექტურობაზე მიუთითებს ყველა არსებული კვლევა. შესაძლებელია რამდენიმე სახის შედეგზე საუბარი რაზეც დადებით გავლენას ახდენს მენტორინგის პროგრამა:

- აუმჯობესებს სტუდენტთა საერთო აკადემიურ მოსწრებას
- ხელს უწყობს სტუდენტებს განუვითარდეს უნარები, რომლებიც სასწავლო პროცესის დროს გამოადგებათ

- სტუდენტების პერსონალურ განვითარებს უწყობს ხელს
- სტუდენტები შეისწავლიან მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს
- სტუდენტები აყალიბებენ აკადემიური ურთიერთობებს

ზემოთ აღნიშნული სტუდენტთა მხარდაჭერი სისტემების გარდა, სახელმწიფო თავის მხრივ ცდილობს საინფორმაციო სისტემების გამოყენებით გაამარტივოს და უფრო ეფექტური გახადოს კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. რაც თავის მხრივ მხოლოდ სტუდენტთა პროფესიულ წარმატებულობაზეა ორიენტირებული. “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე 2010 წლეს დაარსდა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომლის მიზანს წამოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის ხელშეწყობა. ეს არის ინტერნეტ პორტალი, რომელშიც განთავსებულია საგანმანათლებლო ინფორმაცია და ციფრული ჩანაწერები. გარდა ამისა, 2012 წლიდან ფუნქციონირებს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. იგი უზრუნველყოფს თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას. ზემოთ აღნიშნული ინტერნეტ პორტალები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამართულ ფუნქციონირებას უწყობს ხელს, ვინაიდან განთავსებულია საგანმანათლებლო ინფორმაცია და ციფრული ჩანაწერები (დიპლომები, ატესტატები, სერტიფიკატები, ა.შ). ამჟამად მიმდინარეობს ახალი საგანმანათლებლო ელექტრონული სერვისის ამოქმედებაზე მუშაობა. პროექტის მხარდამჭერია გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვედეთის მთავრობა. ახალი ელექტრონული სერვისის ამოქმედება უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანი პროექტია ვინაიდან პორტალი გაამარტივებს საგანმანათლებლო ინფორმაციის მართვას და ერთ ელექტრონულ სივრცეში მოუყრის თავს უნივერსიტეტების, კოლეჯებისა და სკოლების ციფრულ ჩანაწერებს. სერვისი განკუთვნილია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ასევე მოქალაქეებისთვის, რათა განხორციელდეს თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლების, კვლევისა და დასაქმების მიზნით, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

საქმიანობის მონიტორინგის მიზნით საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ პერიოდულად ხორციელდება კვლევები როგორც სერვისების მომხმარებელთა, ასევე თავად თანამშრომელთა კმაყოფილების შესაფასებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gallimore Ronald, Bradley A. Ermeling, William M. Saunders, Claude Goldenberg. “Moving the Learning of Teaching Closer to Practice: Teacher Education Implications of School-Based Inquiry Teams: The Elementary School Journal . Number 5.
2. Margaret Gemell. (2003) “A Post-Implementation Evaluation of a Student Information System in the UK Higher Education Sector”.
3. Elaine D. Seeman, Margaret O’Hara. (2006) *Costumer relationship managment in higher education*. East California University, Winterville, North Carolina, USA
4. [www.eqe.ge](http://www.eqe.ge)
5. [http://georgianstudents.wixsite.com/blog/our\\_team](http://georgianstudents.wixsite.com/blog/our_team)
6. <http://gau.ge/ge/news/gau-youth-diplomat-association-gada>



სოფიო მორალიშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი

**სტუდენტთა მოტივაციის კვლევა  
(ახალი უმაღლესი სასწავლებლის ქეისი)**

**რეზიუმე**

სტატია ეხება სასწავლო პროცესში მოტივაციის მნიშვნელოვანი როლის განსაზღვრას და მის კვლევას ინგლისური ენის სწავლებისას ახალ უმაღლეს სასწავლებელში.

მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად არიან მოტივირებულნი – შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს. არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი შინაგანი ან გარეგანი მოტივაციით.

უცხო ენის შესწავლა დაკავშირებულია ორი სახის მოტივაციასთან: 1. ინტეგრალური მოტივაცია, რომელიც გულისხმობს სურვილს იყო წარმატებული და მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრი, ან მიეკუთვნებოდა იმ საზოგადოებას რომელიც საუბრობს უცხო ენაზე. 2. ინსტრუმენტალური მოტივაცია წმინდა პრაქტიკული ცნებაა, რომელიც ენის შესწავლას უკავშირებს დასაქმებისა და ბიზნეს შესაძლებლობების გაზრდას.

კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა უმეტეს ნაწილში ინსტრუმენტალური მოტივაციის დონე გაცილებით მაღალია ინტეგრალური მოტივაციის დონეზე. სტუდენტები აცნობიერებენ ფაქტს, რომ ინგლისური ენის კარგად ფლობა დაეხმარებათ წარმატების მიღწევაში და კარგი სამუშაოს პოვნაში.

**The Study of Students' Motivation  
(New Higher Educational Institute Case)**

**Abstract**

The research aims to show the significant role of motivation in language learning success. Motivated students are likely to learn more and learn more quickly than students who are less motivated. The presented study was carried out to determine the motivational level of bachelor students at New Higher Educational Institute. It aimed to reveal if students are more integratively or instrumentally motivated while English language learning. The data for this study was obtained through questionnaire administered to the total number of 30 students. Then qualitative study was conducted for identifying whether they are integratively or instrumentally motivated.

The study revealed that the level of integral motivation is higher rather than instrumental. Students are aware of the fact that being proficient in English can lead to more success and achievements in life.

As the motivation is one of the most important learning factors in English language mastering, the need to determine the actual motivational situations of any students' group is worthwhile. This will be beneficial both for teacher and student. The study provides useful knowledge to stimulate the more motivating learning atmosphere. Students with adequate motivation will become efficient language learners with ultimate language proficiency.

**Keywords:** motivation, integrative motivation, instrumental motivation

## სტუდენტთა მოტივაციის კვლევა (ახალი უმაღლესი სასწავლებლის ქეისი)

მოტივაცია არის იმპულსი/სურვილი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებებისაკენ უბიძგებს და ამ ქმედებებს გარკვეული მიზნის მიღწევისაკენ მიმართავს. ის უკვე გასცდა ცნების კატეგორიას. ჩვენს დროში სიტყვა „მოტივაცია“ უფროდაუფრო პოპულარული ხდება. იმისათვის, რომ რაიმეს მივალწიოთ, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება სამოქმედო ძალა. მხოლოდ ძლიერ სურვილს მივყავართ წინ, გვაიძულებს ვიმოქმედოთ და შევასრულოთ ამოცანები. აგრეთვე, ჩვენთვის აუცილებელია საჭირო ნიადაგი იმისათვის, რომ გაჩნდეს სამოტივაციო ფაქტორები, და რაც მთავარია, ზუსტად უნდა ვიცოდეთ რა არის მოტივაცია.

მოტივაციის გაზომვა შეუძლებელია, მისი დანახვა ძალიან რთულია, მისი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოცდი საკუთარ თავზე. იგი შეიძლება გახდეს ყველაზე დიდებული და მოულოდნელი ადამიანური მიღწევების მიზეზი; დაახლოვოს ადამიანები გაჭირვებისა და სტრესული სიტუაციების დროს. მოტივაციის ნაკლებობა წარმოშობს უკმაყოფილებას, მტრულ დამოკიდებულებას არეულობას და რევოლუციასაც კი. მოტივაცია იწყება იქ, სადაც მთავრდება ბრძანების ზემოქმედება. მოტივაციის არეალი საკმაოდ ფაროა, რადგან ადამიანს, როგორც თავისუფლებებისმოყვარე ცხოველს, სძულს დაემორჩილოს ბრძანებას.<sup>1</sup>

ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად არიან მოტივირებულნი – შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს. არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი შინაგანი ან გარეგანი მოტივაციით. საინტერესო აქტივობები ეფუძნება მოსწავლის შინაგან მოტივაციას. შინაგანად მოტივირებული მოსწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.

გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე შესრულებული სასწავლო აქტივობისათვის მოელის ნახალისებას, ჯილდოს (კარგი ქულა, შექება, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვება და ა.შ.). ამ დროს განხორციელებული სასწავლო აქტივობა შესაძლებელია მოსწავლისათვის არ იყოს საინტერესო.

ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, რადგან მას აინტერესებს საგანი და სწავლის პროცესი. მაგრამ არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ. მათ მუდმივად სჭირდებათ შექება, სტიმული და თანადგომა. ამრიგად, მოსწავლის სასწავლო აქტივობას განაპირობებს როგორც გარეგანი, ისე მისი შინაგანი მოტივაცია. ამიტომ პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გაითვა-

<sup>1</sup> პ. რობინსი, ა. ტიმოთი & ჯაჯი, (2009). ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ., 2009.

ლისნინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის წარმატებებს.<sup>2</sup>

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებული და მნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ის მოიცავს მოსწავლის ქმედებისა და ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს, რომლებიც მასშია და (ემოციები, გრძნობები, განცდები...) გარე (გარემო) სტიმულებზე საპასუხო რეაქციისკენ უბიძგებენ. საზოგადოდ, ადამიანის ქმედება უმეტესად მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული და მას განსაზღვრული მოტივები უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, მოტივაცია შეიძლება განიმარტოს როგორც სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მომავალ წარმატებაში.<sup>3</sup>

სწავლის მოტივაცია სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან შიდა პიროვნულ ფაქტორს, რომელიც სწავლის მოტივაციას განაპირობებს:

**1. ცნობისმოყვარეობა** – სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ.

**2. თვითრწმენა** – თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლეს ასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში.

**3. დამოკიდებულება** – პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უმთავრესად ის გარემო, საზოგადოება, რელიგია, კულტურა და ტრადიცია განაპირობებს, რომელშიც ადამიანი იზრდება და ვითარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი გარემო, სადაც ღირებულებების, კულტურული და საზოგადოებრივი ნორმების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები და სხვ. გამუდმებით ცდილობენ, შეცვალონ ადამიანის ფიქრები, ემოციები და განცდები ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის მიმართ. აი, ამ რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

**4. მოთხოვნილებები** – მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების, ძილის...) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის...) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის...) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების...) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, განმარტებითი ლექსიკონი, სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ნაწ. 1: განათლების სპეციალისტებისთვის, თბ., 2008.

<sup>3</sup> თ. ჭყოიძე, (2015 წლის 06 იანვარი). [www.maswavlebei.ge](http://www.maswavlebei.ge). Retrieved 2016 წლის 03 აპრილი from ინტერნეტგაზეთი: <http://mastsavlebeli.ge/?p=1797>





ჰარმერი იყენებს სიტყვა „მიზანს“ მოტივაციის მნიშვნელობით მეორე ენის სწავლებაში. ის ორი ტიპის „მიზანს“ გამოყოფს:

1. მოკლევადიანი მიზნები, ნიშნავს იმას, რომ სტუდენტს სურს წარმატებას მიაღწიოს უმოკლეს ვადაში. მაგალითად, ჩააბაროს გამოცდა და მიიღოს მაღალი ქულები.

2. გრძელვადიანი მიზნები, როცა სტუდენტი ინგლისურ ენას ეუფლება იმისათვის, რომ იპოვოს უკეთესი სამსახური და ესაუბროს ინგლისურ ენაზე მოლაპარაკებებს (ჰარმერი, 1991).

ქრაშენი ასახელებს ორ ძირითად ფაქტორს, რომელიც დაკავშირებულია უცხო ენის შესწავლის მოტივაციასთან:

ა. ინტეგრალური მოტივაცია, რომელიც გულისხმობს სურვილს იყო წარმატებული და მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრი, ან მიეკუთვნებოდა იმ საზოგადოებას, რომელიც საუბრობს უცხო ენაზე. ეს ეფუძნება უცხო ენის დაუფლების ინტერესს იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რომ შეძლო სოციალიზაცია და ინტეგრაცია უცხო ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაში.

ბ. ინსტრუმენტალური მოტივაცია წმინდა პრაქტიკული ცნებაა, რომელიც ენის შესწავლას უკავშირებს დასაქმებისა და ბიზნესშესაძლებლობების გაზრდას; ასევე, პრესტიჟისა და ძალაუფლების ზრდის შესაძლებლობას, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობას; ან უბრალოდ გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობას (ქრაშენი, 1988).

შინაგანი და გარეგანი მოტივაციის უკეთ წარმოდგენის მიზნით, სპოლსკი (1989) იყენებს ჰარმერისეულ 1982 წლის მოდელს და განსხვავებას შინაგან და გარეგან მოტივაციას შორის წარმოგვიდგენს შემდეგი სახით.

შინაგანი	VS	გარეგანი
უპირატესობას ანიჭებს გამონწევებს	VS	უპირატესობას ანიჭებს იოლ სამუშაოს
აქვს ცნობისმოყვარეობა/ინტერესი	VS	ასიამოვნოს მასწავლებელს/ მიიღოს ქულები
დამოუკიდებლად მუშაობს	VS	დამოკიდებულია მასწავლებელზე პრობლემების დასაძლევად
შეუძლია დამოუკიდებლად სიტუაციის შეფასება	VS	დამოკიდებულია მასწავლებლის მითითებებზე
აქვს წარმატების შინაგანი კრიტერიუმები	VS	აქვს წარმატების გარეგანი კრიტერიუმები

წარმოდგენილი მოდელიდან ჩანს, რომ რაც უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს ენის შემსწავლელი მიზნის მიღწევაზე, მით უფრო მოტივირებულია და მეტ ძალისხმევას იჩენს საბოლოო მიზნის მისაღწევად. ეს განსხვავება ასევე ავლენს იმ ფაქტს, რომ მოტივაციაზე თანაბრად მოქმედებს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორები.

ახალ უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა ინსტრუმენტალური და ინტეგრალური მოტივაციის დონის გამოვლენის მიზნით გამოვიყენე კითხვარები. თითოეული კითხავრი შედგებოდა 10 კითხვისაგან. გამოიკითხა 30 სტუდენტი. მათ საკუთარი მოტივაცია შეაფასეს 1 დან 5 ქულის ჩათვლით. შედეგების განზოგადება მოვახდინე შემდეგი პროცენტულობით:

- 3.68 – 5.00      მოტივაციის მაღალი დონე
- 2.34 – 3.67      მოტივაციის საშუალო დონე
- 1.00 – 2.33      მოტივაციის დაბალი დონე

ინსტრუმენტალური მოტივაციის კითხვები	მოტივაციის დონე
1. ინგლისური ენის გამოყენებას ძირითადად ყურადღებას ვაქცევ დავალებების შესრულების და გამოცდების დროს	საშუალო
2. ტექსტებიდან უბრალოდ ვციტირებ გაკვეთილზე და რეალურად არ ვიყენებ კომუნიკაციაში შესწავლილ მასალას	დაბალი
3. დაინტერესებული ვარ წავიკითხო მხოლოდ ინგლისური სახელმძღვანელო წიგნები უნივერსიტეტში სწავლისათვის და არა სხვა ტექსტები, მაგ. გაზეთები, ჟურნალები	საშუალო
4. მე დაინტერესებული ვარ მოვიპოვო უნივერსიტეტის ხარისხი და ვიშოვო კარგი სამსახური, ვიდრე ვისწავლო ინგლისური ენა.	საშუალო
5. მე უფრო დაინტერესებული ვარ ჩემი უმაღლესი განათლებით ვიდრე ინგლისური ენის სწავლით.	საშუალო
6. ინგლისურის სწავლა მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს	მაღალი
7. ინგლისურის სწავლა მნიშვნელოვანია ჩემი, როგორც მცოდნე და უნარ-იანი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის	მაღალი
8. ინგლისურის სწავლა მნიშვნელოვანია ჩემი, როგორც განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის	მაღალი
9. ინგლისურის კარგად ფლობა ნიშნავს წარმატებას და მიღწევებს ცხოვრებაში	საშუალო
10. ინგლისური ენის ცოდნა ნიშნავს სხვა ადამიანების პატივისცემას ჩემს მიმართ	საშუალო

ინტეგრირებული მოტივაციის კითხვები	მოტივაციის დონე
1. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მძლევს გავიგო ინგლისური წიგნები, ფილმები, პოპ მუსიკა და ა. შ.	მაღალი
2. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მძლევს უკეთ გავიგო და დავაფასო იმ ხალხის ცხოვრების წესი, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა.	მაღალი
3. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მძლევს ურთიერთობა მქონდეს უცხოელ ნაცნობებთან.	მაღალი
4. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მძლევს საუბარი გავაბა საინტერესო თემებზე სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან.	მაღალი
5. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მძლევს გადავცე ჩემი ცოდნა სხვა ადამიანებს.	მაღალი
6. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მძლევს თავისუფლად მივიღო მონაწილეობა აკადემიურ, სოციალურ და პროფესიულ აქტივობებში და სხვ.	მაღალი

7. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მაძლევს ვისაუბრო ისე, როგორც საუბრობენ ისინი, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა, მაგ. ვისაუბრო სწორი აქცენტით, გამოვიყენო ინგლისური ფრაზები	მაღალი
8. ინგლისურის შესწავლა შესაძლებლობას მაძლევს გავეცნო ინგლისურ ხელოვნებას და ლიტერატურას.	მაღალი
9. ინგლისურის შესწავლა მენმარება ვიყო უფრო გახსნილი და კომუნიკაბელური პიროვნება, როგორც ინგლისურად მოლაპარაკე ხალხია.	მაღალი
10. მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ვისწავლო ინგლისური, რათა მივაღწიო მაქსიმუმს მისი დაუფლებისათვის.	მაღალი

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, სტუდენტთა უმეტეს ნაწილში ინტეგრირებული მოტივაციის დონე გაცილებით მაღალია ინსტრუმენტალური მოტივაციის დონეზე. ასევე, ინგლისური ენის შესწავლის ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის კარგი სამუშაოს პოვნა. სტუდენტები აცნობიერებენ ფაქტს, რომ ინგლისური ენის კარგად ფლობა დაეხმარებათ წარმატების მიღწევაში.

რადგან მოტივაცია ენის სწავლებასა და სწავლაში ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, მოტივაციის რეალური სურათის შესწავლა კონკრეტულ სასწავლებელსა თუ ჯგუფში სასარგებლოა როგორც პედაგოგის, ასევე სტუდენტისათვის. კვლევა გვანდის სასარგებლო ინფორმაციას მოტივირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. თავის მხრივ, სათანადოდ მოტივირებული სტუდენტი იქნება ეფექტიანი შემსწავლელი ენის სრულყოფილი ცოდნით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gardner, R.C. (1985). Social psychology and second language learning: The role of attitudes and motivation. London : Edward Arnold Publishers.
2. Harmer, J. (1991). The practice of English language teaching. London: Longman.
3. Hedge, T. (2000) . Teaching and learning in the language classroom. Oxford: United Kingdom : Oxford University Press.
4. Krashen, S., Second language acquisition and second language learning. London: Prentice Hall International (UK), 1988
5. Saville-Troike, M., Introducing second language acquisition. New York: Cambridge University Press, 2006
6. Spolsky, B., Conditions for Second Language Learning, Oxford University press, 1989



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com;